ჩვენი თეატრი

2

A.

23.11.41. 1941. 2/11

თბილისი
1941

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩვენი თაობა

წელიწადი მერვე

საქართველოს სამჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური ორგანო

12 802

2

ბსსრ მეცნიერებათა აკადემიის
ალ. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей
имени
Акад. И. Гришашвили
Академии Наук

სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი
1941 წელი. თებერვალი

შინაარსი:

ᲒᲒ.

მხატვრული ლიტერატურა

ადამ ალვანელი — ღამე მთაზე . . . 9
კარლო კალაძე — კობასთან ერთად. . . 11
გიორგი ძიგვაშვილი — სიმღერა ამირანზე . 15
ვლადიმერ უბილავა — უკანასკნელი ღამე . 17
კოტე ხიმშიაშვილი — ჯონქა ხორნაული (დასასრული) 18

კრიტიკა

ერ. ასტვაცატუროვი—ლიტერატურული ახალგაზრდობა ოცი წლის მანძილზე . . 38

ბიბლიოგრაფია

გ. მ. — მაყვალა მრევლიშვილი — „ლექსები“ . 60
ვანო ხალიფაშვილი—გ. ჯაბუშანური—„არაგვიანი“ 61
ალ. სიგუა — კლიმენტი გოგიავა—„ვლადიმერ ნანეიშვილი“ 64

რედაქტორი დიმიტრი ბენაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/III-41 წ. ᲣᲔ 6270. ანაწყობის ზომა 7 × 12. ქაღალდის ზომა 70×108. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4. ნიშანთა რაოდენობა სასტამბო ფორმაში 50688 საავტორო ფორმათა რაოდენობა 5,08. სტამბის შეკვეთის № 256. ტირაჟი 1500.

ტფილისი. სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

მხატვრული ლიტერატურა

ადამ ალვანელი

ღამე თეოზე

ყუჩად ირწევა შუაღამის გაშლილი კალთა,
თვალმოლივლივე ვარსკვლავები ზეცას ხატავენ,
მისდევს ხეობას ხუნძახისკენ გუგუნი ზვავთა,
ჯანღი კი თეთრად ეფინება ივრის სათავეს....

ეგ ლურჯი მთები ვინ დააწყო ნეტავი ასე,
ან ეგ ღრუბელი ფრთანაცარა სადამდე ივლის?..
ღამეა ყუჩი და ქარვებით დალურსმულ ცაზე
თეთრ ბილიკივით გაზიდულა ნაფრენი ირმის....

კრიატ სივრცეში დათოვლილი ქედები სჩანან,
ჩაიბალახეს დეკიანი ლეგა ნისლებმა, —
რძენარევ ღამეს იდუმალად გავყურებ, თანაც
ასე მგონია — ჩანჩქერებით მკერდი ივსება...

გამიკრთა ძილი, თითქო მიწის სუნთქვაც კი მესმის,
ღია თვალები მივაგებო: განთიადს იქნებ, —
აქვე — თეოზე ბალახებში ჩამჯდარი მწყემსიც
ავდევნება ყმაწვილივით საკუთარ ფიქრებს...

ნაცრისფერადი ღამეები ასე გადიან,
გულს უხალისებს დოვლათი და იმედი ხვალის,
ზოგჯერ კაშკაშა ვარსკვლავების დათვლა სწადიან
და ნატრობს — არტელს ჰყოლოდაო მაგდენი ცხვარი...

ახარებს ნამით დაწინწკლული ფრთაცივი დილა,
უმზერს ვაუკაცი ქარაფიდან აფრენილ არწივს,
ზოგჯერ ხსოვნაში ჩამოწვება ყორნისფერ ჩრდილად,
ყორნისფერ ჩრდილად გაეშლება წარსული თვალწინ...

ზოგჯერ კი უნდა ბავშვი იყოს რძიანი, რადგან
ახლა მიწაზეც ვარსკვლავები ყრია გუნდებად, —
გაჰხედავს აქვე ბამბასავით დაფენილ ბატკანს
და გულში თითქო ათასი მზე ჩაუცურდება.

შეეჩვია და თვითეულის გუმანი იცის,
იცის, ხად გდია ამ მხარეში კენჭი ყოველი,
და სურნელებას აყვავებულ ქართული მიწის
გულზე დაიბნევს უხუცესი სტახანოველი.

მოსკოვსაც იყო, მზიანი დღე ნახა რამდენი,
რამდენ სიხარულს დაეწია კიდევ მასუკან,
მისცეს ბარაქა, დაილოცა ძალა არტელის,
რომ ბერიკაცი ხელმეორედ გააჭაბუკა.

უნდა საფერხედ დარახტული ჰყავდეს ქურანი,
უნდა უმღეროს ჩვენი ქვეყნის შნოს და დიდებას,
მაგრამ იძალებს შუალამის ტკბილი ბურანი,
ტკბილი ბურანი ხშირ წამწამებს დაეკიდება.

ზეცა კი ისევ ალივლივებს ოქროსფერ თვალებს,
ცრიატად სჩანან ხეობები კალთაგაშლილი,
ბორბალას წვერზე შემომჯდარი პირსავსე მთვარეც
ხევსურეთისკენ ჩაგორდება მწიფე ვაშლივით.

———

კარლო კალაძე

კობასთან ერთად

კარი მესამე *)

1.

სტუმრებივით ისხდნენ ჩუმად,
ეწეოდნენ ჩიბუხს მხოლოდ.
ეცვათ ირმის ტყავის ჯუბა
მოსირმული საუცხოოდ.
ეცვათ მხეცთა ბეწვეული,
მოეხარათ ფართო მხრები, —
და თავის ბედს თვითეული
ჩასცქეროდა ჩაფიქრებით.
ისხდნენ ჩუმად. იქვე გვერდით
ხის უბრალო ტახტი სჩანდა
და ეკიდა კედელს ღვედით
სანადირო თოფი, ჩანთა.
იყო ბადეც კუთხის განზე,
გაფენილი, როგორც ფარდა, —
ხოლო მოგრძო მაგიდაზე
ხელნაწერი წიგნის გარდა
ათას წიგნს და ათას გაზეთს
უცხო მთები აღემართა...

2.

მათ გულისთქმა უხმოდ ხდიდა,
გულის პასუხს ანატრებდა,
და სანთურიც მაგიდიდან
იმედივით ანათებდა...
ასეთია ჩრდილოელის
გულითადი ჩვეულება,
ზის ტუნგუსი, ზის და გელის...
და არაფერს გეუბნება.
მცოდნე კაცთან იგი სტუმრად
მოკრძალებით მოვა ხოლმე,
სულს მოითქვამს თავისუფლად,
უყვარს ჩუმი სიახლოვე.

*) რომანი ლექსად. ნაწყვეტი.

შეჰყურებდნენ თვალში სტალინს,
ეხლა მათებრ ჩაფიქრებულს, —
რას ეტყოდა ძილგამკრთალი
ხმაწართმეულ კაცთა კრებულს!
მისი ჩუმი სამართალი
გრიგალს ჰგავდა ჩასაფრებულს...

3.

აქ მრავალჯერ მსხდარან ასე
თითო სიტყვის მოსასმენად,
რომ მგზნებარედ მობაასემ
გადააწრთოს ფიქრი რწმენად!
დღეს კი თუმცა დაუღამდათ, —
სდუმდა მათი მეგობარი...
გულჩათხრობილთ სუნთქვას ჰგავდა
რომ გაიღო ქოხის კარი;
თქვეს: დავტოვოთ, მოვერიდოთ, —
აჭრიალდა ვიწრო კიბე,
და სტუმრები თითო-თითოდ
ოთახიდან გაიკრიფენ.
კობას არც კი გაუგია,
ვერ აართვა თვალი ბარათს, —
მარტოდმარტო და გულღიად
ზის ფიქრების ანაბარად,
მზერაც განგებ ჩაუქვრია
მწუხარების დასაფარად...

4.

ჩრდილოეთით დაკარგული
დაშორებულთ წერილს სწერდა,
მაგრამ, უცებ დასწყდა გული,
უცებ ხელი შეუჩერდა.

ახლა ვინღა გაამხნეოს!
ციმბირელთა ბედი იცის,
ახლო არვინ მოსახლეობს,
არის კიდე დედამიწის....
ალბათ უმძიმთ გამკლავება
სადღაც ბნელში მფეთქავ სანთურთ! —
ანუ მიმჭრალ ვარსკვლავებად
ციეს ქარბუქში მიმოფანტულთ...
ათას ცხრაას თექვსმეტ წელის
ჭირვეული ზამთარია.
კობა უკვე ნიშანს ელის,
სხვებიც ალბათ მზად არიან.
ვინ მიწვდება ენისეის
გაღმა სურენ სპანდარიანს.

5.

— ალბათ იწვის ღამის თევით,
იცის აქვე უნდა იყოს,
რომ ლენინის ბარათები
ჩემთან ერთად გადიკითხოს!
ვუგა ცეცხლის კერას უგავს,
იწვის ავრე თვალხილული...
სულს იმედით შეისუნთქავს
სუსხით ფილტვებდაცხრილული,
ჩაეჭედოს ოლონდ მაჯას
მტკიცე ხელი სტალინისა, —
და ვერც ჯავრი ვერ დასტანჯავს
გულში ჩამკვდარ წადილისა!...
მაგრამ, კობას გადაჭრილი
გზადაკვალი აგონდება...
დაეფარა ბარათს ჩრდილი,
— რატომ არის, რატომ ხდება! —
იტყვის კობა ჯუღაშვილი
და ტყვესავით დაღონდება...

6.

— „კვლავ წასულან... მხოლოდ საით,
თოვლი საით გაიკვალა?!
ტუნგუსებიც აქ ჩვენსავით
უბინადროდ შთენილთ გვანან...
ჩვენ სამშობლო დაგვიკარგეს,
მათ სრულიად არ ჰქონიათ, —
მაგრამ ტუნგუსს, როგორც ქართველს
გულში ჭეჭკად ჩაჰყოლია, —
მახსოვს როგორ დამაძახეს
დილით ერთხელ: „ნათესავო!“
და ვაჟკაცი დამანახეს
გამოსული სათევზაოდ!...
მან ჩამკიდა თრთოლვით ხელი,
თავის ქოხში წამიყვანა,
თქვა: „დამარქვეს კაცისმკვლელი,
მაგრამ მკვლელი მე ვარ განა!“
კობას დარჩა აუხსნელი
მაშინდელი გამოცანა.

7.

„ჰქონდა სახე სანთლისფერი
მდუმარებდა სტუმარსავით,
მორეოდა შავი წვერი
წლიდანწლამდე უპარსავი.
ჩუმად იდგა „კაცისმკვლელი“
გადაეჭდო მკლავი მკლავში.
წინ ფიქრივით უცოდველი
მშვიდად იწვა მის ბავშვი.
ქართველ მამას არყის ხისგან
ყრმის აკვანიც გაეთალა, —
ცოლი იქვე უცხოდ იდგა
თმა-ქერა და ცისფერთვალა...
— აი, ჩემი სიყრმის შვილი! —
ამოკვნესით თქვა მან ბოლოს, —
— ასაფრენად ფრთებაშლილი
მტერმა უნდა დაიმონოს,
მშობლიური ნანა ტკბილი
ვერც დედისგან გაიგონოს...

8.

„უსამშობლოდ ვხედავ შთენილს,
და თავზარი დამცა ბრაზმა, —
თქვი, განწირულს ვინ უშველის,
საბრძოლველად ხალხს რომ რაზმავ...
ჩრდილოეთით ამტყდარ გრიგალს
არ შთაენთქა ჩემი ხვედრი, —
სატრფიალო გულის ფიქალს
თვითონ ხანჯლით არ გავკვეთდი!
ახლა კაცის მკვლელი მქვია,
ნახეთ ბედი გურამისა! —
გრიგალივით მომეხვია
ფიქრი განადგურებისა...
შვიდი წელი უხმოდ ვწუხდი,
მაინც დამრჩა ერთი რწმენა —
დამრჩა ერთად-ერთი წუთი,
ამოიდგას შვილმა ენა! —

თქვა და იქვე გახსნა ყუთი,
დედისგულიც გაიხსენა...

9.

„სჩანს, რომ დედას ამ ბარათით
დაულოცავს შვილისშვილი!
შორს მოსულა ამანათით
ჩურჩხელა და ხმელი ხილი...
თვალი ცრემლით გაუბრწყინდა
კობას, თითქო მოეჩვენა:
პაწაწინა ჭრელი წინდა
და წითელი „დედა-ენა“.
მან ხმამაღლა გადიკითხა,
წიგნის გული გადაშალა,
და გურამიც მტკიცედ იდგა,
თითქოს ანბანს ჰქონდა ძალა“.
უსამშობლოდ მარტო შთენილს
ხმა არ გასცა მაშინ კობამ...
დღეს კი ცრემლი წარუშლელი
მოაგონა მარტოობამ, —
თქვა, რომ ჯავრი არ უშველის,
მტერი უნდა დასცეს მტრობამ!...

10.

ტუჩებს ღიმილი ეფინათ,
კვლავ მორეოდათ ხალისი,—
ახსენდებოდა ზეპირად
სიყრმის ოცნება თავისი:
„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა,
ტოროლა მაღლა ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით გალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზის ხმით ამას ამბობდა:
აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო“.
დედის იმედო! — დასძინა,
ბრძოლაში დამიფარეო...

11.

ადგა და ფიქრი თან აჰყვა,
ხელთ ჩაიბღუჯა წერილი,
ლანდიც დასდევდა კვალდაკვალ
ჯავრივით შემოჩენილი.
ღამითაც მთელი ქვეყანა
სჩანდა ამ ნათელ სახლიდან, —
თოვლი ქარს ამოეყარა
და მაღალ სარკმელს ახლიდა...
ომის ხმა ამოიკითხა
სივრცეში, დაღამებისას, —
თითქოს თვითონაც იქ იდგა
სიკვდილს ხედავდა მეფისას!
მან მოაგონა ყმაწვილი
სამშობლო დაკარგულისა...
ორთავიანი არწივიც
ნიშანი წყევლა-კრულვისა. —
გულს რომ იკორტნის განწირვით
მწყურვალი ყრმათა გულისა...

12.

ამბობდა: „ომში ჩარევა
რამდენჯერ გვინატრიაო,
დროა მებრძოლმა ჯარებმა
კონდახი შეატრიალონ!
ულუკმაპუროდ შთენილნი
ველარ დამშვიდდენ ზავითა!..
და მოწოდებას ლენინიც
უთუოდ გამოგზავნიდა..
გვკეტავს ციმბირის ზამთარი
ავი და ავდარიანი! —
ნეტავ სვერდლოვი სად არი,
სად არის სპანდარიანი!..
მრისხანედ წარბებდახრილი
სურენ ამ წუთებს ველოდით,
თოვლში მიჰქროდა მარხილი,
ქართულად მივიმღეროდით!
ქარიც შორსგადმოვარდნილი
გვისტვენდა ლერწმის ღეროთი...

13.

„ხელთა მაქვს ყველა ბარათი
შენკენ წამომსვლელთ ვეძებდი,
ვაჰ თუ ლოგინად ჩავარდნილს
ვერ მოგაწვდინო ვერცერთი!

ვერ გითხრა მეფის დამხობა,
ველარ აგინთო იმედი!..
ნეტავი შენთან მამყოფა,
ჩემს მკლავზე დაიძინებდი".
დაჰქანცა თითქოს დგომამაც
და როგორც ბადე მეთევზემ
ერთის მოქნევით კობამაც
ჯუბა მოიგდო ბეჭებზე...
თან გული გაიხალისა, —
იფიქრა: ერთად ვიქნებით! —
რაზა რომ გახსნა კარისა,
შინ საიდუმლოს მიგნებით
ბრბო შემოიჭრა ქარისა
და გადაფურცლა წიგნები...

14.

შემოეგება ჯულაშვილს
წინ ვიღაც მდგარი გვიანაც.
ხელი ჩასჭიდა ჯუბაში,
ღიმილით გაეხმიანა:
— ვიდექი ღამის უკუნში
გითვალთვალებდი კობასა, —
ერთგ საბრალო ტუნგუსი
ვჩემობდი მეგობრობასა!..
— შენი ალალი თვალებით
ვხედავ ბნელშიაც კიაფობ, —
ისევ ნუ დაიმალები,
რა გსურს მკითხე და გიამბობ...
მომყე გავაწყოთ მარხილი,
ვაჟკაცო, მაღალ მხრიანო, —
ჩვენი ხმის ამოძახილით
ხეობამ დაიხრიალოს, —
ტყე დარჩეს გზაზე წახრილი,
ძახილი დაიგვიანოს!..

15.

სამი დღე ასე ხვლიან,
არ გამოჩნდება სოფელი, —
ლრუბლებად დაფლეთილია
ცა ვარსკვლავჩაუქრობელი!
ველარც ქარბუქი აბრკოლებთ,
სამი ფეხმარდი ირემი
გულდაგულ ებრძვის მთაგორებს
უკან რქებგადაყრილები!...
მარხილს მხნე ვინმე თუ უზის
მმართველი მათი სირბილის, —
ბნელს გაიგნებენ... ტუნგუსიც
მკვიდრი შვილია ციმბირის...
გზა ისე გადაიარა
წარბი არ გაუტიხრია, —
უგიათ მიწა კრიალა,
მდინარის მკერდზე მიჰქრიან,
ყინულ ქვეშ ტალღა კი არა,
მისი მღელვარე ფიქრია...

16.

მღელვარებს თვითონ სტალინიც,
ერთგულად მიეჩქარება,
გზა ყინულებში გავლილი
ვერ ჩაუკეტეს ქარებმა!
დახშულ ღამეებს ხალისით
გაივლის როგორც მაღაროს, —
რომ გამოცნობა თავისი
სნეულ მეგობარს ახაროს.
რომ მასთან ერთად იხილოს
სინათლე ბედნიერების, —
სიმღერა დაიღიღინოს
ბორკილაყრილი ერების!
გონების თვალით უყურებს
და ბრძოლა თვალწინ ჰგონია,
გრძნობს უკვე ხალხი გუგუნებს
ჯავრი ქვით ჩაუქოლია! —
გრძნობს გაჩაღებულ უკუნეთს
რამდენი მტერი ჰყოლია!..

ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲫᲘᲒᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐ ᲐᲛᲘᲠᲐᲜᲖᲔ

სადაც ნისლში მთები არ სჩანს,
ტყე არ სჩანს და ლურჯი მდელო, —
ამირანი მიეჯაჭვათ,
წამებული საქართველო...
გმირის ფიქრი ნისლი იყო,
ოხვრა—მეხი ნაჟღერები,
ამირანის სისხლი იყო
კავკასიის ჩანჩქერები;
ელვა ერქვა გმირის ღიმილს
და მიწისძვრა — ჟრუანტელსა...
მაგრამ ბოლოს რისხვით სავსემ
შვილებს ასე უანდერძა:
— „სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე,
ელვა კრთოდა ჩემი ხმლისა,
ვკვდები, მაგრამ ჯავრი მიმაქვს
ერთი დევის ვერაგისა,
მისი იყოს ჩემი ოქრო,
ვინც იმ ვერაგს დასცემს ძირსა,
მახარობლად ვინც მომივა —
ცოლიც, ხმალიც ალალ მისა!...“
... დრო არ იყო გათენების,
თუმცა შეკრთა უგუნეთი,
მოდიოდნენ ქართველები,
ხმალს ლესდნენ და გუგუნებდნენ...
გუგუნებდნენ — დარდით მდიდრებს
რად გვინდაო ოქროს ქისა,
რად გვინდაო სხვისი ცოლი —
ჩვენიც მთებში გაიხიზნა!
კაცის გული განა მართლა
ზვირთი არის შავი ზღვისა?
ჩვენ ჩვენი ხმლით ბრძოლა გვინდა —
ჩრდილოეთიც ადგა მთელი,
მთის არწივი წამოფრინდა

და მგზნებარე კოლხიდელი...
და აჯანყდნენ... ბევრი ხანი
სისხლს იშრობდა ტყე და მდელო,
და დაიხსნეს ამირანი —
წამებული საქართველო...
დღეს კი, როცა ჩვენი მთებიც
ახალ მზის ქვეშ დადგნენ მტკიცედ —
დღეს სამშობლოს ერთგულება
უკვდავ ფიცით შევიფიცეთ —
რომ იმ გმირის სასახელოდ,
ვინც მომავლის გახსნა გზანი —
მტერს არ მივცეთ საქართველო,
ბედნიერი ამირანი;

სულ ვადიდოთ, ვინც აანთო
შუქი ჩვენი ალამისა,
ვინც ნათლის გზა გახსნა ფართო
და მტარვალი დაამიწა,
ვინც კლდეს ახსნა ამირანი
და სიცოცხლის ძალა მისცა —
ჩვენი გული, ჩვენი ჯანი,
ჩვენი სისხლიც ალალ მისა!...

ვლადიმერ უბილავა

უკანასკნელი ღამე

ფიქრებში ხშირად
ისევ ადგება
ის ბრძოლის ღამე ჯერარნახული;
აი დაშლილი მტრების ბანდები,
მთები, მინდვრები
ტყვიით დახრული.
მოღალატენი გარბიან ზღვისკენ;
გზებს ტყვიაწამლის
ბურუსი აკრავს.
და განწირულნი დაბინდულ ცისქვეშ
ეძებენ ბედის ჩაფერფლილ ვარსკვლავს.
ზღვასაც არ სურდა
მიღება მათი
და თურმე თავი ვერ შეიმაგრა.
დაჰკრეს ტალღებმა
ვიში და ზათქი
და ხალხმაც ბრძოლის ყიჟინა დაჰკრა.
და გვიან, გემი
შესვრილი სისხლი,
ნაყაჩაღარი განძის დამტევი,
გადის, —
მიყვება მასების ზიზღი
და გავარდნილი ემიგრანტები.
ბნელოდა...
ჰქონდათ ალიონამდე
გმირებს და ხანჯლებს ბრძოლა შემდგომი;
დილით ლენინის
მზე ამოვიდა,
საქართველოში სჭექდა ჩეკომი.
ფიქრებში ხშირად ისევ ადგება
ის ბრძოლის ღამე
ჯერ არ ნახული;
მერე წამიღებს ფეთქვა ვარდების
და ჩემი ქვეყნის დიდი ზაფხული.

---

12 802
საქ. მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. ჯავახიშვილის
სახ. ბიბლიოთეკა-მუზეუმი

კოტე ხიმშიაშვილი

ჯონქა ხორნაული

(დასასრული)

IX

ჯონქა არც ისე გულუბრყვილო იყო, რომ არ შეეშჩნია—ნინოს საკუთარი ძლიერი წყენა, დედის გულისტკივილი ალაპარაკებდა, მაგრამ მის მხურვალე აღსარებაში, თითქოს შვილის ბუდიდან გადაფრენამ, მარტოობის პირველმა წუთებმა რომ ათქმევინა, ბევრი რამ მხოლოდ ჯონქას გასაგონად ისმოდა.

ჯონქამ მადლობა იგრძნო აქამდე მისთვის სრულიად უცხო ქალისადმი და გაიფიქრა, რომ იშვიათად შეხვედრია ასეთ კეთილშობილ ადამიანს.

ნინო გულწრფელად ლაპარაკობდა, თავის ერთადერთ ქალიშვილს კი დედა უთუოდ სხვებზე უკეთესად უნდა იცნობდეს. მით უმეტეს ისეთი დედა, როგორიც ნინო ციხისელი იყო. ხორნაული გაჩერდა ფილაქანზე და სიბნელეში ხელები გაშალა — ნუ თუ თითონ სცდებოდა აქამდე?..

მას ისევ მოაგონდა წელანდელი ფიქრი, აქეთ მომავალი რომ უსიამოვნოდ გაჰკენწლა გულში—მანანასთან დაახლოვებამ მხოლოდ შფოთი მოუტანა, თავისთავთან ბრძოლა და დამცირება. თუ ნინო მართალია — ეს ესეც უნდა ყოფილიყო. ჯონქას ერთ წუთს თვალწინ გაუარა მანანასთან დამეგობრების, პირველი ნაცნობობის ამბებმა, თითქო უნდოდა მეხსიერებაში მიეგნო დაკარგული ნივთისთვის, ბევრი სიარულის დროს რომ სადღაც დარჩენია. ზოგს ერთი შეხედვით შეიცნობ, განა საკმარისი არ იყო კიტი ნადირაშვილისათვის თვალი გაგედევნებია, სანამ იგი ოთახის ერთი კუთხიდან მეორემდე მივიდოდა, რომ უკვე გცოდნოდა ყველაფერი? მანანას ძნელად გაუგებდი. ბევრ სტუდენტს, განსაკუთრებით პირველ წლებში, დამცინავ და ამაყ ქალად მიაჩნდა, რადგან მას შეეძლო გაჩუმებულიყო, როცა ყველა იცინოდა და პირიქით, მწვანე თვალები ხშირად დაცინვით უკრთოდნენ, როცა ძლიერ სერიოზულად ელაპარაკებოდი. მან უთუოდ კარგად იცოდა ვისთან როგორ უნდა მოქცეულიყო; მაგრამ ჯონქას ღრმად სწამდა — მანანა მაინც აროდეს თამაშობდა, არ ცდილობდა თავი სხვაგვარად მოეჩვენა. ისე კი, ჯონქა ხომ მუდამ გრძნობდა იმ უხილავ კედელს, რომელიც დღეს თითქო ხილული გახადა ნინომ. მერე რა უყოთ, თუ მანანა ძლიერ ახლო ეგონა, როგორც პატარა მწყეცსს ბინდისას სერზე ამოსული მთვარე.

ჯონქამ უნებურად გულჯიბისკენ წაიღო ხელი და თითის წვერებით ფრთხილად ამოიღო გამხმარი, სიფრიფანა ენძელა, მინაზე ყინვის ნახატივით უცნაური.

ეს ავგაროზი მთელი გაზაფხული ატარა მან. მარცხი მაინც ვერ აიცდინა.

თანაც თითქოს ძალა წაართვა ჯმუხ მთიელს იმ პატარა ყვავილმა, თავის ნებაზე დაატარებდა, ფიქრის მალვა და ჩუმი წუხილი ასწავლა, პირდაპირობა დაავიწყა. თავისთავს ვეღარ სცნობდა ჯონქა, თითონაც უკვირდა, რომ უწინდურად შეტევა, პირში თქმა აღარ შეეძლო. ითმენდა, ბევრს ითმენდა და ენაც კი შეეცვალა, მოკვეთილ, მთიულური სიტყვა-პასუხის მაგივრად თითქო დარცხვენილი, გაუბედავი ლაპარაკი დასჩემდა. თუმც წინად გრძნობდა, რომ სწორედ პირდაპირობისა და ხასიათის სიმტკიცისთვის მოსწონდა იგი მანანას.

ჯონქამ ხელი შეკუმშა და მძლავრად, მაგრამ ალერსით მოუჭირა თითები პეპლის ფრთასავით გამჭვირვალე ენძელას. იქნებ ისე, როგორც მანანას ხელს მოუჭერდა და ატკენდა. ეს ალერსიც იქნებოდა, წუხილისთვის სამაგიეროს ზღაც.

ცოტახნის შემდეგ მან ხელი გაშალა. გამხმარი ყვავილი ფერფლივით პატარა, ბაცი ფერის ნამსხვრევებად ქცეულიყო.

ლიმილით გაიფიქრა, რომ ახლა მკლავში მეტი ძალა უნდა ეგრძნო, მხრებში გამართულიყო. ხელისგულს შეუბერა და როცა ყვავილის მტვერი გაიფანტა — ისევ მოიწყინა.

ეჩვენებოდა, რომ ენძელის ნამსხვრევები კვლავ თითებზე ეკვრიან; ისინი ხელებსაც და გულსაც ახლა უკვე ქარისგან თვალში მოხვედრილი ქვიშის ნამცეცებივით ეხამუშებოდნენ.

გამოდის რომ სიყვარულიც გაჰქრა იმ მარტის ყვავილივით.

ვინ იცის, ფიქრები მაინც მას დასტრიალებდნენ, იქნებ უნებურად, როგორც მეთოვლია დაჰფარფატებს ხოლმე ზღვის ზედაპირს, მძლავრად მოქნეული ფრთები ვეღარ შეუჩერებია, თუმც თევზი უკვე კარგახანია შთაინთქა ზვირთებში.

საკმაოდ ბევრი იარა ქუჩებში ჯონქამ. მას არც მოჰგონებია, თუ ამალამ მეგობრებს (გამოსალმების ლხინი ჰქონდათ; მაგრამ შეუმჩნევლად, ინსტინქტით, რომელიც მატარებელში ჩაძინებულ კაცს გამოაფხიზლებს ხოლმე, თავი ასწია და ნახა, რომ სწორედ იმ ქუჩაზე გასულიყო, სადაც სტუდენტები უნდა შეკრებილიყვნენ. მან ახლა დაგვიანებულივით აუჩქარა ნაბიჯს, ნაცნობ რკინის ჭიშკარში შევიდა, ხვეულ კიბეს აჰყვა მესამე სართულამდე და გრძელ აივანზე მინებიან კარს მიადგა. თეთრი, ორმაგი ბანდის ფარდებში ოთახიდან განთიადის სხივივით ჟონავდა სინათლე აივანზე.

იმდენი ნაცნობი ხმა და მხიარული სიცილი ისმოდა შიგნიდან, რომ ფიქრებში გართულმა ჯონქამ პირდაპირ შეაღო კარი, თითქო თავის ოთახში შესულიყოს საერთო საცხოვრებელში.

სუფრაზე მსხდომთა თავები სწრაფად მობრუნდნენ მისკენ. მაგიდის ერთ ბოლოში ეგნატე ლაზიშვილის მოკლე წვერი ბრწყინავდა და ჯონქა გონს მოვიდა.

— ოჰ, ჯონქას გაუმარჯოს, — შეიძახეს ამხანაგებმა, — აქეთ, ჯონქა... აგერ მობრძანდი...

სტუდენტები ისე შეეგებნენ და ეპატიჟებოდნენ, რომ უთუოდ ყველა მასპინძლად სთვლიდა თავს.

მალე ჯონქა მეგობრების გვერდით იჯდა და სიამოვნებით იშმუშნიდა ხელებს. იგი გაახარა გულღია შეხვედრამ და ძალდაუტანებელმა მხიარულებამ, რომელიც სუფრაზე მეფობდა. სადა ჭიქებში, ყველაზე უფრო მოხერხებული ფორმა რომ აქვთ — მუცელთან ხელში დასაჭერად შეზნექილი და ზევით პირგადაშლილი — მაყვლის წვენივით შავი ღვინო იდგა. მისი წვეთები თეთრ სუფრაზე, თეფშებზე თუ ტუჩზე, იისფერ მელანივით სტოვებდნენ კვალს.

დიდი ხურჯინის ორივე თვალი ერთად დაცლილიყო მაგიდაზე. ცივად მოხარშული დედლების გვერდით, გამჭვირვალე, ხორკლიან კანზე სიმსუქნისგან ქარვისფერი რომ დაჰკრავდათ, გორული მსხვილი ვაშლი ეყარა, ნაზამთრი, მაგრამ მაინც ცოცხალი და ლოყაწითელი, დიდრონი, ყვითელი კომშები, ყუნწთან და კორძზე ჩინჩლა მოუცლელი; ყოველგვარი ხილის ჩირი, — მსხლისა, ატმისა, გაგარისა და შავქლიავისა; შინდის კერკი — ლალის მარცვლებივით; შვლისყურა თხილი და გრძელი ჩურჩხელები, სიტკბო შორიდანვე ფერზე რომ ეტყობოდათ. სოფლის თონეში გამომცხვარი, ყუაშებრაწული, წაღივით ქუსლწვერ გაგრძელებული შოთი პურები. დანამული წიწმატის კონები, წნელის წვრილი ღეროები. რაც მთავარია — წლევანდელი ბალი, ცოტახნის წინ გარეცხილი წყლის გიშერივით შავად მოციმციმე... იქვე—ქორფა, შუშა კიტრებიც ეწყო, მწვანე კანი დაორთქლილი ჰქონდათ, თითქო ცივმა ოფლმა დაასხათ, რაკი ასე ადრე მოსწყვიტეს.

შენახული ხილისა და ღვინიანი ტიკჭორის მაგარი სურნელი იდგა ოთახში. ახალგაზრდებს თვალები უბრწყინავდათ, ენას, პირსა და ხელებს ერთი წუთითაც არ ასვენებდნენ.

სუფრაზე სულ ხუთი-ექვსი კაცი იყო, ახლო მეგობრები. უცხოთაგან მხოლოდ ეგნატე ლაზიშვილი და გიგას მამა ისხდნენ, მაგრამ მათი აქ ყოფნა თითქო უფრო მეტ საბაბს აძლევდა სტუდენტებს, რათა ერთმანეთის სიყვარული ეგრძნოთ, ერთად გატარებული წლები მოეგონებიათ. ჯონქასაც ხელს არ უშლიდა ეს ხნიერი ხალხი, ძლიერ თავისუფლად და მყუდროდ იჯდა ჩაგუს გვერდით.

გიგა მამამისის ახლო, ტახტის კიდეზე მოწყობილიყო, ტიკჭორა იქვე გვერდით მიესვენებია და წყლის სურას ავსებდა ღვინით. ძია თედომ, ასე ეძახდნენ მამამისს, თიხის პატარა ჯამი გაავსო, ფეხზე წამოდგა და ლეკური, რუხი ხალათი შეისწორა ვერცხლის ბალთიან ქამართან.

— ეს კი სწორედ მასიამოვნა ნიკომ, ჯამი რომ მომიტანა, — სთქვა მან და უბრალო, შავი ფოთლებით მოხატული, ღვინით პირამდე სავსე თიხის ჯამი ოსტატურად დაიჭირა შუათითსა და ცერს შუა, ისე, რომ თუ ჯამს ააცლიდი, — ხელი თითქო მომართვის ნიშნად დარჩებოდა გამოწვდილი, — გლეხური ჯამით შესმული გულსაც გაუვლის, სანამ სტომაქში ჩავიდოდეს, — დაუმატა თედომ, მეორე ხელი ჭაღარა ულვაშზე მოისვა და ჯონქას მოუბრუნდა, — შვილო, ჯონქა, ერთი ეს სასმისი გამომართვი.

ჯონქა, სწრაფად წამოდგა, ჯამი ჩამოართვა, მაგრამ ვერ მოახერხა თითონაც ისე ლაზათიანად დაეჭირა, ხუთივე თითი შეუდგა და გაილიმა თავისთვის.

— აბა, შვილო — დაიწყო თედომ, — ამდენი ნასწავლი კაცი შეყრილხართ და თამადად კი, სანამ შენ მოხვიდოდი, ეს გლეხკაცი ამირჩიეს. დიდ უარზე ვიყავ, მაგრამ ვერა გავაწყე რა. მოდი, ჩვენი აქ შეხვედრისა დალიე და დაგვეწიე.

ჯონქა ცოტახანს სდუმდა, მან ჩაფიქრებით გადახედა ამხანაგებს.

— შენებურად, ჯონქა. ძველებურად სთქვი რამე, — წაიბუტბუტა გვერდით ჩაგუმ, როცა ქათმის ბარკალი წამით პირიდან გამოიღო და მარილს გადასწვდა.

„რატომ ძველებურად?“ გაიფიქრა ჯონქამ. იქნებ ჩაგუც გრძნობდა ცვლილებას, გრძნობდა რომ ჯონქას ჩუმი წუხილი და შფოთვა, რალაც მოდუნება დასჩემდა ამ ბოლო დროს.

ხორნაულმა გაბედულად ასწია თავი. დიალ, იგი ისევ „ძველებურად“ იტყვის. აქ ხომ „შთამომავლობით ინტელიგენცია“ არ უსმენს. ეს ბიჭები მსსავით ჯონქები არიან, ახალი ფეხადგმული, მაგრამ კუნთმაგარნი და დიდ გზაზე მოსიარულენი.

— არჩევანში არ შემცდარან, ძია თედო, თამადად რომ აურჩევიხართ, — ჯონქამ თვალი გაუსწორა თედოს, უადვილდებოდა ლაპარაკი, როცა ამ გაჭალარავებული, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგი, მზისგან თიხის ჯამივით ბრინჯაოსფრად დამწვარი კაცის ღია სახეს შესცქეროდა.

— ამ სუფრაზე ყველაფერს გლეხის მარჯვენით მოყვანილსა ვხედავ, — განაგრძო ჯონქამ, — ჩვენ ყველანი, მე და ჩემი ამხანაგები, გლეხის შვილები ვართ. ეს დღე ჩვენთვის მუდამ მოსაგონარი იქნება, რადგანაც მიზანს მივაღწიეთ და ახლა ერთმანეთს დავცილდებით, რათა ახალი ცხოვრება დავიწყოთ. შართალია, ქალაქს სასწავლებლად ჩამოსულები ჩვენ იქნებ სულ სხვა ადამიანები გავხდით, მაგრამ აი, შევკრებილვართ და თამადად მაინც გლეხი ავირჩიეთ. მე მგონი ეს იმიტომ, რომ მუდამ გახსოვს—ფესვები ხალხში გვაქვს და მიწას არ უნდა მოვწყდეთ, ხალხის ამაგი არ უნდა დავივიწყოთ, თორემ...

— ტურა წაგვიღებს, — შეეშველა ჩაგუ. ჯონქამ გაიცინა და ჯამი მოიყუდა.

— იცოცხლე, შვილო, გაგიმარჯოს, — უპასუხა თედომ.

ჯონქამ გამოსცალა ჯამი, დაჯდა და ლაზიშვილს შეხედა. ეგნატე ულიმოდა თავისი მკვირცხლი, ჭროღა თვალებით, თან წინაკბილებით რაღაცას ცმუცნიდა და ალბათ ამიტომაც ახლა უფრო ეტყობოდა მოხუცებულობა. ღვინომ, ეგნატეს ღიმილმა თუ საკუთარმა სიტყვებმა ჯონქა საბოლოოდ კარგ გუნებაზე დააყენეს. მას მოაგონდა როგორ შეეკამათა მაშინ ეგნატე დავით ციხისელს და გაიფიქრა, რომ ეს მოხუციც თავისიანია; მასთან შეიძლებოდა თავისუფლად ლაპარაკი, იგი ყველაფერს მიგიხვდება, იქნებ ტოლამხანაგებზე უკეთესადაც გაგიგებს.

სუფრაზე ისევ გაცხოველდა საუბარი. ნიკოს, ამ ბინის პატრონს, რძალი და ძმისშვილი ნათესავებთან გაუსტუმრებია, რათა ლხინის ინტიმურობა არ დაერღვია. მხოლოდ ნაშუალამევს, შეიძლება ოჯახის უფროსი, რკინისგზელი ძმა მოსულიყო, ღამის ცვლაში მუშაობდა თურმე და ეტყობა, უმცროსმა ვერ გაუბედა ეთქვა — შინ აღარ დაბრუნდეო.

ლაზიშვილი ღვინოს აქებდა, — მშვენიერი, უზადო ატენური საფერავი იყო, ხორციანი — სქელი, როგორც ბადაგი და თან ბავერდოვანი — მისი სმა არ მოგწყინდებოდა, კი არ ჰღლიდა, ეალერსებოდა ენას. ძველ მევენახეს ესიამოვნა თავისი ღვინის შექება, განაცახადა, რომ ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ღვინოა, თან მგზავრობაში ცოტა გალახული, დასვენება სჭირდება. მეექვსე წელიწადია მარანში ერთი პატარა ქვევრი თავკვერისა აქვს შენახული, თუ სოფელში ეწვევიან — ამოიღებს და აბა, მაშინ იგემონ რა ღვინო სცოდნია ატენის ხეობას.

მერე ქართლის სხვა ღვინოებიც მოიგონა, მუხრანისა მოსწონდა, განსაკუთრებით თეთრი, წინამძღვრიაანთ კარსაც არაუშავსო, კასპისა და მეჯვრისხევი ისევ ხელაღებით დაიწუნა,—სტუმარს ვერ დაალევინებო. ნანობდა, რომ ლიახვის ხეობაში უწინ კარგი წითელი დგებოდა, მაგრამ ფილოქსერამ გააფუჭა და ახლა ცუდი გემო დაჰკრავს, არც სუნი უვარგა, მდარეა. ისევ თავის ატენურს აქებდა, კახურსაც სჯობია და იმერულსაცაო. აქ კი ლაზიშვილი შეეკამათა, მაგრამ თედო გაჯიუტდა, გაიხსენა ყურძნის ყველა ჯიშები, რაც კი ქართლში მოდიოდა—გორულა მწვანე, თავკვერი, ჭყაპა, რქაწითელი, საფერავი და ბუდეშური, ახლა მუხრანსა და კავთისხევში ევროპული ალიგოტე, რისლინგი და პინოც გააშენეს თურმე. დაკორძებულ, მოუხრელ თითებზე დინჯად, აუჩქარებლად იმდენი საბუთი წამოთვალა, ისეთ წვრილმანებში აღმოჩნდა ჩახედული, რომ ენამჭევრმა ისტორიკოსმა ვერ გაუძლო და სიცილით ჩაიქნია ხელი.

— აგრე იყოს ჩემო თედო.

თედოს თვალის კუთხეებში მხიარული ნაკეცები გაუჩნდნენ, მან თავი გადააქნია და დაეთანხმა:

— ეგეც მართალია, მე და ჩემმა ღმერთმა.

ჯონჭა შესცქეროდა ამ ქედმაგარ, ძველ მუხასავით კოჟრიან ვაჟკაცს და გული კიდევ უფრო მეტად უთბებოდა.

თედო წამოდგა და ისევ გაავსო თიხის ჯამი.

— აბა, ხალხნო, სმენა იყოს. უწინ, ჩემ ჯეელობაში. — დაიწყო მან და ზუსტად ისევ იმ ადგილას შეისწორა ქამართან ხალათის კალთა, — როცა ოსტატს შვილ ჩააბარებდნენ ხელობის სასწავლებლად, ოსტატი სულით ხორცამდე პასუხისმგებელი იყო თავის შეგირდზე. თუ ბიჭი არ ივარგებდა, ხელმრუდი ან უქნარა დადგებოდა, ოსტატისთვისაც იგეთი შერცხვენა და ხალხში თავისმოჭრა იყო, როგორც იმ უბედურის მშობლებისთვის. თუ შვილი ოჯახს ასახელებდა და რამეს შემატებდა, — მადლობა ყველაზე ადრე ჯერ მისი გამზრდელი ოსტატისათვის უნდა ეთქვათ. ჩემ გიგას მამა მუშაკაცი ჰყავს, დედა — გამრჯე, პაპა მაგისი კიდევ ოთხმოცზე მეტი წლისა იყო, როცა გარდაიცვალა, მაგრამ მთელ კოლმეურნეობას ენანებოდა, სოფელში იმაზე მუყაით და ბაღვენახების მცოდნე კაცს ვერ იპოვიდი. აბა, ჩემში ბიჭი ცუდი რაღად უნდა ყოფილიყო. მე მეგონა ეგეც მამაპაპის კვალზე თავის ბაღ-ვენახში იტრიალებდა, მაგრამ სხვა გზა აირჩია. რა უშავს, თუ თითონ ივარგებს, ყველა საქმე — კარგია.

— ნუ გედარდება, მამი, თინია მაინც აგრონომი გამოვა, — უთხრა გიგამ და შუბლზე ჩამოწოლილი სქელი, თითქო მუდამ სველი შავი თმა ხელისგულით გვერდზე გადაიგდო.

— ჰო, შვილო, ოღონდ ჯერ შენი კუდრაჭა დაია ბალღია, კვირაში შვიდი პარასკევი აქვს. იქნება ხვალ, აი, რა ჰქვიან, ფილოსოფიაა რაღაც. ის მოინდომოს. მერე რა, აკი ვამბობ, თქვენ რითა ხართ სხვაზე ნაკლები. სიტყვას ნუ მაწყვეტინებ, ისედაც გამიგრძელდა. რაცა ხარ, შვილო, პირში ქება რა საკადრისია, კარგი ხარ, ისეთ დროსაც მოვესწარ, რომ შენ რჩევა გკითხო, შენ ჭკუას დაუჯერო. ამისთვის კი მადლობა შენს გამზრდელს, შენს ოსტატს უნდა უთხრა. მარტო შენ კი არა, აი შენი ამხანაგებიც. მე ვიცი, რომ ყველა ეგენი პატიოსანი და ნასწავლი ხალხია. პატივცემულო ეგნატე, ენაწითელობით ვერ გაგაკვირვებთ და უბრალოდ თქმს სჯობს, — მე როგორც მამა და ერთი მშრომელი კაცი, დიდ მადლობას გეუბნები ამ კარგი ახალგაზრდების გაწურთვნისთვის. დიდხანს იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ.

ეგნატე წამოდგა და თამადას გადაეხვია. ყმაწვილებიც წამოიშალნენ, ჭიქები ასწიეს და აღელვებულნი ხან თავიანთ საყვარელ მოხუცს შეხედავდნენ, ხან ერთმანეთს გადახედავდნენ და თვალით ანიშნებდნენ — ყველას უძნელდებოდა ამ წუთში რაიმეს თქმა, სიტყვას ვერ დააწყობდა, იქნებ ზოგს ხმის კანკალიც გამორეოდა, თანაც აუცილებლად უნდოდათ განსაკუთრებით ედღეგრძელებიათ, გულწრფელად ეთქვათ მისთვის, რასაც ფიქრობდნენ. ბოლოს ისევ ჯონქამ გაჰბედა, თუმც ისიც საკმაოდ წამოწითლებული იყო და წარბი უთამაშებდა.

— ბევრჯერ უთქვამთ, რომ ადამიანს შეიძლება ყველაფერი წაართვა, — ხმადაბლა, თითქო თავისთვის დაიწყო ჯონქამ, — ყველაფერი წაართვა, — ქონება, ღირსება, სილამაზეც, მაგრამ ცოდნას ვერ წაართმევ, ეს ყველაზე უფრო დიდი განძია, ყველაზე უფრო დიადი წუთები კი ადამიანის ცხოვრებაში უთუოდ მაშინ არის, როცა გრძნობ, რომ ახალ, აქამდე შენთვის სრულიად უცნობ სამყაროს მისწვდი გონების თვალით. და ის, ვინც ამ სამყაროს კარები გააღო შენს წინაშე, ისეთივე კეთილის მყოფელია, როგორც მკურნალი, უსინათლოს რომ თვალისჩინი დაუბრუნა და ქვეყანა დაანახა. თვითეული ჩვენგანი, პატივცემულო მასწავლებელო, თქვენ გაფასებთ არა მარტო იმიტომ, რომ წაურთმეველი განძი—ცოდნა მოგვეცით, არა მარტო იმისთვის, რომ უწინ თითქო ნახევარკაცები ვიყავით და ახლა, როცა ქვეყნის ავკარგი გავიგეთ, წარსულში ჩავიხედეთ — მთლად კაცობას მგონი აღარაფერი გვიკლია. არის კიდევ ერთი რამ, რისთვისაც დიდ პატივსა გცემთ, რისთვისაც განსაკუთრებით ძვირფასი ხართ ჩვენთვის. ყოველი ახალგაზრდის ცხოვრებაში არის ხანა, როცა შეგნებულად და თავისი ნებით, თუ უნებურად და თავისდა შეუმჩნევლად, ვინმესა ჰბაძავს. ზოგჯერ მიბაძვის საგანი ულირსია, ძლიერი შთაბეჭდილებით მიუზიდავს უბრალო სული, როგორც ზიზილ-პიპილები იტაცებენ ბავშვებს. ამ მიბაძვას ან როგორც იტყვიან ხოლმე — გავლენას, — იქნებ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს პიროვნების ჩამოყალიბებისთვის, მისი მომავლისთვის...

ჯონქა შესდგა და ფეხზე მდგარ მეგობრებს გადახედა. ისინი ჩუმად უსმენდნენ. გიგას ისევ ჩამოვარდნოდა შუბლზე სქელი თმა, შავი ნამგალას ფრთასავით, განიერი მხრებით ჩრდილავდა მაგიდას, ღვინის ჭიქას დასცქეროდა და შეერთებული, ხშირი წარბები თვალებს უფარავდნენ, მხოლოდ მოკლედ შეკრეჭილი ულვაშები უკრთოდა ხანდახან. ქერა, ცისფერთვალება ნიკო მოწიწებით უყურებდა ლაზიშვილს, ცალი ხელით ნერვიულად ღილებს იგრეხდა ხალათის საყელოზე, მეორეთი კი მაღლა აწეული ჭიქა ისევ ეჭირა მკერდთან, როგორც თოფი საპატიო ყარაულში მდგომს. ჩაგუ ერთ წერტილს დასჩერებოდა მაგიდაზე თავისი წყლისფერი გუგებით, მაგრამ ეტყობოდა, რომ ისიც უსმენდა სხვებთან ერთად.

— მე მეძნელება ლაპარაკი, — განაგრძო ჯონქამ, — რადგან მსგავსი რამ ჯერ პირში არავისთვის მითქვამს. თქვენ სწორედ ის ადამიანი ხართ, პატივცემულო მასწავლებელო, რომელსაც ჩვენ ვეცდებით მივბაძოთ. ყველა, ვისაც სწავლა-განათლება მიულია, თავს ინტელიგენტათ სთვლის, მით უმეტეს, თუ უმაღლესი განათლება აქვს; ჩვენ კი თქვენგან ვისწავლეთ, რომ არის ერთი, ძნელად შესამჩნევი, მაგრამ უტყუარი სინჯი, რომელიც „ვითომ ინტელიგენტებს“ განასხვავებს ჭეშმარიტი ინტელიგენტებისგან, რამეთუ უთქვამთ — ყველა ოქრო არ არის, რაცა ბრწყინავსო. ეს სინჯი ხალხისადმი სამსახურია. მე თუ მკითხავთ, უბრალოდ ვიტყოდი — უწინ მთაში ძლიერი ის იყო, ვისაც ხმალი უჭირდა, მაგრამ გმირი იყო მხოლოდ ის, ვინც თავის ძალით კისერზე კი არ

დაეჯდებოდა სხვებს,—მშვიდობაში კაცი იქნებოდა უბრალო, და ომში—თემის დამხმარე და იმედი. ახლა ძალა ცოდნაშია.

ჩვენც ვეცდებით ვიყვნეთ უბრალონი და ჩვენი ძალით ხალხის დამხმარე. სხვა რაღა ვთქვა, სტუდენტების კიდევ მრავალი თაობა გაგეცილებიოთ ასე, მასწავლებელო...

ახალგაზრდები მაგიდაზე გადაიხარნენ და ჭიქები მიუჭახუნეს ეგნატეს. მღელვარება, ეტყობოდა, იმასაც გადაედო, მოკლე წვერს იფურჩქნიდა თითებით და მადლობას ეუბნებოდა ყველას. შემდეგ მოითხოვა დამსხდარიყვნენ; მხოლოდ ნიკო დარჩა ფეხზე და ძლიერ ჩქარა, მაგრამ აბნეულად, ერთიდაიმავე ფრაზების განმეორებით, სიტყვა უთხრა. მის ხმაში იმდენი გულწრფელობა იყო, თვალებიც ისე გაუწითლდნენ, თითქოს სატირლად მოემზადაო, რომ ადვილად აპატიებდი ბუნდოვან აზრებს და უხეირო წინადადებებს.

ჯონქა კი უკვე აღარავის უსმენდა. იგი იჯდა და ატყობდა თავის თავს, რომ უცნაური ამბავი ემართება, — ყველაზე მეტად საკუთარმა სიტყვებმა ისევ ჯონქაზე მოახდინეს შთაბეჭდილება.

ზოგჯერ ხმამაღლა ნათქვამი უეცრად ნათელს გახდის იმას, რაც ჩუმ ფიქრებში ბუნდოვანი და ძლიერ დახლართული გვეჩვენება.

განა, ერთ დროს, ისე როგორც ახლა, ყველაფერი გარკვეული არ იყო ხორნაულისათვის? მას თურმე ჰქონდა თავისი მიზანი ცხოვრებაში, თავისი იდეალი. მაშ საიდან გაჩნდა ეს შფოთვა, დაბნეულობა...

„უფრო მაღლა, მაღლა უმიზნე“...

დიაღ, იგი ისმენდა ქადაგებას და სდუმდა, თუმცა კარგად იცოდა რა სიმაღლეზეც იყო საუბარი, ალფეზი საკმაოდ ცინიკურად ლაპარაკობდა.

და იმ კაცის ჟინიანობით, ხელში შესობილ ხიწვს რომ იჩიჩქნის, ჯონქა შეუდგა ყველა იმის გამოძიებას, რაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში უფიქრია და განუცდია.

მანანას დაბადების დღეს იგი ჯერ კიდევ ჯონქა ხორნაული იყო. გაქერქეშებულმა საყელომ ხელი ვერ შეუშალა — მიხვდა, რომ შეცდა, როცა აქ მოსვლისას რაიმე ახალს მოელოდა. აივანზე ყურმოკრულმა საუბარმა კი უფრო მეტიც აგრძნობინა. შემდეგ იქ, კიკეთის ტყეში, ეშმაკმა უწყის საიდან მოხვედრილი, გულდასმით უსმენდა ალფეზ ჩიქოვანს; უსმენდა და ერთხელ მაინც თუ შეეკამათა? არა, რადგან, — ცოდვა გამხელილი სჯობს ხორნაულო, — როცა ციხისელის სახლი მიატოვე იმ ღამით, წამოხველ და კარი შენვე გამოიხურე— კუდი კარებში დაგრჩა. ალფეზმა სწორედ იმ კუდს, პატივმოყვარეობას რომ ეძახიან, მაგრად ჩასჭიდა ხელი, და მერე, ვინ იცის რამდენ ხანს, უკულმართად დაგატარებდა.

„დიდების მაძიებელი“... ჯონქამ ჩაიცინა და გადახედა თავის ამხანაგებს.

ახლა ჩაგუ ამბობდა სიტყვას; იგი მგონი ავტობიოგრაფიას ჰყვებოდა, უთუოდ იმიტომ, რომ ეგნატე ლაზიშვილი, რომელსაც იგი გადაუჭარბებლად რომ ითქვას, თაყვანსა სცემდა, მშობლების შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა მის ცხოვრებაში.

ამ ბიჭებს საკუთარი დიდი გზა ჰქონდა, მაგრამ ისინი არ იყვნენ დიდების მაძიებლები.

ალფეზიც ხომ ჰპირდებოდა დღეს ხორნაულს „დიდ საქვეყნო გზაზე გაყვანას“...

— ის კაცი ჯონქამაც ნახა, — ჩაგუ ჯონქას მოუბრუნდა, — გახსოვს? ლუდხანაში რომ შეგვხვდა?..

— ვინ კაცი?.. — ვერ გამოერკვა ჯონქა, იგი აქამდე არ უსმენდა ჩაგუს ლაპარაკს.

— აი, ლუდხანაში რომ შემოვიდა, ჩოფურა, ბოხოხიანი... ამ ორი თვის წინ, გახსოვს? გამანთავისუფლესო, ამბობდა...

— ჰო, როგორ არა... — მოაგონდა ჯონქას; ეს სწორედ იმ საღამოს იყო, პირველი ყელსახვევი რომ გაიკეთა და მანანასთან მიდიოდა. თავის გასამხნევებლად ლუდხანაში შეიყვანა ჩაგუ. შემდეგ ჯონქამ უეცრად სხვა რამეც გაიხსენა. ეს ხომ ნამდვილად ის კაცი იყო, თეთრ დუქანში რომ ნახა და ველარ კი იცნო, თუმც ძლიერ ეცნაურა.

— ის სარხანია, — განაგრძობდა ჩაგუ, — განაკულაკეს და მერე, ნებადაურთველად საქონლის დაკვლისთვის, ჩასვეს კიდეც. მე ნის თხებს ვმწყემსავდი და დაწვრილებით ვიცოდი ყველაფერი...

„აჰ, აი თურმე ვინ ყოფილა“.. ჯონქას უწინაც ქონდა გაგონილი ჩაგუს თავგადასავალი.

ისევ თავის ფიქრებს დაუბრუნდა ჯონქა. ავგაროზი კი არა ჯადო იყო ის პატარა ენძელა, მკერდით რომ დაატარებდა აქამდე. გამოლოცვა სჭირდებოდა მისი ძალისაგან თავის დასახსნელად.

როცა ჩაგუმ როგორც იქნა დაამთავრა სიტყვა, სხვებმაც რიგრიგობით ადლეგრძელეს ეგნატე და საკმაოდ დალალეს, რადგან კურსდამთავრებული თუ თავის პოფესორს სიტყვით მიმართავს — მჭერმეტყველებაც უნდა გამოიჩინოს, ნაკითხობაც, მალალი მისწრაფებები, სიყვარული, პატივისცემა, და ბევრი სხვა რამ.

სამადლობელი ძლიერ მოკლედ სთქვა ეგნატემ და ჯონქას მოეჩვენა, რომ იგი მხოლოდ მის გასაგონად ამბობდა.

— გახსოვდეთ, ყმაწვილებო, თქვენი მოხუცი ამხანაგის რჩევა, — დააბოლოვა ლაზიშვილმა, — ის პრინციპები, რომლებიც თქვენ ახლა გაქვთ, ცხოვრებაში სასტიკ გამოცდას გაივლიან, ათასი წვრილმანი ეცდება ცხის შიგნიდან გატეხვას. ვინც შეურყეველი დარჩება — მხოლოდ ის ატარებს ახალი ადამიანის საამაყო სახელს.

ჯონქამ გადასწყვიტა ცალკე ენახა ლაზიშვილი და ელაპარაკა მასთან. თამადამ ისევ მოითხოვა თიხის ჯამი.

დრო მიდიოდა; თედო თანდათან უფრო ხშირ-ხშირად ისწორებდა ვერცხლის ბალთიან ქამართან ხალათის კალთას, რასაც უსათუოდ ახალი სადღეგრძელო მოჰყვებოდა. სუფრაზე მხიარულებამ იმატა, სიმღერაც შემოსძახეს, ხოლო ტანმორჩილი ტიკჭორა გახდა, დაილია! ტახტზე წოლა აღარ შვენოდა, წამოაყენეს და სკამზე დასვეს. დაფუყულმა ჯერ კიდევ ნახევრამდე სავსე მუცელზე დაიწყო თათები, იჯდა ასე, გაკოტრებულ სოვდაგარივით, ხის ჭიპი უშლიდა, თორემ წელში ორად მოიკეცებოდა.

ნაშუაღამევის მეორე საათი დაიწყო და ეგნატე წამოდგა, ბოდიში მოიხადა — ხვალ დილით გამოცდები მაქვსო. ჯონქამ განაცხადა, რომ სახლამდე გაიცილებს; ეგნატე წინააღმდეგი იყო, მაგრამ ჯონქა გაჯიუტდა, კუთხეში მიყუდებული კაუჭიანი ყავარჯენი მოუძებნა და გაჰყვა.

გარეთ გაზაფხულის წყნარი ღამე იყო, მთვარის სინათლეზე აგურის ქარხნის მილები შორს, სახლების სახურავებზე ისროდნენ გრძელ ჩრდილებს. თალხ არშიებად ეშვებოდა ჩრდილი შენობის კედლებზე, ჭუჭას მიჰყვებოდა კუპრის შავი ნაკადივით.

მთვარის სხივებსა და ელექტრონის სინათლეში ეძინა ვაკეს. სიჩუმეში ხმამაღლა ისმოდა ეგნატეს ყავარჯნის ასფალტზე რაკუნი.

— სხვა ჯონქა,—უთხრა ეგნატემ, — შენ ახლა საით აპირებ სამსახურს? ფშავში?

ჯონქა ფიქრობდა რა პასუხი უნდა გაეცა და მანამ მიჰყვებოდა უსიტყვოთ, სანამ არ შეატყო, რომ კიდევ დუმილი უკვე უზრდელობა იქნებოდა. გადასწყვიტა სიმართლე ეთქვა:

— ფშავში დამნიშნეს, მაგრამ უარი ვთქვი....

ჯონქა მოელოდა მომდევნო კითხვას, რომელიც დღეს ათჯერ მაინც მისცეს — რატომ?

მოლოდინი არ გამართლდა. ეგნატე ისე მშვიდად მიარაკუნებდა ჯოხს, თითქოს ასფალტს სიმაგრეს უსინჯავდა.

ჯონქამ გაიფიქრა, რომ იგი ამ წუთში ან იდიოტად ჩასთვალეს, ან ამ კაცს სულაც არ აინტერესებდა სად იმსახურებს მისი ერთიათასთაგანი სტუდენტი. მაგრამ ჯონქას ახლა ძლიერ უნდოდა ლაპარაკი და მტკიცე ხმით, პასუხს რომ მოითხოვს, იკითხა:

— თქვენ რას მირჩევთ?

ეგნატემ ჩაახველა და ცოტახანს არაფერი სთქვა.

— თუ ფშავში არა, მაშ სად აპირებდი? — თავის მხრივ იკითხა მან.

— თითონაც არ ვიცი...

ეგნატე შესდგა და მიაჩერდა ჯონქას.

— შენ რაღაც მოგსვლია ამ ცოტახანში.

— თქვენ გინდათ სთქვათ, რომ გავგიჟებულვარ, — გაიცინა ჯონქამ.

ეგნატემ არ უარყო, ისევ გაჰყვა ქუჩას. მხოლოდ ყავარჯენი ახლა იღლიაში ეჭირა და მის ჩრდილს კუდი გაუჩნდა. ჯონქამ ერთხელ კიდევ სცადა აეღლაპარაკებია იგი.

— მე მინდა ვიცოდე, — სთქვა ხორნაულმა — რა აზრისა ხართ თქვენ სრულყოფილ ადამიანზე. მაინც, როგორი უნდა იყოს... იქნებ ეს სულელური კითხვაა, და აქ არაფერ შუაშია, მაგრამ..

— რა მოგახსენო, — ეგნატემ იღლიიდან გამოიღო ჯოხი და ისევ აახმაურა, — ვის როგორ ესმის. მე ვფიქრობ — სწრაფვა სრულყოფილისაკენ, მთლიანობისაკენ თითქო ბუნების კანონია. როგორი უნდა იყოს? — ეგნატე გაჩუმდა და მაღლა ასწია ჯოხი, — პირველი პირობა — გონება და გული მუდამ თანხმობაში იყვნენ, აზრმა ისეთი რამ არ გაიფიქროს, რომ გული სინდისის ქენჯნამ შეაწუხოს, ან გული ჟინიანობას არ გადაჰყვეს, როცა გონება სხვას გეუბნება....

ჯონქამ გულჯიბე მოსინჯა. ავგაროზი უკვე იქ აღარ იყო.

ნელი ნაბიჯით მიდიოდნენ ისინი დაძინებულ ქალაქში. ეგნატე აუჩქარებლად ლაპარაკობდა და ჯოხის რაკუნით აღვიძებდა კარებთან მთვლემარე ღამის დარაჯებს.

როცა მის ბინას მიაღწიეს და გამოემშვიდობნენ ერთმანეთს — ეგნატემ სთხოვა ჯონქას ამ დღეებში მასთან შეევლო, ფშავზე რაღაც მასალები სჭირდებოდა. ჯონქა დაჰპირდა და წამოვიდა.

იგი ახლა პირდაპირ საერთო საცხოვრებლისაკენ გაემართა, რადგან უკვე გვიან იყო. ორიოდე საათით თვალს მოატყუებდა და ისევ ადგებოდა, — ექვსი საათისთვის სოლოლაკში უნდა ყოფილიყო.

იმავე ქუჩებით ბრუნდებოდა უკან ხორნაული და ჩვეულებისაებრ გზაში ფიქრობდა. ხიარულის დროს უფრო ადვილია ფიქრი. ჯიბეებში ხელჩაწყობილი, თავაღებული მიდიოდა დაცარიელებულ ქუჩებში.

მას უკვე გული აღარ აძლევდა ნებას ალფეზთან მისვლისას, ხვალ დილით ადრე ადგომაც ეზარებოდა, მაგრამ სიტყვა მიცემული ჰქონდა, დაპირება უნდა შეესრულებია.

X.

სიცხე იყო და გიორგის მაინც ბეწვის საყელოიანი, თბილი პალტო ეცვა. ალფეზი უკვე ველარ იტანდა მის დანახვას. ბეწვის საყელოდან ისე იყურებოდა გიორგი რქის სათვალეებით, თითქოს გომბეშო მოსდგომიაო ტალახიან თხრილის პირს.

ყოველთვის ცუდი ფერი ჰქონდა გიორგის, მაგრამ ახლა უცნაურად ჩასცვივნოდა საფეთქლები. დაწითლებულ ქუთუთოებზე ეტყობოდა, რომ სიცხე უნდა ჰქონოდა.

იგი სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა კაბინეტში, კარები მაგრად მოიხურა, სავარძელში ჩაეშვა და მუხლებზე დიდი ტყავის პორტფელი დაიდო.

— გაიგე?

ალფეზმა მაგიდაზე მდგარი ტელეფონისკენ წაიღო ხელი უნებურად, თითქო ეშინოდა, რომ საიდუმლოება კაუჩუკის ყურსაც კი არ მოესმინა, მან კითხვით შეხედა გიორგის.

— დავით ციხისელი წუხელ დაუპატიმრებიათ.

ალფეზმა უეცრად იგრძნო საშინელი სურვილი, მაგიდიდან აეღო მარმარილოს მძიმე დაფა, სამელნეების დასაწყობი, გადასწვდომოდა მაგიდას და ისე ჩაესრისა ეს სათვალეებიანი კაცი სავარძელში, როგორც გომბეშოს ან სხვა რომელიმე ქვეწარმავალს გასრესავენ ხოლმე ზიზღით, თვალის არიდებით, მხოლოდ ჭყლეტის ხმას თუ გაიგონებენ, თორემ აღარც მიჰხედავენ—იმ ადგილს.

— მერე? ჩემთან რა მოგარბენინებდა?

— თუ რამე ქალალდები გაქვს — უნდა დასწვა.

— არ მჭირდება დარიგება, ბავშვი არა ვარ.

— ვიცით. — გიორგის დაწითლებული ქუთუთოები აუხამხამდნენ, მან პორთველი დააგდო მაგიდაზე და აცახცახებული მოკუმა. ალფეზი პირველად ხედავდა მას გაბრაზებულს.

— ნეტავ ვიცოდე რისი იმედითა გაქვთ ასეთი კადნიერი ტონი, თქვენ... — გიორგიმ ისე აუწია ხმას, რომ ალფეზმა კარებისკენ მიიხედა, — თქვენ ხომ იცით, რომ ეხლა ერთი გზა გვაქვს. იქნებ პროფესორი ციხისელივით მხოლოდ დროებით თანამშრომლობდით ჩვენთან? სასაცილოა პირდაპირ, ციხისელსაც უთუოდ თქვენსავით გარკვეული წმინდა „პოლიტიკური“ მიზნები ჰქონდა, როცა დასაავადმყოფებლად ამზადებდა პრეპარატს, როგორც თქვენ.

— ყოველ შემთხვევაში, — ალფეზმა შეიხსნა, რადგანა სუნთქვა ეკვროდა,—მე არ ვეფარებოდი რაღაც არარსებულ თეორიებს. ციხისელი თქვენ მეორე, გაღმელი ბანაკიდან მოიყვანეთ. მასეთებს სამოქალაქო ომის დროს ვხვრეტდით.

— ახ, გაღმელი ბანაკიდან. თქვენ რომელ ბანაკსღა ეკუთვნით?

— თქვენსას მაინც არა, ჯაშუშებისა და პროვოკატორებისას...

— რასაკვირველია, თქვენ მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდების სურვილი გამოძრავებდათ. ზეკაცი, არა? მიზანი ამართლებს საშუალებას, თქვენ-

უნდა მოექცეთ მწვერვალზე, ბუნებით მონიჭებული ენერგიაა, არა? და ამისათვის თქვენ, ალფეზ ჩიქოვანმა გამოგვიყენეთ ჩვენ ყველანი... ხა... ხა...

გიორგიმ გაიცინა და ცხვირსახოცი ამოიღო.

— მე თქვენ გეტყვით ახლა, როცა უკვე აღარა ხართ საჭირო, რას წარმოადგენთ თქვენ, ალფეზ, — გიორგიმ ცხვირსახოცში ჩააფურთხა და ტუჩები მოიწმინდა.

— გეყოფათ, ფარდა უკვე ეშვება, რა საჭიროა ეს ფარსი კულისებშიც გაგრძელდეს.

— დიახ, დიახ, კულისებში, სწორედ კულისებში, მე თქვენ გეტყვით რას წარმოადგენთ თქვენ, რომელსაც ნერონისა და ნაპოლეონის როლი გინდათ გაითამაშოთ, მაგრამ ასეთ როლს ბალაგანშიც კი არავინ მისცემს ისეთ უნიჭო სტატისტს, როგორსაც თქვენ წარმოადგენდით.

ალფეზმა მშვიდად დაიწყო გულზე ხელები. მას ბრაზით უთრთოდნენ კისრის კუნთები, მაგრამ დაცინვით შესცქეროდა მოსაუბრეს.

— თქვენ, — განაგრძო გიორგიმ და გაყვითლებული ხელი გამოიშვირა ალფეზისაკენ, — თქვენა ხართ ერთი უპრინციპო, უბადრუკი ავანტიურისტი, რომელიც ისევე შემთხვევით მოვიდა რევოლუციასთან, როგორც შემთხვევით წავა.

— მოვიდა?!! შენც რევოლუციონერად სთვლი თავს?..—და ალფეზმა მწარედ, ორ სართულიანად შეიგინა. გიორგის თითქო არც გაუგონია გინება, საკმაოდ ხმამაღლა წარმოთქმული.

— მთელი თქვენი ცხოვრება კარიერისთვის ბრძოლა იყო. რევოლუციამ ბევრი თქვენისთანა გაიტაცა თან, ამოატივტივა კიდეც, მაგრამ ზღვა ლეშს არ დაიტოვებს, უსათუოდ გარიყავს ნაპირზე. ადრე თუ გვიან უნდა გამოჩენილიყო თქვენი ბუნება და აჰა... რა გინდოდათ თქვენ? მაინც რითი ხართ უკმაყოფილო? იმით, რომ ბოლშევიკებმა უფრო მეტი თანამდებობა არ მოგცეს? ჰმ, რასაკვირველია, — ნერონი, ბატონო, ნაპოლეონი, კრომველი, კომისრად როგორ დაეტევა ამ პატარა რესპუბლიკაში...

— შენ რაღა ხარ, ვომბეშოვ, — ალფეზმა საკუთარ მკლავებს მოუჭირა გულზე დაწყობილი ხელები, — შენ პოლიტიკური მოლვაწე გგონია შენი თავი? უბრალო ჯამაუში ხარ, რაჭდენს გაძლევენ ჯამაგირს, რომ კარიერაზე აღარ ფიქრობ?

— ჯამაგირს? აჰ, მაგაზე არც თქვენ იტყოდით უარს, თქვენც გინდოდათ ვალიუტით მიგელოთ გასამრჯელო „ზეკაცობისთვის", არა? დიახ, ჩვენ საზღვარგარეთთან გვქონდა კავშირი, რადგან ვიცოდით, რომ თქვენისთანა ნაძირალებით შიგნით ვერაფერს გავაკეთებდით, ხოლო უცხოეთის ყუმბარმშენები, მძიმე კრეისერები შესძლებდნენ ჩვენთვის გადმოეცათ ხელისუფლება.

— ელოდეთ, ხვალვე ჩაგაბარებენ მინისტრის პორფელს!

— რას იზამ. ნიშნის მოგებით რომ მელაპარაკებით, უნდა იცოდეთ, რომ ჩემზე ადრე თქვენ დაგხვრეტენ.

გიორგიმ ისევ ჩააფურთხა ხელსახოცში.

— ვინ იცის. იმასაც ფიქრობთ, რომ თუ ცუდად წავა საქმე, გაგვცეთ და თავი დაიძვრინოთ, მაგრამ არა, ამაო ოცნებაა, ბოლშევიკებს თქვენ ვერ მოატყუებთ, პირისპირ დაგვაყენებენ დაკითხვის დროს.

გიორგი უეცრად შეიკუმშა მთელი ტანით, ნიკაპი ღრმად ჩამალა ბეწვის საყელოში. ერთ წუთს დაფიქრებული იჯდა, თვალები გაუშტერდნენ. შემდეგ სწრაფად წამოდგა ფეხზე, პორთფელი იატაკზე გადმოუვარდა მუხლებიდან.

— წავედი.

პორთფელი აიღო და კარების სახელურს მისწვდა. კარები თვითონ გაიღო. ტალანში ხაკისფერ ტანსაცმელიანი, რევოლვერიანი კაცები იდგნენ.

გიორგიმ ერთი მოჰხედა უკან ალფეზს.

ჩიქოვანს ორივე ხელები მაგიდის უჯრაში ჩაეწყო. ოდნავი სიფითრე გადაჰკრავდა სახეზე.

გიორგი გავიდა ტალანში და თან კარი გაიხურა, თუმცა აშკარა იყო, რომ ხაკისფერ ტანსაცმელიანები ჩიქოვანის კაბინეტში აპირებედნენ შესვლას.

იგი ერთ წუთს შესცქეროდა მის წინ მდგომ უცნობ სახეებს. შემდეგ ნაბიჯის გადადგმა დააპირა, მაგრამ შეაჩერეს:

— მოითმინეთ. თქვენ დაპატიმრებული ხართ.

XI

ჯონქამ ზანტად გახედა გზას. ისეთი ამინდი იდგა, რომ კაცს არ გინდოდა რამეზე გეფიქრნა. შეწუხებულიყავი. თეთრი დუქანი შორს დარჩა და თანამგზავრი ჩუმად მოაბიჯებდა გვერდით. ჯონქამ აქამდე არ იცოდა რა უნდა გაეკეთებია. მას ახლა ეზარებოდა კიდეც კითხვა, მით უმეტეს, რომ წინასწარ იცოდა, ცოტა ხნის შემდეგ თითონ ჩოფურა კაცი დაიწყებდა ახსნა-განმარტებას.

გზის პირზე ბალახი ცვრით იყო მოფრქვეული და ფეხსაცმლის წვერებს ასველებდა.

მზე სასიამოვნო ერუანტელს ჰგვრიდა, განუწყვეტლივ ისმოდა ჭრიჭინების ხმაური, თითქო მიწა, მცხუნვარე მზით შეწუხებული იშმუშნებოდა და წუწუნებდა ამ ჭრიჭინების პირით.

მწვანე ხვლიკი გაისრიალებდა ზოგჯერ. ტოროლა შეფრთქიალდებოდა მაღლა, მერე ფრთებგაშლილი წამოვიდოდა და მხოლოდ იმ ორიოდე წამს, როცა ეცემოდა, ძირს მოდიოდა,—უსტვენდა თავის მოკლე და მხიარულ სიმღერას.

— შორს არიან მეცხვარეები? — ჰკითხა ჯონქამ თანამგზავრს.

ჩოფურამ შუბლი დაიჭრიტლა და ბოხოხი უკან გადაიწია.

— აგერ, იმ ხევს გადაღმა უნდა იყვნენ.

ჯონქამ თვალი მოავლო მის ფანჯარას და მოაგონდა პირველი შეხვედრა ამ კაცთან, ლუდხანაში, როცა ჩაგუსთან ახალ კოსტუმს ასველებდა.

— ჩაგუს იცნობთ არა? — ჰკითხა ჯონქამ.

— სირიას? როგორ არ ვიცნობ იმ დედამკვდარს... — ბოხოხიანმა ჩაიცინა. და მზისგან თვალმოხუჭულმა გადმოხედა ჯონქას,—იმას უნდა ერიდოს კაცი,— დარიგებით დაუმატა მან.

— რატომ?

— ვაი, მაგან დამლუპა ზე, მაგ სულძალლმა.

ჯონქა დაინტერესდა, აქ რალაც იმალებოდა.

— მაგის მამა ჩემსას იყო გაზრდილი, — განაგრძო თანამგზავრმა, — მე რომ არ ვყოფილიყავი, ჭადი არ ექნებოდათ საჭმელად, მაგრამ კარგად გადამიხადა ჩაგუმ. სულ მაგან და მაგის ძმა-ბიჭებმა, კომკავშირელებმა მომიწყეს განკულაკება და მერე კიდეც დამიჭირეს და გადამასახლეს.

— რატომ?

ბოხოხიანმა გაიღიმა.

— რალა დაგიმალო, ჩვენი კაცი ხარ, — კოლექტივის საქონელი გავრეკე ლეჩხუმში.

— მერე? — ვერ მიხვდა ჯონქა.

— მერე და გავყიდე.

— ჰოო.

მაშ ასე, ამ კაცთან ერთად მიდის ჯონქა რაღაც საქმის გასაკეთებლად.

— ერთი ეს მითხარი, — ჯონქა დაიხარა, ბალახი მოგლიჯა და ნედლი ღეროო დაიხვია თითზე, — ერთი ეს მითხარი — რა უნდა გავაკეთოდ ჩვენ დღეს?

— ო, მაგას კარგად მოფიქრება უნდა.

— მერე და აქამდე ვერ მითხარით, თუ კარგად უნდა მოფიქრება?

ბოხოხიანმა ჩაიცინა.

— არც მე ვიცოდი აქამდე. ხომ გენდობიან მეცხვარეები?

— მენდობიან? რა მხრივ...

— ხომ მიგვიშვებენ ახლო, ლაპარაკს გაგვიმართავენ.

— რა თქმა უნდა, თუ მართლა და ჩვენებური, ფშაველი მეცხვარეებია, ახლო მიგვიშვებენ კი არა, აღარც გამოგვიშვებენ, ისე გაეხარდებათ ჩვენი მისვლა.

— აჰ, მაგ ღმერთმა ნუ ქნას, რომ აღარ გამოგვიშვან.

— ამიხსენით მაინც, რა უნდა გავაკეთოთ.

— რა და მივალთ, გაუმართავთ მუსაიფს. როცა ლაპარაკში გაერთობიან, შენ ან მე, რომლისათვისაც უფრო მოხერხებული იქნება ან ორივე, ამოვიღებთ აი, ამას, უყურე...

მან მაზარის ორივე ჯიბიდან ამოიღო პატარა შუშები, მსხლის ფორმისა, შავი, მომწვანო სითხით სავსე.

— ერთს გაჰკრავ წკიპურტს თავზე და ისე თხელი მინაა, ხელად მოტყდება. მერე უნდა შეუმჩნევლად დავიჭიროთ ცხვარი, ვითომ ვეჭიდებით და დუმას უსინჯავთ, ერთი-ორი წვეთი უნდა გადმოისხა ეს წამალი პეშვზე და დრუნჩზე მოუსვა ცხვარს. ასე სულ ცოტა ათ ცხვარს მაინც უნდა გაუკეთოთ, ზოგი თითონ აგილოკავს ხელს ზოგს ბალახს როცა სჭამს, ზედ უნდა მოუპკურო.

— კი, მაგრამ, რისი წამალია ეს?

ბოხოხიანმა მხრები აიჩეჩა და გაიღიმა.

— რა ვიცი, უშვილობის მალამო რომ არ იქნება შენც მიხვდები.

ჯონქა გაოგნებული მიაბიჯებდა შარაზე, იგი ვერ ბედავდა დაეჭვებულიყო. მას მოაგონდა ის დღე, როცა ფუნდუკში მოხვდა პირველად. ვიღაც პასუხისმგებელი პირი ბრუნდებოდა ბეთანიის დასასვენებელ სახლიდან და ალფეზსა და გიორგის გრძელი საუბარი ჰქონდა მასთან, ცალკე, კარდახშულ ოთახში. შემდეგ უცნაურად ხანმოკლე ნადირობა კიკეთის ტყეში. მერე უცნაური დავალება, რომელსაც ალფეზის თქმირ იგი უნდა გამოეცადათ, გამოდგებოდა თუ არა სხვა, უფრო სერიოზულ საქმისათვის. ჯონქა მოუთმენლად მიუბრუნდა თანამგზავრს:

— კი მაგრამ, ხომ უნდა ვიცოდეთ რა მიზნით კეთდება ყველაფერი ეს.

ბოხოხიანმა ისევ აიჩეჩა მხრები.

— რას იზამ, ასეთია დავალება.

სწორედ ამ დროს საურმე გზა ხევის პირს მიადგა და გალმა მინდორზე გარეკილი ცხვარი გამოჩნდა. ჩანგლებიანი ნაგაზები ყეფით გამოქანდნენ.

— ჰა, ჩაიდე ჯიბეში, — მიაჩეჩა წამლიანი შუშა ბოხოხიანმა.

— არა, — ჯონქამ მოიშორა გამოშვერილი ხელი, იგი უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ნაგაზებს მწყემსი ბიჭები გამოუდგნენ გასაშველებლად. სანამ ჯონქა რამის თქმას მოასწრებდა ბოხოხიანმა დაიძახა:

— ჰეი, მეცხვარეებო, აქეთ მოდით, მეზობლები გესტუმრნენ.

ნაგაზებმა მწყემსებს გამოუსწრეს, ხევგამოღმა გამოცვივდნენ და მოსულებს შემოუტიეს. ერთი ულალა ნაგაზი მოზვერის ოდენა იყო, ყველაზე ვეებერთელა ჩანგლები უჩხრიალებდნენ, ისე აკაპუნებდა ადლის სიგრძე შუანებს, რომ ჯონქამ და მისმა თანამგზავრმა ჩაბუქნეს და ამაოდ ეძებდნენ ქვებს სველი ბალახით დაფარულ მიწაზე.

მწყემსებმა კომბლითა და შოლტის ტკაცუნით მოაშორეს ძაღლები სტუმრებს.

ჯონქამ ერთი მათგანი, თალფაქიანი ახალგაზრდა ბიჭი იცნო.

— გამარჯობა ლექსო.

— გაგიმარჯოს. — ბიჭმა უთუოდ ვერ მოიგონა ვინ უნდა ყოფილიყო ეს კოსტუმიანი ჭაბუკი, — მობრძანდი — დაუმატა მან.

— სარქალი ვინა გყავთ? — თითონაც არ იცოდა რისთვის შეეკითხა ჯონქა.

— მელაანთ თევდორა.

— მართლა?—ჯონქას გაეხარდა, კარგად იცნობდა ამ მოხუცს. ამ დროს ბოხოხიანი გვერდით ამოუდგა და სწრაფად ჩაუდო შუშა შარვლის ჯიბეში.

— აგერ იქა დგას, — მწყემსმა კომბლით მიუთითა გალმა, ფარის ნაპირთან გაჩერებულ მწყემსებისაკენ.

— სარქალო, — დაუძახა მეორე მწყემსმა, — აბა აქეთ მოდექ. შენა გკითხულობენ.

— ჩვენ თვითონ მივიდეთ, უფროსი კაცია. — სთქვა ბოხოხიანმა.

მოსულები უკან გაჰყვნენ მწყემსებს, თევდორე კომბალზე დაყრდნობილი იდგა. შეერთებული ჰქონდა თეთრი წვერი, თმა და ულვაში. ქამარზე ადლიანი, შავტარა ხანჯალი და ტყავის მათარა ეკიდა. ისეთი სიმშვიდე და თავდაჭერა გამოსჭვივოდა ამ მოხუცის სახიდან, რომ უნებურად პატივისცემასა და კრძალვას იგრძნობდი.

მოხუცი ყურადღებით ათვალიერებდა მოსულებს, სანამ მიუახლოვდებოდნენ შემდეგ მიეხალმა და ჰკითხა რაზედ გარჯილხართო.

— ჩვენებურების ნახვა მომინდა, პაპავ, — უთხრა ჯონქამ ღიმილით. ამ წუთში იგი ისე გახარებული იყო მოხუცის ნახვით, რომ სჯეროდა რასაც ამბობდა.

თევდორემ მოულოდნელად იცნო ჯონქა და სახე გაუნათლდა.

— ბალღო, შენ ლუკას ბიჭი არა ხარ?

მწყემსები გარს შემოეხვივნენ მოსულებს. ჯონქამ იკითხა სოფლის ამბავი, ცხვრისა. თევდორე წინ გაუძღვა სტუმრებს, ბატკნებთან მიიყვანა.

პატარა ბამბის ქულებით იყო მოფენილი მწვანე მინდორი. ბატკნები დაბაკუნობდნენ სუსტი ფეხებით, კიკინით დასდევდნენ დედებს. თევდორემ აიყვანა ერთი მათგანი, ბავშვივით მოეფერა ეს უხეში ვაჟკაცი პატარა ცხოველს, ვარდისფერი ქაჩაჩი გაუსინჯა წინა ფეხებზე, გაქერქეშებული თითი პირში ჩაუდო და მოაწოვინა. უთუოდ თავის შვილებს არ მოფერებია იგი ასე.

მისი შვილებიც, მამასავით მხარბეჭიანი წვერ-ულვაშით შებანჯგვლულნი, მაღალი ცხვრის ქუდებით, რომელშიც შუა ზამთარშიც დაგცხება კაცს, იდგნენ და სიხარულით გაჰყურებდნენ ფარას.

— ავ თვალს არ შეეხედება, შვილო, — უთხრა თევდორემ ჯონქას. ჯონქას უსიამოვნოდ გაჰკრა გულში და ბოხოხიან თანამგზავრს გადახედა. იგი ახალგაზ-

რდა მწყემსებში ჩამდგარიყო, ფარაჯის ჯიბეებში ჩაეწყო ხელები, ქუდი გადაეწია და უთუოდ ოხუნჯობდა, — მწყემსები გულღიად იღიმებოდნენ.

— ეგ კაცი ვინ არის, ჯონქაო? — ჰკითხა სარქალმა.

— თეთრი დუქნიდან წამომყვა გზის მაჩვენებლად.

თევდორემ ახლა ყოჩების სანახვად წაიყვანა ჯონქა. ორი-სამი ისეთი წყვილი მყავსო, იკვეხოდა მოხუცი მწყემსი, რომ არც შირაქში და არც თრიალეთზე მათი ძალის ჭედილას ვერ ნახავო.

ჯონქა უცნაურ მდგომარეობაში იყო. მას არ ჰქონდა დრო, ეფიქრნა როგორ მოქცეულიყო.

მან გადასწყვიტა თვალი არ მოეშორებია ბოხოხიანისთვის, თან წაეყვანა სადაც წავიდოდა. ახლაც მკლავში ხელი მოჰკიდა და გაიყოლია.

ჭედილებს ცალკე აძოვებდნენ. ისინი მართლაც იმოდენანი იყვნენ და ისეთი მკვრივი ტანი ჰქონდათ, რომ ბიტიუგის ცხენებს უფრო წაგავდნენ, ვიდრე ცხვრებს. განსაკუთრებით ერთი მსთგანი გამოირჩეოდა ყღალა ფერისა. უცხო ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანების დანახვაზე მან ბალახის ძოვას თავი შეიანება და მიაშტერდა მათ თავისი გამომეტყველებას მოკლებული თვალებით. ბორცვზე შემდგარი, მზის ქვეშ ოქროს ვერძსა ჰგავდა.

ბოხოხიანმა ალერსის ნიშნად დაუსტვინა და გაემართა ცხვრისაკენ. ყოჩმა ჯიუტად დახარა თავი მოლოდინში, ორი, გრეხილი რქა რკინის რვალებივით ჰქონდა მიკრული ფართო კეფაზე.

— მოიცა, ყინჩო, თორო იქნება მიწა გათხრევინოს, — სიცილით უთხრა სარქალმა ბოხოხიანს, მან ფარაჯის კალთები აიკრიფა და გვერდზე დადგა.

მწყემსებმა მეორე თეთრი ყოჩი გამოათრიეს რქით, ოქროს ვერძს დაუპირისპირეს და ხელი ჰკრეს უკანიდან. თეთრი გაქანდა, მოისმა მძლავრი ჯახანი. დაიწყო ჭიდილი, რომელსაც არავითარი მსაჯი არ ესაჭიროებოდა, ორივე ფალავანი მეტისმეტად კეთილშობილი და რაინდული იყო. ყოველგან წესებს იცავდნენ, საშინლად ურტყამდნენ ერთმანეთს თავებს და ჯონქამ, რომელსაც უკვე დიდი ხანი იყო აღარ ეყურებინა ყოჩების ჭიდაობისათვის, გაიფიქრა, რომ ცხვრებს თვალები წამოსცვივდებოდათ, ან ტვინი შეერყეოდათ.

— ჰაი, თქვე ცეტებო, თქვენა, — დაიძახა თევდორემ, — დაიცა დედლებში გაგიშვათ, იქა ვნახავთ თქვენ ვაჟკაცობასა, კისრებს დაგიბოშებენ სქელდუმიანები.

მწყემსებმა ჩაიცინეს.

— ყველის საქმე როგორა გაქვთ, პაპავ? — ჰკითხა ჯონქამ.

— კარგად. წელს ცხვარი მადლიანად იწველება.

სარქალმა კარავში შეიყვანა სტუმრები და აჩვენა რძით სავსე ქვაბი, რომელიც ცეცხლზე დუღდა. რძის ორთქლით იყო გაჟღენთილი ჰაერი. ერთ მხარეს ყველით სავსე გუდები ეწყო. ქვაბთან ორი მწყემსი ტრიალებდა; იქვე, მიწაზე, გაშლილ ნაბადზე კოჭები ეყარა.

— ერთი ამათ დამიხედე, — სთქვა სარქალმა, — ბალღები ცხვარში ველარ მოგყავს, სკოლას მოსცდებიან, ახლა ამათ დაუწყიათ ბალღებივით კოჭების თამაში.

ისევ გარეთ გამოვიდნენ, კარავთან ჩამოსხდნენ ქვებზე. იქვე პატარა, ჯერ კიდევ ულომუცელი ბუთხუზა ლეკვები დარბოდნენ, მურა დრუნჩებით ედებოდნენ ყველაფერს და ილრინებოდნენ თავის გასართობად.

— აბა, შვილო, ახლა შენ გვითხარი ქვეყნის ამბავი, — სთქვა თევდორემ და ჩიბუხი ამოიღო, — ნასწავლი კაცი ხარ. ჩვენს სოფელში ახლა შენზე უფრო ნას-

წავლი არავინ გვეყოლებაო, ასე ამბობენ. მამა შენი ლუკაი ბედნიერია, აგრემც დაურჩი. კარგია შვილო, ახლანდელ დროში სწავლა თუ არა გაქვს, ვაჟკაცობა ვერას გარგებს, ჯაბანიც დაგჩაგრავს. გაზეთი ხომ არა გაქვს, იქნება ომისა ისმის რაიმე, წაგვიკითხე შენ გახარებას.

ჯონქას გაზეთი არ ჰონქდა. მან ბოხოხიანს ფადახედა. იჯდა ის გაიძვერა, ჭუდი ცხვირამდე ჩამოეწია და ილიმებოდა. ჯონქამ სირცხვილიც იგრძნო და ბრაზიც.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ჯონქას ერთი აზრი ჰქონდა აკვიატებული და ვერ მოეცილებია თავიდან: რა უნდა ყოფილიყო ეს შავი, მომწვანო წამალი?

ოგი მზად იყო ყოველივე ცუდი ეფიქრა, მაგრამ ალფეზი? ნუ თუ ალფეზი სჩადის ასეთ საქმეს?

შემდეგ თანდათან მოაგონდა ალფეზთან საუბარი. მაღლა, სულ მაღლა. იქნებ ესეც გზა იყო სიმაღლისაკენ.

ჯონქას მწარედ ჩაეცინა გულში. პატარა ბატკნების დახოცვა, ამ ხალხის გაუბედურება, დღედაღამ, ავდარში ნაბადს შეფარებული ფეხზე რომ დგას და თავს დასტრიალებს მარჩენალ ცხვრის ფარას.

თითქოს მისი ფიქრის საპასუხოდ ბოხოხიანი ღიღინით წამოდგა ფეხზე და ცხვრისაკენ დააპირა წასვლა.

— სად მიდიხარ, — დაუძახა ჯონქამ, — მოდი აქ დაჯექი.

და იგრძნო, რომ მკვახედ გამოუვიდა. ბოხოხიანმა აგდებულად მოჰხედა.

— გავიარ შე კაცო, ხომ არ დავიკარგები.

— არა, მოდი აქ დაჯექი.

— გაუშვი, იქნებ უჭირს მაგ კაცსა, — სიცილით სთქვა ერთმა ახალგაზრდა მწყემსმა.

ბოხოხიანი მიბრუნდა და ღიღინით წავიდა.

— შენ არ გესმის? — თითქმის დაუყვირა ჯონქამ, თითონაც წამოდგა, წამოეწია და მკლავში ხელი ჩაავლო.

ბოხოხიანმა გაიღიმა სხვების დასანახავად, თვალები კი გადმოეკარკლა.

— გადაირიე? — უთხრა ჩურჩულით, — ეჭვს აიღებენ... რომ ჩავვარდეთ, დაგვხვრეტენ ორივეს.

— მოიტა აქ წამალი.

— ხომ გაქვს შენ ერთი შუშა.

— მოიტა მეორეც.

— რად გინდა?

— მოიტა.

— მითხარი რად გინდა, კაცო, ასე როგორ შეიძლება.

— მოიტა მეთქი.

— დავალებას შესრულება უნდა, ძმაო.

— ვერ შეასრულებ.

— რაო?..

ნაყვავილარი სახე გაუფითრდა, მხოლოდ ფოლაქების მსგავს ხორცმეტებს შერჩათ შავ-წითელი ფერი. ერთ წუთს თვალების ხამხამით შეჰყურებდა ხორნაულს, შემდეგ ხმაშეცვლილმა სთქვა:

— გამიშვი ხელი, შენ შენთვის, მე ჩემთვის, წადი რაც გინდა ის ჰქენი.

ჯონქამ იგრძნო, რომ სიხარულით დაახრჩობდა ამ კაცს. მეორე ხელიც ჩაავლო მაჯაში, ტუჩზე კბილი დაიჭირა და ისე უთხრა:

— ვერსად ვერ წახვალ.

ბოხოხიანმა გაიბრძოლა, გაინთავისუფლა ცალი ხელი და ჯიბისკენ წაიღო, მაგრამ ჯონქამ წელზე შემოჰხვია მკლავები, მიწაზე დაანარცხა და თითონაც თან გადაჰყვა. რამდენჯერმე გადაგორდნენ მიწაზე ასე ჩაბღუჯულები.

მწყემსები მოცვივდნენ, გააშველეს და ფეხზე წამოაყენეს ორთავენი.

— რასა ძიძგილობთ, ყინჩო, — გაკვირვებულნი ეკითხებოდნენ ორთავეს.

— დაიჭით ეგ კაცი, არ გაუშვათ — დაიძახა ქშენით ჯონქამ, — ცხვრის მოწამვლას აპირებდა.

ბოხოხიანმა გაიწია, მაგრამ მაგრად ეჭირათ.

— რა ამბავია, შვილო, ცხვართან რა ხელი აქვს? — შეშფოთებული კითხულობდა თევდორე.

— აი, წამალი, — ჯონქამ ჯიბეზე ხელი მოისვა, მაგრამ შუშა იქ აღარ იყო, იგი დაიხარა ძირს და სწრაფად იპოვნა, ბალახებში გადავარდნილიყო ჭიდაობის დროს.

— ერთიც მაგასა აქვს, გაჩხრიკეთ.

ბოხოხიანს ფარაჯის ჯიბეში ჩასტყდომოდა ბოთლი და რუხი ქსოვილი მწვანედ გაეღენთილიყო.

— ამ ადგილს მიწა მოაყარეთ, ცხვარი არ მიაკაროთ, კარგად ნახეთ სად დაიღვარა წამალი.

მწყემსები გაოცებულნი ფუსფუსობდნენ.

— პაპავ, ორი კაცი უნდა მომცე, თოფიანი, ეს ქალაქში უნდა წავიყვანო... — ჯონქამ თვალით ანიშნა ბოხოხიანზე, რომელიც ორივე ხელებით ეჭირათ მხარბეჭიან მწყემსებს.

ბოხოხიანმა ხმადაბლა, მაგრამ მიანც გასაგონად, მყრალად, სასოწარკვეთილად შეიგინა.

XII

როცა შინსახკომიდან გამოვიდნენ, ჯონქამ სოლოლაკამდე მიაცილა მწყემსები, გამოემშვიდობა და რუსთაველის გამზირისაკენ გამობრუნდა.

მან უკვე იცოდა — ალფეზ ჩიქოვანის დაპატიმრება. იგი დარწმუნებული იყო, რომ სხვა ბევრი ახალი ამბები დაუხვდებოდა ტფილისში და ახლა თვალებით ეძებდა ნაცნობს გამვლელთა შორის.

უკვე დაიწყო სიცხეები ტფილისში, სასახლის წინ ხეივნის ფოთლებზე მტვერი დაწოლილიყო. ასფალტი ზოგან ცომივით იზნიქებოდა ფეხქვეშ, სივდებოდა და აქა-იქ ბორცვებად ამოზიდულიყო.

ხორნაული არაჩვეულებრივ სიმსუბუქეს ცრძნობდა დიდიხნის სულმძიმობის შემდეგ. უნდოდა სულ ხმამაღლა ელაპარაკა და უმიზეზოდ სიცილი დაეწყო, როგორც ფშაველ მწყემსებთან ერთად სჩადიოდა, ქუჩაზე მიმავალი. ფშავლები მეათეჯერ ჰკვირობდნენ, თავს აქნევდნენ და უწრუწუნებდნენ ერთმანეთს, შერე ჯონქას მადლობას ეუბნებოდნენ, ისევ ჰკვირობდნენ და ბოლოს იცინოდნენ ხმამაღლა და უდარდელად, როგორც ახალგაზრდებს სჩვევიათ.

ბოლოს, როგორც იქნა თვალი მოჰკრა ნაცნობს ჯონქამ. ეს ციცინო ამილახორი იყო. შორიდანვე შენიშნა მისი შუქურა — ქუდის წყალობით.

ჯონქამ გზა გადაუღობა და მიესალმა.

— რა არის ახალი თქვენკენ, ციცინო?

— რა უნდა იყოს ჯონქა, შენ ალბათ ჩემზე უკეთესად იცი ყველაფერი.

— არა, მე ეს ორი-სამი დღეა არ გამოვსულვარ, ჩამოვრჩი ცხოვრებას.

— ორი-სამი დღე? მაშ იქნებ არც ის იცი, რომ მანანა გათხოვდა.

ჯონქას ძლიერ არ გაჰკვირვებია. იგი უკვე გადეჩვია გაწითლებას. მხოლოდ თვალის ქუთუთოები აეწვა.

იგი ხომ მოელოდა ამას. უკვე წინასწარ იცოდა, რომ ეს ასე უნდა მომხდარიყო.

— არ იცოდი ჯონქა?

— არა, არ ვიცოდი. — ციცინო გამომცდელი თვალებით უყურებდა ჯონქას; უნდოდა სრული გულგრილობა გამოეჩინა.

— შენ, ციცინო? შენ როდისლა გათხოვდები?

— მგონი აროდეს!

— მართლა!?

— შენ, როგორ ფიქრობ, ჯონქა, შევძლებ თუ არა მე თავისუფლად ვიცხოვრო და თანაც სახელი არ გავიფუჭო?

— რას ეძახი, გენაცვა, თავისუფლად ცხოვრებას, ან სახელის გაფუჭებას?

ჯონქას უკვე აღარ უნდოდა ამ ქალთან ლაპარაკი.

მაშ მანანა გათხოვდა.

გათავდა ზღაპარი.

— მე ვერ ვივარგებ მრჩევლად, ციცინო, — დაასკვნა ჯონქამ, — ცუდი მორალისტი ვარ და კიდევ უფრო ცუდი მცოდნე ეთიკეტისა.

ორთავენი გაჩუმდნენ, რასაც ჩვეულებრივ გამომშვიდობება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ციცინოს უეცრად მოაგონდა.

— მართლა, ვინ იცის, არც ის იცი, რომ ძია დავითი დაიჭირეს?

ჯონქამ არც ეს იცოდა.

— შენ წარმოიდგინე, წინა დღით მანანამ და თამაზმა ხელი მოაწერეს და მოსკოვს გაემგზავრნენ, მეორე ღამეს კი დავითი დაიჭირეს. ამბობენ, რომ დიდი მავნებლობა აღმოუჩენიათ.

თანდათან ყველაფერი ნათელი ხდებოდა.

— ნახვამდის, ციცინო.

მაშ ასე, მანანა მოსკოვს გაემგზავრა

მიდიოდა ბიჭი ქუჩაზე. თვალები ფიქრით ულიმოდნენ. იგი ულიმოდა თავის წარსულ სიყვარულს, რომელიც უკვე მოგონებად იქცა. იგი არ გრძნობდა ტკივილს. ყოველივე ისე წარიმართა, როგორც მოელოდა. მას არ უნდოდა თავის გატაცებისათვის სისულელე ეწოდებია. ჰო, ეს ძლიერ მძაფრი გატაცება იყო, მაგრამ შეცდომა კი არა. ჯონქა შეეცადა მოეგონებია მანანას ღიმილი, ისეთი ღიმილი, როგორიც მხოლოდ მანანამ იცოდა ქვეყნად და სხვამ არავინ. ხმოლოდ მანანამ და მხოლოდ მისთვის, ჯონქასთვის, შეეცადა, ვერ იპოვა, ისევ ის ცივი, ზოგჯერ მაცდური, მაგრამ უცხო გამოხედვა მოაგონდა. ბოლო დროს რომ ჰქონდა მანანას. მან თავის თავს უღალატა, შეიცვალა. რომელი იყო ნამდვილი მანანა, ის პირველი, თეთრი იასამანი, თუ მეორე, გამოცვლილი? რასაკვირველია, პირველი. მაგრამ იგი გაჰქრა. ჯონქას ახსოვს, ყველაფერი ახსოვს, მაგრამ საკვირველია, მოგონება ტკივილს აღარ იწვევს უკვე.

გათავდა ზღაპარი.

მართალი იყო ნინო ციხისელი, ენძელა მეორეჯერაც ამოდისო. თუმცა მეორეჯერ მხოლოდ შემოდგომით, როცა ფოთოლთცვენა დასრულდება და სადაცაა უნდა დაიწყოს ჭირხლი და ცივი ნისლი, მაგრამ რა საჭიროა ეს სიმბოლიკა. ჯერ მაისია. ჯონქა გრძნობს რომ ენძელები ისევ ამოვლენ. მარტის ენძელა დაჭკნა, მზეს ვერ გაუძლო ალბათ.

ჯონქა ფიქრებიდან გამოერკვა. მან გადასწყვიტა ეხლა პირდაპირ ეგნატე ლაზიშვილთან წასულიყო.

მოხუცი პროფესორი სახლში დაუხვდა. ისევ ისეთი უხერხული სისუფთავე იდგა მის ოთახში. გაპრიალებულ იატაკზე მაინც დარჩებოდა ლაქები, რაც უნდა გულდასმით გაგეწმინდა ფეხსაცმელი შემოსასვლელში. ჭერამდე იყო სამთავ კედელზე აღმართული წიგნის კარადები. მაგიდაზეც წიგნები ეწყო, ტახტზეც, დერეფანშიც... მაინც ვერსად ეტევოდა და კუთხეშიც მოესვენებიათ იატაკზე რამოდენიმე.

მაინც ეტყობოდა ბინას, რომ მარტოხელა კაცი სცხოვრობდა აქ.

ეგნატე სათვალეებით იჯდა მაგიდასთან. გაყვითლებული ხელთნაწერები ფართალივით ჰქონდა გადაშლილი.

— ოჰ, ჯონქა, შემოდი, შემოდი.

იგი სავარძლიდან წამოდგა და ხელი ჩამოართვა.

— სადა ხარ, რატომ აღარ მინახულე?

ჯონქამ გაიფიქრა, ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა მისთვის, მაგრამ წამსვე თავი შეიკავა. ეს მის საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო. ჯონქა წამოჯდა სკამზე და სიამოვნებით შესცქეროდა მოხუცს. მას უთუოდ გულწრფელად გაუხარდა ჯონქას მოსვლა. სუფთად მოპარსული თავი უპრიალებდა ფანჯრიდან შემოსულ მზის შუქზე. თეთრი, მოკლე წვერი უფარავდა ნიკაპს.

— სხვა, ჯონქა, ახალს რას იტყვი?

ჯონქას ეხლა უნდა ეთქვა ის, რისთვისაც მოვიდა აქ.

— ახალი ის არის, რომ მე უკვე გადავწყვიტე.

— გადასწყვიტე?

— დიახ, ჩემს სოფელში დავბრუნდე მასწავლებლად.

ეგნატე ადგა, პატარა აივნის კარებთან მივიდა და ქალაქს გადახედა. იგი ასე იქცეოდა ყოველთვის, როცა ფიქრი უნდოდა.

— ეჰ, ჯონქა, მე ვიცოდი, რომ შენ ასე უნდა მოქცეულიყავ ადრე თუ გვიან. — ეგნატე მობრუნდა და ისევ მაგიდასთან დაჯდა.

— ადამიანი ისე სიყვარულითა და პატივისცემით არავის მოიგონებს, როგორც კარგ მასწავლებელს. ზოგჯერ შემთხვევით წამოცდენილი რამ ისე ლრმად ჩაგემარხება გულში, რომ შემდეგ თითონვე აღარ გახსოვს საიდან გაჩნდა ის უძლეველი ლტოლვა თუ ინტერესი ცხოვრების რომელიმე მხრისადმი, რომელიც სიკვდილამდე შეგრჩება. რა უნდა იყოს იმაზე უფრო დიდი სიხარული, როცა ამჩნევ, თუ როგორ გაუღე ბუნების კარი ადამიანებს, როგორ უფართოვდებათ ბავშვებს თვალები. სამუდამოდ აღიბეჭდება მათ ხსოვნაში ის, რასაც თქვენ ინტერესით, მონდომებით გადასცემთ. მახსოვს შენი სიტყვები. შენ გსურდა გამზდარიყავი სრულყოფილი, მთლიანი პიროვნება. ამის მიღწევა მხოლოდ ხანგრძლივი და შეგნებული თვითაღზრდით შეიძლება. ყველაზე უკეთესი პირობა ამისათვის არის თვალყურის დევნება სხვების აღზრდაზე. უბრალო ჩვეები სკოლის სკამიდანვე ანსხვავებენ ადამიანებს ერთმანეთისაგან. მასწავლებელი ყოველთვის წაბაძვის საგანია ბავშვებისათვის. იქ, უნებურად დააკვირდები შენს თავს.

ჯონქა თავჩაღუნული იჯდა სკამზე და უსმენდა.

— ბოლოს, რა უნდა იყოს სრულყოფილი ადამიანის იდეალი, — დარწმუნებული, და თავდაჯერებული თუ იქნები, რომ აროდეს ჩაიდენ ისეთ რამეს, რაც შემდეგ სინდისის ქენჯნას გაგრძნობინებს. ცხოვრების გზა ნათელი უნდა იყოს, იქნებ შენი ცოდნით თუ ნაშრომით კმაყოფილება აროდეს იგრძნო, ეს უკეთესიც უნდა იყოს ჩემი აზრით, მაგრამ შენი ქცევით, შენი შეხედულებებით

ცხოვრებაზე უნდა გრძნობდე სიმშვიდეს. ჩვენ ინტელექტის ადამიანები ვართ და ადამიანის უმაღლესი ზნეობრივი მოვალეობაა სხვას, მოძმესაც გადასცეს აზრი, აამაღლოს იგი ჭეშმარიტ ადამიანობამდე. შენი უპირატესობით სიამაყე და თავის წარმოდგენა ზემდგომად იმის გამო, რომ მალალი ინტელექტითა ხარ დაჯილდოვებული — ინტელიგენციის ეს სულიერი ავადმყოფობა ისეთივე უგნურობაა, როგორც ის, რომ უსინათლოს ქედმაღლურად დაუწყო ლაპარაკი, რაკი შენ თვალხილული ხარ. შენ ხომ გაგიგონია, ჯონქა, ზოგიერთ ოჯახზე, გვარზე ან უფრო იშვიათად სოფელზეც იტყვიან ხოლმე — პატიოსანი ხალხიაო. ეს იმიტომ, რომ ერთი გამორევია მათ შორის კეთილშობილი, ძლიერი ნებისყოფით გავლენა მოუპოვნია ახლობლებზე და მთელი თაობა მის კვალს გაჰყოლია, ასე უნდა იყოს მასწავლებელი. კულტურაში ზოგიერთი იმას გულისხმობს, რაც ადამიანს ზედმეტი უქმი დროის გასატარებლად შეუძენია. სოფლიდან სასწავლებლად ჩამოსულმა ყმაწვილებმა თავიდანვე უნდა იცოდნენ რა არის ჭეშმარიტი კულტურა, მაშინ აღარ დაიბნევიან ისინი.

შენ როდის აპირებ გამგზავრებას, ჯონქა.

— სულ მალე. როგორც კი გამოცდებს მოვრჩები. უთუოდ ველარ გნახავთ წასვლამდე.

— მაშ მოიცა, მე შენ სამუშაოს მოგცემ. იქ, სოფლად უკეთესად, უფრო გულდამჯდარად შეიძლება კითხვა და წანაკითხზე ფიქრი.

პროფესორმა დაიწყო წიგნების ჩხრეკა, რამდენიმე მათგანი ამოარჩია და წინ დაუწყო ჯონქას, შემდეგ დავალება მისცა, სთხოვა მისი ახალი შრომისთვის საჭირო ისტორიული გადმოცემების შეგროვება.

ბოლოს, გამომშვიდობებისას კიბემდე გამოაცილა და მოეხვია.

— წერილები მოიწერე, ჯონქა, არ დამივიწყო. როცა კი ჩამოხვიდე — უსათუოდ მოდი ხოლმე, მინახულე,

ჯონქა გახარებული გამოვიდა მისგან. სულში გრძნობდა რაღაც სითბოს, ისე ეჭირა წიგნები იღლიაში, თითქო ძვირფასი საჩუქარი მიჰქონდა თავისიანებისათვის შინ.

გადასწყვიტა ვაკეში, სტუდენტთა ქალაქამდე ფეხით გასულიყო.

როცა უნივერსიტეტის თეთრ შენობასთან ჩაიარა, გაჩერდა. მოპირდაპირე ბზარეს, ვარაზის ხევთან და დიდხანს უცქერდა. მზით განათებულ დიდ ფანჯრების იქით მხიარული სახეები გაიელვებდნენ ზოგჯერ. ბაღში, სადაც მელიქიშვილის ძეგლი იდგა, ფართო კიბეებზე კარებებში სტუდენტები ირეოდნენ...

ჯონქამ განაგრძო გზა სტუდენტთა ქალაქისაკენ. ნაბიჯი მსუბუქი ჰქონდა და თანაც მშვიდი.

მას უნებურად მოაგონდა მწყემსი თევდორე და შემდეგ ის ორსართულიანი, რიყის ქვით ნაშენი სახლი, სადაც მათი სოფლის სკოლა იყო. ქვევითა ფანჯრებზე მუდამ ფიცარი ჰქონდა მიკრული, რადგან ბავშვები ამტვრევდნენ შურდულებით. აივანი ივრის ტოტს გადასცქერდა. მდინარეზე გადახრილ წნორებს ფოთლები მუდამ სველი ჰქონდათ ლოდებზე აქაფებულ ზვირთებისაგან.

ჯონქამ ასწია თავი და გაჰხედა ქუჩას. პირველად იგრძნო, აბ რამდენიმე წლის განმავლობაში, რომ ის რიყის ქვით ნაშენი სახლი ძლიერ ახლობელი იყო, ყველა ოთახები, შერყეული კიბის საფეხურებიც კი, დაწვრილებით ახსოვდა.

კრიტიკა

ერ. ასტვაცატუროვი

ლიბერალური ახალგაზრდობა ოცი წლის მანძილზე

ქართველი ხალხის უბოროტესმა მტრებმა—მენშევიკებმა საქართველო მოსწყვიტეს რევოლუციურ რუსეთს, ისინი მხარში ამოუდგნენ თეთრგვარდიელებს, კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე რეაქციურ წარმომადგენლებს — ბურჟუაზიულ ინტერვენტებს და შეეცადნენ რუსეთის პროლეტარიატის ისტორიული გამარჯვება სისხლში ჩაეხრჩოთ. ქართველი მენშევიკები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ოქტომბრის რევოლუცია დამარცხებულიყო. ისინი ქედს იხრიდნენ დასავლეთის იმპერიალიზმის წინაშე, აშკარად და უსირცხვილოდ აცხადებდნენ, რომ დასავლეთის იმპერიალისტები გვირჩევნია აღმოსავლეთის ფანატიკოსებსო, ე. ი. რუსეთის რევოლუციურ პროლეტარიატსო.

ქართველ მენშევიკებს სურდათ საქართველო კონტრრევოლუციურ „ციტადელად" და რუსი თეთრგვარდიელებისა და გარეშე ინტერვენტების „საიმედო" ზურგად ექციათ. ისინი ყოველგვარ მსხვერპლს იღებდნენ, რომ თავიდან აეცდინათ რევოლუციის საშიშროება. მაგრამ რევოლუცია ძლევამოსილად იკაფავდა გზას. იგი გარდუვალი იყო საქართველოსათვის. საქართველოს და ამიერ-კავკასიის მუშათა კლასმა და გლეხობამ რევოლუციური გამოღვიძებისა და პოლიტიკური მომწიფების გარიჟრაჟიდანვე მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით მჭიდროდ დაუკავშირეს თავიანთი ბედი რუსეთის მუშათა კლასის ბედს. საქართველოს პროლეტარიატი მე-19 საუკუნის დასასრულიდან ყოველთვის რუსეთის პროლეტარიატთან ერთად გამოდიოდა ცარიზმისა და კაპიტალის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ისტორიულ ბრძოლებში. ეს დიადი კავშირი არამც თუ ვერ გასწყვიტეს ქართველმა მენშევიკებმა, არამედ ოდნავადაც ვერ შეასუსტეს იგი. საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, რევოლუციური რუსეთის დახმარებით ოცი წლის წინათ დაამხეს მენშევიკების დიქტატურა და აღმართეს ოქტომბრის ძლევამოსილი დროშა. ამ დღიდან ჩვენი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა. ქართველმა მშრომელმა ხალხმა დაიწყო ნამდვილად თავისუფალი შემოქმედებითი ცხოვრება. მან სრულიად შესცვალა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური წყობა, ძლევამოსილად წავიდა წინ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე.

განვლილი ოცი წელი ქართველი ხალხის ისტორიაში მრავალმხრივ არის შესანიშნავი. მეფის რუსეთის ნახევრადკოლონიური, ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა, რომელიც ქართველმა მენშევიკებმა ეკონომიურ და კულტურულ განადგურებამდე მიიყვანეს, ამ მოკლე ისტორიულ პერიოდში უჩვეულოდ აყვავდა, მოწინავე მრეწველობის, მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობისა და მოწინავე საბჭოთა კულტურის ქვეყნად გადაიქცა. ამ მიღწევებს შორის მხატვრულ მწერლობას უკანასკნელი ადგილი არ უჭირავს. „ქ ა რ თ უ ლ მ ა ს ა ბ ჭ ო თ ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა მ ერთერთი პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის მოწინავე მოძმე ლიტერატურათა რიგებში“ (ლ. ბერია). ქართული საბჭოთა პროზა და პოეზია საბჭოთა კავშირის ხალხთა ყურადღებას იპყრობენ და იწვევენ ცხოველ ინტერესს მკითხველთა ფართო მასებში. ოცნებაც არ შეიძლებოდა იმ რეზონანსზე, რომელიც სოციალისტურმა რევოლუციამ შეუქმნა ნაციონალურ მწერლობას. საბჭოთა ერები დიდი რუსი ხალხის საბჭოთა მწერლობასთან ერთად ჰქმნიან ფორმით ნაციონალურ და შინაარსით სოციალისტურ, იდეურად და მხატვრულად მოწინავე ლიტერატურას მსოფლიოში.

ნაციონალური ლიტერატურის ასეთი აყვავება და მისი პოტენციის ასეთი გაფართოვება შესაძლებელი იყო და არის მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაში ლენინ-სტალინის პარტიის მზურნველობითა და ხელმძღვანელობით.

რა მივიღეთ „შემკვიდრეობით“ მენშევიკურ საქართველოსაგან ლიტერატურის დარგში?

მენშევიზმმა სულიერად დააცალიერა, იდეურად გამოფიტა მხატვრული ლიტერატურა. ცოცხალ ორგანიზმიდან იგი მკვდარ საგნად აქცია. ნამდვილი მწერლობა ყოველთვის ხალხს ეკუთვნოდა, ღრმად იდგამდა ფესვებს მასებში და მხატვრულად ანზოგადებდა ამ მასების გრძნობებს, აზრებს, ნებისყოფას და ამაღლებდა მათ უკეთესისა და უმაღლესის შეგნებამდე. ასეთი იყო დიადი ტრადიცია აგრეთვე ქართული კლასიკური ლიტერატურისა. შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანმა“, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის სიამაყეს წარმოადგენს, გამოხატა თავისი ეპოქის ხალხის ყველაზე მოწინავე, ყველაზე კეთილშობილური იდეალები, მთელი საუკუნეების მანძილზე მან ქართველ ხალხს შეუნარჩუნა ადამიანურისა და სპეტაკი სიყვარულის გრძნობა. მეცხრამეტე საუკუნის რეალისტური მწერლობა თავის ფორმით, მოტივებითა და მიზანსწრაფვით ხომ მთლიანად ხალხური იყო, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მხატვრული მწერლობა იყო ის ძალა, რომელიც მეფის თვითმპყრობელობის საშინელ პირობებში სათავეში ედგა თავის ხალხს და სწორი გზით მიჰყავდა იგი.

მენშევიკებმა შერყვნეს ქართული ლიტერატურის დიადი ტრადიცია, გათიშეს ხალხი და მწერლობა. მენშევიკების დიქტატურის პერიოდში მწერლობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბედნიერ გამონაკლისებს, რომლებიც მსხვერპლს ილებდნენ ჭეშმარიტი ლიტერატურისათვის, დააყენეს უსუსური ნაციონალური ბურჟუაზიის სამსახურში, დაასნეულეს შოვინიზმის შხამით და კამერულ მწერლობად აქციეს.

ლენინ-სტალინის პარტიას დიდი მუშაობა დასჭირდა იმისათვის, რომ მოეხდინა სრული იდეური გარდატეხა ძველ მწერლობაში, აღეზარდა ახალი კადრები და შეექმნა ისეთი ძლიერი საბჭოთა მწერლობა, როგორიც გვაქვს დღეს. ეს არ იყო იოლი საქმე. მთელი სირთულე აშკარა გახდება, თუ გავით-

ვალისწინებთ იმ პირობებს, რომელშიც იქმნებოდა ახალი ცხოვრება და ახალი ლიტერატურა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თითქმის პირველი ათეული წლის მანძილზე უმრავლესობა ძველი ლიტერატურული კადრებიდან, რომლებიც წარსულში დასნეულებული იყვნენ შოვინიზმით, ატარებდა ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ დეკადენტურ-სიმბოლისტურ განწყობილებებს, ინდიფერენტულად იყო განწყობილი ახალ სოციალურ და ისტორიულ პროცესებთან. ბევრი მათგანი პირდაპირ ააშკარავებდა თავის მტრულ დამოკიდებულებას სოციალისტურ რევოლუციის მიმართ, ნაწილი სდუმდა, ერთი ნაწილი კი შენიღბულად აკეთებდა მტრულ საქმეებს. ამ მწერალთა პოეტური ხმა გაბზარული და ყალბი ტონისა იყო. მათ მიერ რევერანსებით დაწერილ ნაწარმოებებს აკლდათ გრძნობა დასაღრმე, გულწრფელობის სითბო და იდეურობა. ძველი მწერლობიდან მხოლოდ მცირე, მაგრამ ყველაზე ჯანსაღი ნაწილი თავიდანვე შეგნებულად და მტკიცედ დადგა სოციალისტური რევოლუციის პოზიციებზე და გულწრფელი მონაწილეობა მიიღო ხალხის ცხოვრების გარდაქმნაში, ახალი კულტურისა და ლიტერატურის მშენებლობაში. მწერალთა ამ ჯანსაღი ნაწილის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია პოეტი გალაქტიონ ტაბიძე. გალაქტიონ ტაბიძემ მიიღო სოციალისტური რევოლუცია, როგორც ისეთი მახლობელი მოვლენა, რომელთანაც იგი მთელი შემოქმედების მანძილზე მრავალი ძაფებით იყო დაკავშირებული, და შემდეგ სწორედ ამ რევოლუციაში მონახა მან თავისი დაუცხრომელი პოეტური სულის გაქანება. არც ერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში არ უპოვია სოციალისტურ რევოლუციას და რევოლუციის შემდგომ პროცესებს ისეთი მძაფრი და სრულყოფილი გამოხატვა, როგორიც ჰპოვეს მათ გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში. გალაქტიონ ტაბიძე გახდა უალრესად ტიპიური და ორგანიული გამომხატველი განახლებული ეპოქის სოციალური ცხოვრებისა და იდეებისა. რევოლუციით შთაგონებული პოეტი ყოველთვის გულწრფელად ეხმაურებოდა და ეხმაურება თავისუფალი საბჭოთა ხალხების ცხოვრებაში მომხდარ გრანდიოზულ მოვლენებს. მაგრამ, აქვე ხაზი უნდა გაესვას თვით რევოლუციის როლს პოეტის შემოქმედებით ცხოვრებაში. ჩვენ ვიცით, რომ გალ. ტაბიძემ ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის ეპოქაში გამოამჟღავნა მიდრეკილება რევოლუციისაკენ. რეაქციის ყველაზე მძვინვარე წლებში დაწერილ არალეგალურ ლექსში მან გვიჩვენა რწმენა მუშათა კლასის გამარჯვების გარდუვალობისა. მას სჯეროდა, რომ თვითმპყრობელობა საბოლოოდ ვერ ჩაახშობდა „მუშათა პირველ მაისს“ და იმედით შეჰყურებდა იმ მომავალ დროს, როცა პროლეტარიატი მაისის ვარდებით სიცოცხლეს აივსებდა. მაგრამ პოეტს ხანგრძლივად არ შერჩენია რევოლუციის გარდუვალობის რწმენა. რეაქციისა და თვითმპყრობელობის ხანგრძლივმა ბატონობამ პოეტის აწეული ხმა მალე შესცვალა. სევდა და უიმედობა გახდა მისი პოეტური შთაგონების სულიერ წყაროდ. პესიმიზმით დასნეულებული პოეტი მენშევიკების დიქტატურის პერიოდმა სრული კატასტროფის წინაშე დააყენა. მან ჩააქრო ოქტომბრის დიდი რევოლუციით გაღვიძებული იმედი, შინაგანად დააცარიელა და დაადუმა მისი პოეტური ფანტაზია. პოეტი ირგვლივ სიცარიელესა და სიცივეს გრძნობდა და არ სჩანდა ოდნავი პერსპექტივა მისი პოეტური ხმის შემდგომ განვითარებაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ გალაქტიონ ტაბიძე იხსნა ნამდვილი დაღუპვისაგან, გაღვიძა მასში ძველი შემოქმედებითი ენერგია. აღუდგინა პოეტური სულის

სიდიადე და აქცია ნამდვილ სასახელო მომღერალ პოეტად. რევოლუციამ გაათავისუფლა პოეტი სიმბოლიზმის მისტიკურ ბურუსისაგან და შეუმუშავა ნათელი რეალისტური ხედვა და დიადი პერსპექტივა. ამ პერიოდიდან გალ. ტაბიძის შემოქმედება დიდ გავლენას ახდენდა საბჭოთა პოეზიის განვითარებაზე.

სოციალიზმის ძლევამოსილმა გამარჯვებამ გამოიწვია ძველი მწერლობის დიფერენციაცია და შემოკრიბა ისინი საბჭოთა ლიტერატურის გარშემო. „ქართველი მწერლებისა და პოეტების უდიდესი უმრავლესობა, რომელიც წარსულში ანტისაბჭოურად იყვნენ განწყობილნი და თავის გარშემო იკრებდნენ უკმაყოფილოებს, ახლა აქტიურად მუშაობენ საბჭოთა თემატიკაზე“ (ლ. ბერია).

ქართველი მწერლები: ი. გრიშაშვილი, კ. გამსახურდია, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. ქიაჩელი, შ. დადიანი, გ. ლეონიძე, ა. აბაშელი, ს. კლდიაშვილი, პ. კაკაბაძე, ი. მოსაშვილი, შ. აფხაიძე, რ. გვეტაძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე, ალ. ქუთათელი, ი. ვაკელი, ი. მჭედლიშვილი, ს. თავაძე, დ. სულიაშვილი და სხვ. აქტიური საბჭოთა მწერლები არიან. ისინი ჰქმნიან საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებებს ჩვენი ხალხის დღევანდელი და წარსული ცხოვრებიდან. ეს ნაწარმოებები შთაგონებულია მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი იდეებით, გამარჯვებული სოციალიზმის იდეებით, კომუნისტური საზოგადოების ბრწყინვალე აღმავლობის პათოსით. ი. გრიშაშვილის ახალი ლექსები საბჭოთა პოეზიის საუკეთესო ნიმუშებია. ამ ლექსებში ლირიულ სინაზესთან ერთად იგრძნობა განახლებული ცხოვრების მაჯისცემა, მისი მომხიბლავი სილამაზე. გრიშაშვილის ყოველი ახალი ლექსი საბჭოთა მკითხველს უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას აგრძნობინებს. ქართულ ლიტერატურული კულტურის უდიდესი შენაძენია კ. გამსახურდიას პროზა. გამსახურდიას სახით ჩვენს ეპოქას ჰყავს საკუთარი სტილის მქონე გასაოცარი პოტენციისა და დიდი შემოქმედებითი ენერგიის მწერალი, გამსახურდია მხატვრული პროზის შეუდარებელი ოსტატია. მან გააფართოვა ქართული პროზის ინტელექტური საზღვრები. მართალია, კ. გამსახურდიას მხატვრული მეთოდი ყველაზე კონსერვატულია, იგი ძნელად ეგუება შინაგან ცვლილებებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკანასკნელი წლების მანძილზე უდიდესი ევოლუცია მოხდა მწერლის მხატვრულ მსოფლმხედველობაში. გამსახურდია, როგორც შემოქმედი, აღარ ცხოვრობს მხოლოდ წარსულით; მწერლის ყურადღების ცენტრში თანდათან ექცევა სოციალისტური სინამდვილე და ჩვენი ხალხის უახლოესი გმირული წარსული. „მთვარის მოტაცება“ და „ბელადი“ უდაოდ მოწმობენ იმას, რომ ავტორი საბოლოოდ გამოდის სოციალისტური რეალიზმის გზაზე. ლეო ქიაჩელი დასრულებული სოციალისტური რეალიზმის სტილის მწერალია. ჯერ კიდევ რევოლუციამდე ლეო ქიაჩელი მე-20 საუკუნის ქართულს პროზაში რეალიზმის ყველაზე საუკეთესო წარმომადგენელი იყო. მისი რეალიზმის „რაციონალური მარცვალი“ სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილი მიღწევების ზეგავლენით თანდათან განვითარდა თვისობრივად და „გვადი ბიგვასა“ და რევოლუციურ, საკოლმეურნეო სოფლისა და საყოფაცხოვრებო თემატიკაზე დაწერილ მოთხრობებსა და ნოველებში დასრულებული სოციალისტური რეალიზმის სახე მიიღო. „გვადი ბიგვა“ ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია თანამედროვე, საკოლმეურნეო სოფელზე. შ. დადიანის „ნაპერწკლიდან“, გ. ლეონიძის ლექსები სტალინზე და „ბელადის ბავშვობა და ყრმობა,“ ს. შანშიაშვილის ლექსები ლენინზე, სტალინზე და პიესები, ს. კლდიაშვილის მოთხრობები და პიესები,

გ. ქუჩიშვილის ლექსები, პ. კაკაბაძის მაღალმხატვრული ლირებულების პიესები, რ. გვეტაძის მოთხრობები, ა. აბაშელის ახალი ლექსები და სხვ. ზრდიან საბჭოთა ლიტერატურის აქტივს. ეს მწერლები ჯერ კიდევ შემოქმედებით აღმავლობის პერიოდში იმყოფებიან.

მაგრამ, როგორი დიდიც არ უნდა გვქონდეს მიღწევები ძველი ლიტერატურული კადრების იდეური და მხატვრული შემოქმედებითი გარდაქმნის საქმეში, ჩვენ გვერდს ვერ აუხვევთ მწერლობის იმ კადრებს, რომელნიც გამოვიდნენ და დავაკაცდნენ საბჭოთა ხელისუფლების დროს. პირიქით, მთავარი ღირსშესანიშნავი ჩვენს რევოლუციაში ის არის, რომ მან ფართოდ გაუხსნა გზა თავისუფალი მშრომელი ხალხის ინტელექტუალურ შესაძლებლობას და ასობითა და ათასობით გამოამჟღავნა ახალი ტალანტები კულტურისა და მეცნიერების ყველა დარგში. საბჭოთა სინამდვილემ გამოამჟღავნა და აღზარდა მთელი რიგი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლებისა, რომლებმაც თავიანთ ნაწარმოებებში გვიჩვენეს იდეურ-შემოქმედებითი ზრდა და მხატვრული ოსტატობა. ეს მწერლები თანდათან ხვეწდნენ, ეუფლებოდნენ და ადგენდნენ საკუთარ ხმას. ისინი თავიანთი მხატვრული ოსტატობით არ ჩამოუვარდებიან ძველ კვალიფიციურ კადრებს. ცალკეულ ეტაპზე საბჭოთა ლიტერატურული ახალგაზრდობა წარმოადგენდა ჩვენი მწერლობის წამყვან და ცოცხალ შემოქმედებით ძალას.

ამ ლიტერატურული ახალგაზრდობის შესწავლას დიფერენციალურად უნდა მივუდგეთ, რადგან „ახალგაზრდობას“ მე ვიღებ ფართო გაგებით და იქ ვგულისხმობ ყველა იმ მწერალს, რომელიც გამოვიდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ეს ახალგაზრდობა თავიანთი მხატვრულ-იდეური მიმართულებით თავიდან ერთნაირი არ იყო. ლიტერატურული ახალგაზრდობის ერთი ნაწილი საბჭოთა ხელისუფლების არსებობის თითქმის მთელი ათეული წლის განმავლობაში სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფებისა და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ისინი თავიანთი შემოქმედების პირველ პერიოდში გამოხატავდნენ მავნე ავადმყოფურ, წვრილბურჟუაზიულ ბუნტარულ და მეშჩანურ განწყობილებებს, მოწყვეტილი იყვნენ ხალხისაგან, სწერდნენ ძალიან გაუგებრად ან მიუღებლად. მაგრამ იყო მეორე დიდი ნაწილი ლიტერატურული ახალგაზრდობისა, პროლეტარული მწერლობის იმ თაობის სახით, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამოვიდა და თავიდანვე გვიჩვენა ცოცხალი შემოქმედებითი ენერგია.

პროლეტარული მწერლობის ამ „თაობამ“ (ალიო მაშაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, კარლო კალაძე, და სხვ.), იმ პერიოდში, როცა ქართველი მწერლების დიდი ნაწილი მტრულად ან ინდიფერენტულად იყო განწყობილი სოციალისტური რევოლუციისადმი და არ ესმოდა მას ამ რევოლუციის უდიდესი საკაცობრიო მიზნები, თვალსაჩინო როლი შეასრულა რევოლუციური მხატვრული სიტყვის, პოეტური ხასიათების, რიტმისა და ახალი ესთეტიკური პრინციპების გამომუშავებაში. ამ თაობის უპირატესობა მდგომარეობდა იმაში, რომ მას გააჩნდა მაღალი რევოლუციური პათოსი, მოვლენათა მხატვრული გააზრების ფართო დიაპაზონი, ლიტერატურული კულტურა და შეგნება იმისა, რომ შეუძლებელია წინსვლა და ახალი სიტყვის თქმა მწერლობაში ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირურთიერთობის გარეშე.

ქართული პროლეტარული ლიტერატურის რევოლუციამდელმა „თაობამ“ რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგაც, ერთგვარი როლი შეასრულა, მის

შემოქმედებას ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა გაბატონებულ ლიტერატურულ სიტუაციაში. მაგრამ ისტორიული სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ამ თაობის მწერლებმა ვერ შეესძლეს სათანადო კვალი დაემჩნიათ თავიანთი მოღვაწეობის პერიოდის ლიტერატურაზე, გაევრცელებინათ ამ უკანასკნელზე თავიანთი იდეურ-მხატვრულ-ესთეტიკური გავლენა. ასეთი დიდი როლის შესრულება არ შეეძლოთ მათ იმ ელემენტარული მიზეზების გამო, რომ ისინი წარმოადგენდნენ 900-იანი წლების დემოკრატი მწერლების სუსტ ეპიგონებს, არ ჰქონდათ ორგინალური პოეტური ხმა, საკუთარი ლიტერატურულ-ესთეტიკური კონცეპცია. ისინი მხატვრულ სიტყვას, პოეზიას უყურებდნენ, როგორც საკუთარ განწყობილებათა პოეტურ ფორმაში გამოსახვის უბრალო საშუალებას და არა როგორც მოვლენათა და იდეათა პოეტური აზრების, ანალიზის მაღალ მხატვრულ სინთეზს. მათი შემოქმედების ფორმა, მხატვრული ღირსებით, დაბლა იდგა არა მარტო თავისი დროის პოეტურ კულტურაზე, არამედ აგრეთვე თვით მუშათა კლასის კულტურის დონესა და მხატვრულ გემოვნებაზე. მათი სიტყვიერი ლექსიკონი და რიტმი სტანდარტული და ღარიბი იყო. ისინი მიდიოდნენ უალრესად პრიმიტიული გზით, მაშინ, როცა პროლეტარიატი მომწიფებული იყო დიდი ისტორიული და კულტურული მისიის შესრულებისათვის და მას ჰყავდა ისეთი შესანიშნავი მხატვრული მესიტყვე, როგორიც იყო მაქსიმ გორკი, რომელიც თავის შემოქმედებაში აერთიანებდა მთელ კულტურულ მემკვიდრეობას, აჰყავდა ის ახალ იდეურ-მხატვრულ სიმაღლემდე. გორკის სიტყვის ძალა მსოფლიოს მასშტაბით ვრცელდებოდა. ის გავლენას ახდენდა არა მარტო დემოკრატულ მასაზე, მუშათა კლასზე, არამედ ყველა ქვეყნის პროგრესულ ლიტერატურულ ფენებზეც.

ეს პროლეტარული მწერლები თავიანთ მხატვრული აზროვნების არსენალს არ ამდიდრებდნენ კლასიკური მემკვიდრეობის მიღწევებით, ისინი პროლეტარული, საბჭოთა ლიტერატურის შექმნის საქმეს ძალიან იოლად უყურებდნენ, მათ არ ესმოდათ, რომ „პროლეტარული კულტურა არ წარმოადგენს საიდანღაც გამოვარდნილ რამეს, იგი არ არის იმ ადამიანთა გამოგონება, რომელნიც თავისთავს სპეციალისტებად თვლიან პროლეტარული კულტურის დარგში, ეს თავიდან ბოლომდე ლაყბობაა. პროლეტარული კულტურა ბუნებრივი კანონზომიერი შედეგი უნდა იყოს იმ საერთო ცოდნის განვითარებისა, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, ჩინოვნიკური საზოგადოების უღელქვეშ“ (ლენინი).

პროლეტარული ლიტერატურის ახალმა ძალებმა, რომლებმაც თავიდანვე გამოამჟღავნეს სიახლის გრძნობის მეტი უნარი, დიდი როლი ითამაშეს ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ლიტერატურის შექმნისათვის ბრძოლაში. მართალია, მათი შემოქმედებითი გზა არ იყო დაზღვეული შეცდომებისა და ნაკლოვანებებისაგან, მძაფრი კლასობრივი ბრძოლის მომენტებში ისინი ააშკარავებდნენ ზოგჯერ უცხო იდეურ განწყობილებებს, ბურჟუაზიულ გადანაშთთა ზეგავლენის რეციდივებს, მაგრამ შინაგანად ისინი ჯანსაღი იყვნენ, წარმატებით აღწევდნენ თავს უცხო იდეურ-მხატვრულ გავლენებს, ჰქმნიდნენ მხატვრულად გამართულ და მაღალ იდეურ ნაწარმოებებს, რომლებიც შთაგონებული იყო განახლებული ცხოვრების სიდიადით, სოციალური სიმართლითა და სოციალიზმის ბრწყინვალე მომავლის დიადი რწმენით. ეს კადრები დაძაბული შემოქმედებითი მუშაობით ჰქმნიდნენ ახალ ლიტერატურულ ატმოსფეროს. მათი პოეტური ხმა ორგანიულად ეხმაურებოდა და ეხმაურება დღესაც განახლებულ სოციალისტურ ცხოვრებას. რამდენიმე ძველ

ნიჭიერ მწერალთან ერთად, რომლებმაც გულწრფელად მიიღეს რევოლუცია, პროლეტარული მწერლობის ეს კადრები ჰქმნიდნენ ნამდვილად ახალსა და მებრძოლ ლიტერატურას, რომელშიც იგრძნობოდა გულმართალი სიახლოვე საბჭოთა სინამდვილესთან, ახალი იდეების ძალა, რევოლუციური ექსპრესია და მომავლის დაუცხრომელი რომანტიკა.

ამ თაობის ყველაზე ტიპიური წარმომადგენელია ალიო მაშაშვილი. მაშაშვილმა პოეზიაში თან მოიტანა კომკავშირული ენტუზიაზმი, სიხარულის მაღალი გრძნობა და ქვეყნისა და ხალხის სიყვარული, ლენინისა და სტალინის დიადი საქმის სიყვარული. მაშაშვილის პოეზია ყოველ ეტაპზე ძლიერია ჯანსალი საბჭოთა პატრიოტიზმით, გულწრფელი ამღერებითა და შემოქმედებითი გატაცებით. საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ წლებში, როცა უპარტიო მწერალთა ნაწილი ჯერ კიდევ ტყვედ ჰყავდა დეკანდენტურ სიმბოლისტურ გარემოცვას, ვერ ხედავდა აწმყოში შემოქმედებითი აღტყინების წყაროს და უიმედობით შეპყრობილი ზეციურ სამყაროში ეძიებდა „მარადიულ“ იდეებს, მაშაშვილი დასცინოდა მათ და გაბედულად მოუწოდებდა:

„თქვენ, ეი, ცაში ბევრს ნუ დაეძებთ,
ძირს სიყვარულით დახედეთ მიწასო“.

„მიწის სიყვარული“ აძლევდა ძალასა და სურნელებას მაშაშვილის პოეზიას. იგი ხდიდა მას აქტუალურსა და ემოციურად ზემოქმედს. თემატიკურმა აქტუალობამ, ლექსის ბუნებრივმა მუსიკალურმა ჟღერამ, სისადავემ, მოვლენისა და საგნის მაღალმა პოეტურმა წარმოსახვამ და განცდის უშუალობამ პოეტს თავიდანვე ფართო პოპულარობა მოუპოვეს ხალხში. მაშაშვილს არ ახასიათებს თემატიკური და მხატვრული ხერხების განსაზღვრულობა. იგი თითქმის თანაბარი ძალით ფლობს ლირიკის უშუალო ფორმას, სატირას, იუმორს, ეპიურ თხრობის მანერას და ხატვის სურათოვნებას. ა. მაშაშვილის ლექსები და პოემები მდიდარია სახეებით, მოხდენილი შედარებებით, ლამაზი, ეპიტეტებით. ამასთან ლექსალობის სიმსუბუქე და მუსიკალური ჟღერა დიდ შესაძლებლობას აძლევს პოეტის ლექსს ადვილად გადავიდეს ხალხში და სიმღერად გადაიქცეს. ალიო მაშაშვილმა ადვილად დაიმკვიდრა ქართულ პოეზიაში საკუთარი მხატვრული სტილი, მაგრამ იგი ყველაზე მეტად საინტერესოა მაინც, როგორც სიახლის მახვილი გრძნობის პოეტი, ამ სიტყვის თემატიკური გაგებით. იგი თავის პოეზიაში მრავალ ახალსა და საინტერესო პრობლემას აყენებს. ეს პრობლემები ეხებიან ჩვენი დროის ადამიანის ცხოვრების და თანამედროვეობის სხვადასხვა მხარეს, გადმოგვცემენ პოეტის დამოკიდებულებას კულტურულ მემკვიდრეობასთან, მის ბრძოლას წარსულის ყოფით გადანაშთებთან, ახალი ადამიანის მორალური ნორმებისა და მის სინამდვილესთან სოციალისტური ურთიერთობის ფორმირებას, გმირობას, სიყვარულსა და თავდადებას სამშობლოსათვის, ლენინ-სტალინის იდეებისათვის.

თავის დასკვნაში პოეტი ყოველთვის არ არის მართალი, მაგრამ უმთავრესად ის სწორ იდეურ თვალსაზრისზე დგას.

ალიო მაშაშვილმა მრავალი საინტერესო ლექსი და პოემა შექმნა, რომლებიც დღემდე საბჭოთა პოეზიაში რჩებიან, როგორც საუკეთესო ნიმუშები. კერძოთ მის ლექსებში ლენინზე, სტალინზე და სამშობლოზე დიდი პოეტური უშუალობით არის განცდილი თემა. აქ პოეტის განცდებთან შეერთებულია გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ხალხის სიხარული და ბედნიერების გრძნობა, სამშობლოს უძლეველობისა და კომუნიზმის გამარჯვების რწმე-

ნა. პოეტის ამ ლექსებში არაჩვეულებრივი ძალით ჩქეფს ხალხის თავდადებული ერთგულება და სიყვარული თავისი ბელადებისადმი — ლენინისა და სტალინისადმი.

„ლენინი", — პოეტის ეს პირველი ყველაზე გავრცელებული ლექსი, — გადმოგვცემს მთელი მშრომელი კაცობრიობის მიერ განცდილ მწუხარებას თავისი საყვარელი და უდიდესი ბელადის სიკვდილის გამო, მაგრამ ხალხის ამ დიდ სევდასა და მწუხარებასთან ერთად ლექსში დანახულია ლენინის უკვდავებაც. ლენინი ფიზიკურად მოკვდა, მაგრამ ის თავისი ნათელი და ბრძნული აზრებით იცოცხლებს, ჩვენთან ერთად იბრძოლებს და ააშენებს ახალ ცხოვრებას.

მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმით არის გამთბარი „ჰიმნი სამშობლოს", „სამშობლო ბელადისა", „გაზაფხული", პოემა „ენგური" და მისი სხვა ახალი ლექსები. ამ ნაწარმოებებში აღბეჭდილია სოციალისტური საქართველოს ბუნებრივი სილამაზე და სიმდიდრე, მისი დოვლათის სიუხვე და ინტელექტუალური ენერგია. პოეტს სწამს, რომ ქვეყანა, რომელმაც წარმოშვა ორი დიდი გენიოსი—სტალინი და რუსთაველი, მარად უძლეველი იქნება, არ დაჭკნება მისი მთებისა და მინდორ-ველის მშვენება და სურნელება. იგი ყოველ თავის ლექსსა და პოემაში უმღერის სოციალისტური საქართველოს მიღწევებს, ხატავს მის აყვავებულ მთა-ველს, სოფელსა და ქალაქს, ბედნიერ ხალხის სიხარულსა და ენტუზიაზმს. და ყველაფერს ამას ხატავს და ამუქებს, როგორც ბრძენი სტალინის მშობლიური ზრუნვისა და ხელმძღვანელობის შედეგს.

არანაკლებ საინტერესო ფიგურაა კონსტანტინე ლორთქიფანიძე. მწერლობა კ. ლორთქიფანიძემ ლექსებით დაიწყო. მისი ლექსები საინტერესო იყო ლირიკული განწყობილებებით, ფსიქოლოგიური სიმძაფრითა და შელოდიით. ლექსებში პოეტი პირველად ქართველ სიმბოლისტთა გავლენას ამყოლავნებდა, მაგრამ ეს გავლენა მალე დასძლია და რევოლუციური პათოსით გამთბარი რეალისტური ნაწარმოებნი მოგვცა. მალე ლორთქიფანიძე თითქმის ხელიანად პროზაში გადავიდა და გახდა საბჭოთა პროზის ერთერთი საუკეთესო ოსტატი. მისი ბელეტრისტული ნაწარმოებნი („ხავსი", „პირველი დედა", „ახალი გლეხები", „იმერეთი", „ბელორუსული მოთხრობები" და სხვ.) დიდი პოპულარობით სარგებლობენ მკითხველებში. კ. ლორთქიფანიძე აქტუალური ბელეტრისტია. იგი სწერს ისეთ თემებზე, რომლებსაც ჩვენს ეპოქაში პრაქტიკულ ალმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და უშუალოდ ეხმაურებიან სოციალისტურ თანამედროვეობას. ლორთქიფანიძის პროზის თემაა საბჭოთა და კომკავშირული ახალგაზრდობის ყოფა, ქართველი გლეხობის ბრძოლა საკოლმეურნეო ცხოვრების მოწყობისათვის, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარება, კაპიტალიზმის ნარჩენების აღმოფხვრა ადამიანთა შეგნებიდან და ახალი ადამიანის ფორმაცია და საბჭოთა კავშირის ხალხების უახლოესი გმირული წარსული. ყველა ეს მოვლენა მწერლის მიერ დანახული და გაშუქებულია მძაფრ სოციალურ წინააღმდეგობათა სიტუაციაში. კ. ლორთქიფანიძე ცოცხალ მხატვრულ სახეებს ქმნის დეტალების იშვიათი შერჩევის გზით, იგი გასაოცარ გემოვნებას იჩენს დამახასიათებელი შტრიხების გადმოცემის დროს. ლორთქიფანიძე არ მისდევს ყველაფერს დაწვრილებითი აღწერის გზას, იგი ყოველთვის განზოგადების მეთოდით სარგებლობს და გვერდს უვლის ისეთ წვრილმანებს, რომლებიც ხელს არ უწყობენ ზოგადი და აღებული დროისათვის ტიპიური ხასიათების შექმნას. ლორთქიფანიძის მიერ დახატული ისეთი ჩვეულებრივი ადამიანებიც კი, რომლებიც თავიდანვე არ არიან მოწოდებულნი

დიდი გმირობისათვის, მოქცეული არიან ისეთ ტიპიურ ვითარებაში, რომ მათი გმირობა ხდება მხატვრულად დამაჯერებელი და თავისი დროისათვის დამახასიათებელი. („ბელორუსული მოთხრობები"). მის ნაწარმოებში პირადისა და საზოგადოებრივი ურთი-ერთობის პრობლემები დიდ პრინციპულ სიმაღლემდეა აყვანილი. ეს პრობლემები გაშლილია კლასობრივი ბრძოლის, ინტიმური ცხოვრებისა და სიყვარულის ფონზე. პირადისა და საზოგადოებრივის, კერძოულისა და ზოგადის ურთიერთობაში მოცემულია ძველისა და ახლის, კეთილისა და ბოროტის დაპირდაპირება, ბრძოლა, ბრძოლა არა გარეგნული — შიშველი სოციოლოგიზმის, არამედ შინაგანი, სოციალურ-ფსიქოლოგიური გზით. ასეთია კ. ლორთქიფანიძის „პირველი დედა", „ახალი გლეხები", კერძოდ „იმერეთი" და „ბელორუსული მოთხრობები".

ამ მეთოდით კ. ლორთქიფანიძე წარმატებით აღწევს „ყოველდღიურობაზე" მაღლა დადგეს და შექმნას ყოველი დროისათვის საინტერესო მხატვრული ნაწარმოები. უკანასკნელ პერიოდში ლორთქიფანიძე ბევრს მუშაობს მხატვრულ სტილზე, ენაზე. „ბელორუსული მოთხრობები" და „იმერეთის" მეორე ნაწილი, რომლის ნაწყვეტები ქვეყნდება პერიოდულ გამოცემებში, მოწმობენ იმას, რომ მან უკვე მიაღწია საკუთარი სტილის სრულყოფას, კერძოდ, ცოცხალი, მოქნილი, დახვეწილი და ლაკონიური გახადა დიალოგი. იგი ქმნის იშვიათად ნათელ სასაუბრო ენას, რაც მეტად საყურადღებოა ქართული საბჭოთა პროზის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით.

კარლო კალაძეს ცოტა განსხვავებული ადგილი უჭირავს პროლეტარულ და საბჭოთა პოეზიაში. მართალია, იგი ვერ ასცდა ლიტერატურულ გავლენებს და დიდ ხარკს უხდიდა წვრილ-ბურჟუაზიულ-დეკადენტურ განწყობილებებს, მაგრამ თავიდანვე ცდილობდა თავის თანამედროვეებისაგან, როგორც პოეტი, დამოუკიდებელი ყოფილიყო. კალაძემ ჩვეულებრივად დაიწყო. მისი პირველი ლექსი ფორმალური თვალსაზრისით მეტად სადაა და უბრალო, საინტერესოა მხოლოდ შინაარსის მხრივ. სრულიად ახალგაზრდა პოეტი 1920 წელს, როცა საქართველოში მენშევიკების დიქტატურა მეფობდა, სწერს ლექსს, რომელიც გადმოგვცემს თავისუფლებისათვის ბრძოლას განწყობილებას. მწუხრს მოუცავს მიდამო, შფოთავს ბრძოლის ველი, პოეტი ვერ ხედავს ვერსაიდან შველას, მაგრამ სჯერა, რომ თავისუფლება მაინც გაიმარჯვებს და გმირი გამარჯვებული მოვა:

„მზე იბრწყინებს ისევ,
დასრულდება გლოვა...
და ომ გადახდილი
ხალხის მხსნელი მოვა!.."

ასეთი განწყობილებით შეხვდა კარლო კალაძე საქართველოში სოციალისტურ რევოლუციის გამარჯვებას. ერთი წლის შემდეგ დაწერილ ლექსში („ზეიმი") მან გამოხატა გათავისუფლებული მშრომელი ხალხის საზეიმო განწყობილება, ბედნიერების გრძნობა. ქართველმა მუშამ 1921 წელს პირველად იდღესასწაულა თავისუფლად პირველი მაისი. ამ ზეიმით გამოწვეულ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და პოეტიც თავის ლექსში გადმოგვცემს ამ სიხარულს თავისი ლრმა სოციალური აზრით:

„და თუ ის ჩუმად
გვამღერებდა მრავალი წელი —
დღეს ზეიმია!—გაასკეცდა ბრძოლის ხალისი!
ავსწიოთ მაღლა

დასისხლული ჩვენი დროშები, —
ეს სიხარული მტრებს ხმლებივით შემოესევა...
ქალაქი ჰფეთქავს — აზვირთებულ ქუჩებს მოდენის,
ქალაქს ვარდებით, ყვავილებით უბე ევსება!“

განახლებული ცხოვრებით კმაყოფილების გრძნობა და ოპტიმიზმი ყოველთვის ახასიათებდა კალაძის პოეზიას, მაგრამ მისი ოპტიმიზმი არ იყო აწეული, პათეტიკური, ამიტომ მის ლექსს არ ჰქონდა ისეთი გარეგნული შთაბეჭდილება, როგორიც სხვა მისი თანამედროვე პროლეტარული პოეტის ლექსს. კალაძე ამ მომენტს თავის შემოქმედებაში დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა. იგი დაუსრულებლად ახალის ძიებაში იყო და ამ შემოქმედებითი ძიების დროს მთავარ ყურადღებას აქცევდა ფორმალურ მიღწევებს და ამ შემთხვევაშიც წინა პლანზე აყენებდა არა რიტმიულ-მელოდიურ მხარეს ლექსისას, არამედ გარეგნულ პოეტურ წყობას, ტექნიკას, პოეტური ფრაზის გამოქანდაკებას, რასაც ერთგვარი სიცივე და ინერტიულობა შეჰქონდა მის ლექსში. ამგვარად, კალაძე დიდ ყურადღებას აქცევდა რა ლექსის ფორმას, თანაბარი გულმოდგინებით არ ეპყრობოდა მის (ლექსის) ფორმის ყველა შემადგენელ ელემენტს. ეს მომენტი განსაკუთრებით იგრძობა მაშინ, როცა კალაძის ადრინდელ პოეზიას განვიხილავთ ფორმის და შინაარსის ურთიერთ დაპირდაპირების ასპექტში. კალაძემ დაიწყო თანამედროვეობის გრძნობით, მაგრამ ეს ხაზი შემდეგში თანმიმდევრულად ვერ განავითარა. პოეტისათვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე თემატიკური გადახვევები, რაც თავის კვალს ამჩნევდა მის იდეურ კონცეპციაზეც. ერთ პერიოდში პოეტი შეიპყრო წინაპართა სისხლისა და ძვლების იდუმალმა „მოძახილმა“, მის სულს შინაგანად სტანჯავდა რაღაც გაუგებარი თვით პოეტისათვის. ამ „გაუგებარის“ ბრმა „ტყვე“ ცდილობს ხარკი გადაუხადოს წარსულს; მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ იყო უარყოფა ან შეგნებული ინდიფერენტიზმი თანამედროვეობისადმი. ეს იყო პოეტის პირადული სისუსტით გამოწვეული ცოდვები, შეცდომები, რომელსაც იგი შემდეგში სავსებით ასწორებს. თვით შეცდომების პერიოდში პოეტი სწერს ლექსებს თანამედროვეობის თემაზე და თავისებურად აშუქებს მათ. უკანასკნელი წლების მანძილზე კალაძემ უფრო ნათელი გახადა თავისი პოეტური გზა. მისი გრძნობა სოციალისტური სინამდვილისა რეალისტურია და გასაგები. კალაძის ლექსის ნათელ პოეტურ ფორმას შეემატა აზრის სიცხადე და სულიერი განცდის სილრმე. ამასთან კალაძის პოეტურ ცნობიერებაში გაფართოვდა დღევანდელობის პრაქტიკული ცოდნა. ჩვენს ქვეყანაში და ადამიანის ცხოვრებაში მომხდარ ისტორიულ ცვლილებებს იგი არ აფასებს მათი გარეგანი ეფექტის მიხედვით, არამედ სწვდება მათ შინაგან ბუნებას და გადმოგვცემს წინააღმდეგობათა დაძლევის პროცესში. პირველად კარლო კალაძემ შეჰქმნა ფართო პოეტური ტილო კოლექტივიზაციის თემაზე („უჩარდიონი“), მან მძაფრ დრამატიულ სიტუაციაში დახატა კლასობრივი ბრძოლის სურათები სოფლად და კოლექტივიზაციის გამარჯვების გარდუვალობის რწმენა. კალაძეს დაწერილი აქვს მრავალი კარგი ლექსი ისტორიულ წარსულზე, სოციალისტურ სამშობლოზე, პატრიოტიზმზე, გმირობაზე. იგი ამთავრებს ახალ რომანს ლექსად სტალინზე, რომლის ორი თავი უკვე გამოქვეყნდა. კალაძის ლექსი „ბარათი ლავრენტი ბერიას“ ერთერთი კარგი ლექსია, რომელიც ამღერებულია სოციალიზმის გამარჯვების სიხარულით და გამსჭვალულია დიდი ბელადისადმი სიყვარულის გრძნობით.

მომდევნო თაობა (ირ. აბაშიძე, ალ. გომიაშვილი, გრ. აბაშიძე, გ. კაჭახიძე, ალ. ადამია, ბ. ჩხეიძე და სხვ.) გამოვიდა სოციალიზმის გამარჯვების ეპოქაში, როცა ქართული საბჭოთა ლიტერატურა დიდი იდეური აღმავლობის სტადიაში იყო. ამ პერიოდში სწრაფი გარდატეხა დაიწყო მხატვრულ ლიტერატურის ძველ კადრებში. სოციალიზმის წარმატებათა და გაშლილი იდეური ბრძოლის შედეგად გაბედულად გადავიდნენ ისინი საბჭოთა ლიტერატურის იდეურ პოზიციებზე და აქტიური შემოქმედებითი მუშაობა დაიწყეს პროლეტარული მწერლობის კადრებთან ერთად. ამიტომ პროლეტარულ მწერალთა ამ თაობის შემოქმედებაზე შედარებით ნაკლები გავლენა ჰქონდა უცხო ლიტერატურულ მიმდინარეობებს. მათი შემოქმედების უშუალო შთაგონების წყაროს წარმოადგენდა სოციალიზმის წარმატებები. საბჭოთა საკოლმეურნეო სოფლისა და ქალაქის თემატიკა, ახალი ადამიანი და მისი იდეურ-მორალური ხასიათები. თანდათან გაუმჯობესდა რა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა წინა პლანზე წამოვიდა ყოფაცხოვრებითი, გმირობისა და საბჭოთა პატრიოტიზმის პრობლემები, რამაც დიდი ადგილი დაიკავა ამ თაობის შემოქმედებაში. ეს თაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული კომკავშირულ პრესასთან, აქტიურ პრაქტიკულ მონაწილეობას იღებდა, როგორც კომკავშირულ, ისე საზოგადოებრივ მუშაობაში. ის ცოცხლად და სწრაფად ასახავდა კომკავშირული ახალგზარდობის ოპტიმიზმს, ენთუზიაზმს და მზადყოფნას პარტიისა და მთავრობის ლონისძიებათა განხორციელებისათვის. მათი შემოქმედების შინაარს განსაზღვრავდა ძირითადად ის თემატიკა, რომელსაც აყენებდა კომკავშირისა და საბჭოთა საზოგადოებრივობის ცხოვრების ყოველდღიურობა. ეს მწერლები დაზღვეული იყვნენ თემატიკური განყენებულობითა და ზოგადობით. თემის აბსტრაქტიულობა, ერთგვარი ლტოლვა ფორმალისტური და „თვითმიზნური", ნაკლებად აქტუალური და ნაწილობრივ,—სანტიმენტალური ლირიკისაკენ გამოაჭიანურა პოეტმა გრ. აბაშიძემ, მაგრამ ეს „აბსტრაქტულობა" არ ყოფილა მთავარი და წამყვანი „თემა" არც მისი შემოქმედებისათვის. მან დასწერა მრავალი კარგი ლექსი სოციალისტური თანამედროვეობის ყოველდღიურობაზე, ამ სიტყვის ფართო გაგებით. კერძოდ, მისი პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული" დღემდე რჩება ერთერთ კარგ პოეტურ ნაწარმოებად ქართულ საბჭოთა პოეზიაში. „შავი ქალაქის გაზაფხული" ყურადღებას იქცევს იდეურ სიმახვილითა და თემის ღრმა ცოდნით, ღრმა პოეტური გააზრებით. პოემაში ასახულია ერთი შესანიშნავი ეპიზოდი სტალინის ბრძოლებიდან ქართველ მუშათა პოლიტიკური გათვითცნობიერებისა და დარაზმისათვის მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე. ისტორიული ფაქტები პოემაში შეერთებულია მხატვრულ სიმართლესთან. კომპოზიციურად იგი ოსტატურად არის გაკეთებული და ამავე დროს დიდი გემოვნებითა და ზომიერებითაა გადმოცემული იმ ხალხის ყოფითი კოლორიტი, რომლის ცხოვრებასაც ეხება პოემის სუჟეტი.

ირ. აბაშიძემ განავითარა პოლიტიკური ლირიკის პუბლიცისტურ-აგიტკური ხაზი. ყველა თავისი ლექსით პოეტი ეხმაურება პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს ლონისძიებათა გატარებას, ის ხატავს სურათებს განახლებული პეიზაჟისას, საბჭოთა ადამიანების გმირობისას, სიხარულისას, ირ. აბაშიძის ლექსები „ქანდაკი მთაწმინდაზე", „ლ. ბერიას", „ზღვა", „გმირები", „ყვავილები ქალაქში", „ორი ირმის ქანდაკი კომკავშირის გორაზე", „ნარიყალა და მაიდანი", „ოდიშის პლანტაციები" და სხვა, შთაგონებულია სოციალისტური სინამდვილით და საინტერესონი არიან, როგორც პოეტური მოფიქრების, ისე მხატვრული დამუშავების მხრივ. პატარა ლირიკული ლექსი

„ზღვა“ დიდი პოლიტიკური იდეით არის გამსჭვალული. აქ ზღვის ტალღები ამეტყველებულია, როგორც ცოცხალი ადამიანი, რომელიც განიცდის ორი სამყაროს რაობას. კაპიტალისტური სამყაროს სოციალური უკულმართობით შეძრწუნებული ტალღები გამოექცევიან „სამშობლოს“ და სოციალისტური რევოლუციის მზიურ ქვეყანას მოაშურებენ, სადაც ისინი იგრძნობენ ნამდვილ თავისუფლებას. ამ გარემოებით აღტაცებული პოეტი ვაჟკაცურ ხელს უწვდის ზღვას და საბჭოთა ადამიანის გულწრფელი თანაგრძნობით ხვდება. აქ მხატვრული ოსტატობით არის შეერთებული სოციალისტური რევოლუციის იდეა ინტერნაციონალურ იდეასთან. იმავე იდეით არის განათებული „ორი ირმის ქანდაკი კომკავშირის გორაზე“. მოხეტიალე ქვეყნით ქვეყნამდე, ტფილისს მოადგა უცხოეთიდან გადმოხვეწილი ორი ირემი. მათ აქ პირველად იგრძნეს თავისუფლება, ისინი მთიდან დაჰყურებენ სოციალისტური ტფილისის სიმშვენიერეს, უშუალოდ განიცდიან ახალი ცხოვრების დუღილს და „შეხარიან ბედნიერებას ადამიანურს“, აქ „ნახეს ირმებმა ქვეყნად პირველი თავისუფლება ნებადართული“. ასეთი ჭარბი იდეურობით ხასიათდება ირ. აბაშიძის ყოველი პატარა ლირიკული ლექსი. პოეტის კარგ ლექსთა წყებას ეკუთვნის აგრეთვე ლექსები კიროვზე, ბერიაზე და წულუკიძეზე. ეს ლექსები ყურადღებას იქცევენ რევოლუციური პათეტიკისა და პერსპექტივის ხალასი პოეტური გრძნობით. ამგვარად ირ. აბაშიძე თავის თაობის პოეტებიდან ყველაზე მახვილი პოლიტიკური ლირიკის წარმომადგენელია, პოლიტიკური იდეა პოეტის ყოველი ლექსის უშუალო მხატვრული იდეაცაა, რომლის ემოციური გადმოცემისათვისაც იგი არ მიმართავს მხატვრულ გადახვევებს.

ალ. გომიაშვილმა პროლეტარულ პოეზიაში მოიტანა განახლებული მთის განწყობილება. მისი ლექსებით ქართულ პოეზიაში პირველად აიღო სიტყვა საბჭოთა მთამ და ამ გაბედულმა სიტყვამ თავისი ორიგინალობა ბოლომდე შეინარჩუნა. გომიაშვილის ლექსს თავიდანვე ახასიათებდა შინაარსის ორიგინალობა, თავისებური შინაგანი რიტმიული მოძრაობა, მელოდიურობა და ფორმის სიახლე. ახალ მთას საბჭოთა პოეზიაში პოეტმა სრული მოქალაქეობრივი უფლება მოუპოვა, იგი აქცია ორგანიულ ნაწილად ქართული საბჭოთა ლიტერატურის მთლიანი თემისა. ამას ალ. გომიაშვილმა მიაღწია უპირველესად იმით, რომ იგი არ რჩებოდა ტყვედ იმ კუთხის ვიწრო კოლორიტულ თავისებურებებისა, საიდანაც იღებდა ლექსის თემას, მასალას. ეგზოტიკა უცხოა გომიაშვილისათვის. მისი დამოკიდებულება მასალასა და მოვლენებთან კუთხური თავისებურებით არ განისაზღვრება. პოეტი განახლებული ცხოვრებისა და დიდი იდეების თვალით უყურებს აღებულ მოვლენებს და გადმოგვცემს მათ თანამედროვე ლიტერატურულ მხატვრულ ფორმაში. მართალია, ალ. გომიაშვილის ლექსი დავალებულია მთის ფოლკლორის პოეტური ხერხებით, მასალის მხატვრული გააზრების მანერით, ზოგჯერ რიტმითაც, მაგრამ ყოველივე ეს გადამუშავებულია პოეტის მხატვრულ კონცეფციაში. პოეტი მთასთან დაკავშირებულია მხოლოდ თემით, მასალით, მტკიცე ვაჟკაცური რიტმით, სიტყვის შინაგანი მახვილით და სტრიქონის სიმკვრივით, მიჯრილობით. სხვა მხრივ გომიაშვილის ლექსი თანამედროვე პოეტური კულტურის საერთო ატმოსფერაშია მოქცეული. თუ პირველად მის ლექსს ზოგჯერ ერთგვარი ბუნდოვანება ახასიათებდა, ამ ბუნდოვანებისაგან იგი თანდათან თავისუფლდება. ამასთან პოეტური მასალის განსაზღვრულობა არ ჰქმნის გომიაშვილის პოეზიაში პოტენციურ განსაზღვრულობას, შეზღუდულობას. ყოველ წვრილმანს პოეტი საერთოს, სოციალისტურის მასშტაბით სჭვრეტს. თვით მთა გომიაშვილის პოეზიაში გაგებუ-

ლია, როგორც ორგანიული ნაწილი ბარისა და ის განწყობილებები, რომელსაც პოეტი გადმოგვცემს, თვისებით საერთოა. ასეთი პოტენციული თავისუფლების შედეგად იგი ჰქმნის მრავალფეროვან მხატვრულ სურათებს, სახეებს და განწყობილებებს, თანაბარ ოსტატობით და უშუალობით ამუშავებს „მთისა“ და „ბარის“ თემებს, ეხმაურება თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს. მას აქვს საუკეთესო ლექსები თავდაცვის თემაზე, პატრიოტიზმზე, სოციალიზმის მიღწევებით შთაგონებულ ჩვენი ხალხის სიხარულზე, მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადზე — ამხანაგ სტალინზე, კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე და სხ. ყველა ეს თემები ორგინალურად არის გააზრებული პოეტის მიერ.

თუ კიდევ რამეში გვინდა დავინახოთ მთის პოეზიის ტრადიციების, მხატვრული სტილის გავლენა გომიაშვილის პოეზიაში, — უპირველესად ბუნების გრძნობაზე უნდა შევჩერდეთ. მის ყოველ ლექსს, რა თემაზეც უნდა იყოს იგი დაწერილი, ახასიათებს მხატვრული „გადახვევა“, ბუნების გრძნობის „სიჭარბე“. ბუნების ამათუიმ კუთხით ჩვენების გარეშე, საერთო. ბუნების გარეშე მისთვის, როგორც პოეტისათვის, არავითარი მოვლენა არ არსებობს: თუ უპირველესი ელემენტები პოეზიისა არის ადამიანი და მისი შინაგანი სამყარო, სული, მაშინ პოეზია არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ბუნების მოვლენების გარეშე, რადგან ისინი ერთმანეთისაგან განცალკევებულად არ არსებობენ, ერთმანეთს ავსებენ, ამდიდრებენ და ასპეტაკებენ. ასეთია გომიაშვილის მხატვრული მრწამსი. აქ იგი პრინციპულად სწორია. მხატვრული აზროვნება, მხატვრული „გადახვევებისა“ და ბუნების მოვლენების უშუალო ხედვის გარეშე წარმოუდგენელია, ისე ის მშრალი აგიტკის ფორმას იღებს, მაგრამ, აქ საჭიროა ზომიერების დაცვა. სწორედ ამ ზომიერების დაცვაში უნდა გამომჟღავნდეს პოეტის მხატვრული ოსტატობა. ასეთი ზომიერების გრძნობა ალ. გომიაშვილს ლექსებს არ აკლიათ. განცდის სილრმით, სურათოვნებით, ლირიკული უშუალობითა და სითბოთი გამოირჩევა მისი ლექსები: „ბაზალეთის ტბა“, „უკანასკნელი დღე კეცხოველისა“, „სნაიპერის სიყვარული“, „კარლ მარქსის ხსოვნას“, „მონადირის სიკვდილი“, „ხევსურები დარიალს შემოვიდნენ“, „ამირანის მოსვლა“, „ბელადის ფიცი“, „ვარსკვლავები კრემლზე“ და სხვა.

გიორგი კაჭახიძე უფრო ყოფითი განწყობილებების პოეტია და მისდევს იდილიური პოეზიის ტრადიციებს. თავისი სტილით ისიც მკვეთრად გამოირჩევა თავისი და წინათაობის პოეტებისაგან. ეს განსხვავება გამოიხატება არა თემატიკაში, არამედ აღებულ თემებთან მისვლაში. გ. კაჭახიძის შემოქმედების სფერო მრავალფეროვანია, ამ სიტყვის თემატიკური გაგებით. მას დაწერილი აქვს ლექსები დიდ ბელადებზე: ლენინზე, სტალინზე და აგრეთვე ოქტომბერზე, საქართველოს გასაბჭოებაზე, ძველსა და ახალ სოფელზე, ყოფა-ცხოვრებით თემაზე, პატრიოტიზმზე, სამშობლოზე და სხვ. ისინი დაწერილი არიან საკმაო მხატვრული სიძლიერით.

გ. კაჭახიძემ ლექსების წერა სოფლის თემატიკიდან დაიწყო. ამასთან ის თავის ლექსებში ისტორიულ მოვლენებს რევოლუციის შემდგომი პერიოდის სოფლიდან სჭვრეტდა. დღევანდელი სოფელი არის პოეტის შემოქმედების ძირითადი თემაც და მხატვრული იდეის წყაროც. მის მხატვრულ ცნობიერებაში კონტრასტულად ხვდებიან ერთმანეთს ძველი და ახალი სოფლის ყოფა-ცხოვრებითი ხასიათები და იშობა თანამედროვეობით კმაყოფილების გრძნობა. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას მის ადრინდელ ლექსებზე, სადაც ბავშვობის დროის პირვანდელი შთაბეჭდილებებია გადმოცემული.

პოეტის დამახასიათებელია იდილიური სიმშვიდე და კმაყოფილება, შინაგანი ტონური ერთგვაროვნება, აუშფოთველობა. ეს ტონური ერთგვაროვნება და იდილიური სიმშვიდე ზოგჯერ უკიდურესობამდე მიდის, ანელებს ლექსში ცეცხლს, რომელიც მკითხველს უნდა გადაეცეს და აღაგზნოს იგი. გ. კაჭახიძე არ მისდევს რომანტიკული აღგზნების, პათეტიკის გზას, ის პირდაპირ გადმოგვცემს და გვიხატავს, რასაც ხედავს და განიცდის. მისი პოეტური ძალა მჟღავნდება ამ განცდის გადმოცემის მხოლოდ ლირიკულ უშუალობაში.

გ. კაჭახიძე საინტერესოა აგრეთვე, როგორც საბავშვო პოეტი. ჩვენს ბავშვებში იგი ერთერთი პოპულარული პოეტია. ყველაზე მეტს ამ ჟამად იგი ბავშვებისათვის სწერს. საბავშვო ლექსებში კაჭახიძე ბავშვების ბუნებისა და ინტერესის ღრმა ცოდნას ამჟღავნებს.

უკანასკნელ წლებში საინტერესო ლექსები და პოემა გამოაქვეყნა ალიო ადამიამ.

გარდა აღნიშნული მწერლებისა იმ პერიოდში პროლეტარული ლიტერატურის ასპარეზზე მუშაობდნენ ელ. პოლუმორდვინოვი, ბ. ჩხეიძე, კ. ბობოჩიძე და სხვ. ეს მწერლები დღესაც აქტიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან.

*
* *

იმისათვის, რომ შედარებით სრული წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ლიტერატურულ ძალებზე, რომლებიც სოციალისტური რევოლუციის შემდგომ პერიოდში გამოვიდნენ და ჩადგნენ საბჭოთა ლიტერატურის პირველ რიგებში, საჭიროა მოკლედ თვალი გადავავლოთ ლიტერატურული ახალგაზრდობის სხვა წარმომადგენლებსაც. სოციალისტური რევოლუციის პირველი წლებისათვის დამახასიათებელი მძაფრი კლასობრივი წინააღმდეგობანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაო გამოხატულებას პოულობდა ლიტერატურულ წრეებში. ქართულ ლიტერატურაში „არსებობდნენ კარჩაკეტილი, განკერძოებული ჯგუფები: „ცისფერი ყანწები", „აკადემიური" ჯგუფი, „ლეფელები", „არიფიონი" და სხვანი" (ლ. ბერია). ეს ჯგუფები გამოხატავდნენ, ერთის მხრივ, საბჭოთა სინამდვილისადმი აშკარად მტრულ განწყობილებებს, მეორეს მხრივ-კი, წვრილ ბურჟუაზიულ ბუნტარულ წმინდა ფორმალისტურ „ნოვატორულ" ტენდენციებს („ლეფი"), რაც არ ეგუებოდა და არსებითში უარყოფდა ნამდვილი ხალხური ლიტერატურის ჭეშმარიტ პრინციპებს და არ სცილდებოდა ვიწრო სქოლასტიკური და „კამერული" ლიტერატურის საზღვრებს. ყველა ეს ჯგუფები ერთგვარ გავლენას ახდენდნენ ახალგაზრდობის ნაწილზე. კერძოდ „ლეფი" თითქმის მთლიანად საბჭოთა პერიოდის ლიტერატურული კადრებისაგან შეიქმნა.

ამ ლიტერატურულ კადრებიდან, რომლებმაც დღემდე შეინარჩუნეს ლიტერატურული ინტერესი, დავასახელოთ სიმონ ჩიქოვანი, დემნა შენგელაია, აკაკი ბელიაშვილი, ვიქტორ გაბესკირია, გრიგოლ ცეცხლაძე, ვარლამ ჟურული, დავით გაჩეჩილაძე და სხვ.

წერილის ფარგლები საშუალებას არ იძლევა ფართოდ განვიხილოთ ამ მწერალთა განვლილი შემოქმედებითი გზა, რადგან ეს გზა წინააღმდეგობებით სავსე, რთული და მრავალფეროვანია. დასახელებულ მწერალთა შემოქმედების ხასიათი ერთგვაროვანი არ არის. ისინი სხვადასხვა საწყისებით მოვიდნენ საბჭოთა მწერლობის რიგებში. ამ მწერლების შემოქმედებითი პრაქტიკა მიმდინარეობდა ცხოვრებისაგან იზოლირებულად, ვიწრო ლიტერატუ-

რულ ჩარჩოებში. ერთი ნაწილი გაბედულად ეძებდა ახალ გზებს ლიტერატურაში, ახალ „პრინციპებს". მაგრამ ეს ძიება იყო წმინდა ფორმალისტური ხასიათისა, იგი არ იყო დაკავშირებული იმ საგნის ძიებასთან, რომელიც ლიტერატურის სასიცოცხლო ძარღვს წარმოადგენს. ამით უნდა აიხსნას, რომ მათ პოეტურ ხმას არ ჰქონდა პირველ პერიოდში ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი.

ბუნდოვანი ძიების პერიოდი ამ მწერალთა ლიტერატურულ ცხოვრებაში ოცდაათიანი წლების დასაწყისამდე მოდის. ოცდაათიანი წლების დასაწყისს, კერძოდ მის მეორე ნახევარში ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა დიდმა ისტორიულმა ძვრებმა ეკონომიკისა და კულტურის სფეროში, ძველს ინტელიგენციაში, მათ შორის მწერლებშიაც გამოიწვია სწრაფი მობრუნება და გადასვლა საბჭოთა იდეურ პოზიციებზე... ამ მოძრაობამ ყველაზე დიდი და უშუალო გამოხატულება ჰპოვა დასახელებულ ლიტერატურულ ახალგაზრდობის იდეურ მხატვრულ შეხედულებებში. ამის ახსნა ადვილია. მართალია, ამ ახალგაზრდობას წარსულის აჩრდილი დასტრიალებდა თავს, მაგრამ, რამდენადაც მათი შეგნებული და ლიტერატურული ცხოვრების დასაწყისი საბჭოთა პერიოდს ემთხვეოდა, იმდენად ძლიერი იყო მათში ახალის გრძნობის უნარი. ახალის ბუნდოვანი ძიება, რომელიც დამახასიათებელი იყო ქართველი ლეფელებისათვის, ბოლოს-დაბოლოს, სოციალიზმისა და სოციალისტური კულტურის თანდათანობით გამარჯვებასთან ერთად აუცილებლად უნდა განვითარებულიყო იმ ლოგიკური გზით, რომლითაც განვითარდა ის. ქართველ ლეფელთა ყველაზე ორგანიულად მისვლა სოციალისტურ სინამდვილესთან და ლრმა გაგება სოციალისტური ლიტერატურის ინტერესებისა გარდუვალი იყო, რადგან მათი სიახლის ძიება იმდენად წარსულთან არ იყო დაკავშირებული, რამდენადაც მომავალთან. ყოველი ახალისა და ცხოველმყოფელურის მასაზრდოებელ წყაროდ შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციური სინამდვილე.

აი რით უნდა ავსხნათ ის გარემოება, რომ არაპროლეტარული მწერლებიდან აღნიშნულ პერიოდში ყველაზე ადვილად და ყველაზე გადაჭრით „ლეფელთა" საუკეთესო წარმომადგენლები დადგნენ საბჭოთა ლიტერატურის იდეურ პოზიციებზე და ახლა ისინი წარმოადგენენ ქართული საბჭოთა ლიტერატურის მოწინავე ძალებს.

პოეტი სიმონ ჩიქოვანი, რომელიც ქართველი ლეფური ახალგაზრდობის ყველაზე გამოკვეთილი ფიგურა იყო, ერთ-ერთი გამოჩენილი და მოწინავე საბჭოთა პოეტია. მისი შემდგომი პერიოდის ლექსები დაწერილია უდიდესი პოეტური შთაგონებით, მხატვრული ოსტატობითა და იდეური სრულყოფით. სიმონ ჩიქოვანის პოეზიისათვის ლირიკულ უშუალობასა და პოეტურ ოსტატობასთან ერთად დამახასიათებელია ფილოსოფიური სილრმე, სურათოვნება, მხატვრული ხედვის დიდი დიაპაზონი. პოეტმა უკანასკნელ პერიოდში საბოლოოდ დახვეწა ლექსი ფორმალისტური ხასიათის ბუდნოვანებისაგან, რაც ხშირად ძნელად გასაგებს ხდიდა ლექსის აზრს. იდეას და ხელს უშლიდა მის ფართოდ გავრცელებას მკითხველთა მასაში, ხალხში. ს. ჩიქოვანი უდიდესი პასუხისმგებლობით და კრიტიკის თვალით უყურებს ყოველ სიტყვას, მხატვრული გამოსახვის ყოველ საშუალებას და იშვიათად ემოციურს ხდის ლექსს. მისი ახალი ლექსები ფორმალურად დახვეწილი და აზრობრივად ნათელია. ამასთან ს. ჩიქოვანის პოეზია ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში გამოირჩევა პრობლემურობის სიჭარბით. ის არასოდეს არ მიდის თემასთან უბრალოდ და იოლი გზით, იგი ცდილობს ინდივიდუალურისა და სოციალურის, საზოგადოებრივის,

ისტორიულისა და თანამედროვეობის თემები მოაქციოს მკაცრ ლოგიკურ ჩარჩოებში და აიყვანოს მხატვრულ განზოგადოებამდე. ამას გარდა პოეტი შორს იხედება. ლექსის შინაარსს ბრწყინვალე მომავლის დიადი იდეების შუქით ანათებს. ჩიქოვანის ლექსის ფორმა და შინაარსი ბუნებრივად არიან შერწყმული ერთმანეთთან, მხატვრულად მთლიანია და სრულყოფილი. ამ მხრივ მისი უკანასკნელი ლექსები პოეტური ოსტატობის ნიმუშებს იძლევიან და შეაქვთ მხატვრული სიახლე თანამედროვე პოეზიაში. სიმონ ჩიქოვანის პოეზია ამჟამად არის დაუცხრომელი ძიება მაღალი მხატვრული ფორმისა, ძიება დიდი იდეების პოეტური ექვივალენტისა. სიმონ ჩიქოვანი ნათელი აზროვნების პოეტია. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი გრძნობს, რომ ძიების პერიოდი მას ჯერ კიდევ არ გაუვლია. ჩიქოვანს აქვს მაღალი მხატვრული გემოვნება და სალი პოეტური ალღო; როგორი სრულყოფილიც უნდა იყოს მისი ლექსი, ვერ დაინახავთ იქ ავტორის თვითკმაყოფილებას და გრძობ, რომ ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ ის, რისკენაც მიილტვის პოეტი. ამიტომ, სიმონ ჩიქოვანის ყოველი მომდევნო ლექსი რაღაცას ახალსა და საინტერესოს შეიცავს.

დემნა შენგელაია რევოლუციამდე გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მაგრამ, როგორც მწერალი, იგი ჩამოყალიბდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ადრინდელ ნაწარმოებს მწერლის შემოქმედებით ბიოგრაფიაში არა აქვთ არსებითი მნიშვნელობა. დემნა შენგელაიამ დაახლოებით ისეთივე გზა გაიარა, როგორიც ყოველმა ქართველმა ფუტურისტმა. მას ჰქონდა სიმბოლიზმის გავლენაც, ნატურალისტური ელემენტებიც, სქემატიზმიც. იგი თავისი შემოქმედებითი პრაქტიკით ხშირად უარყოფდა მხატვრული პროზისათვის აუცილებელ პრინციპს — მტკიცე სუჟეტურ აღნაგობას, ფაბულის განვითარების ლოგიკურ თანმიმდევრობას, მძაფრ შინაგან კონფლიქტებს, კვანძებს და მისდევდა გარეგანი ჭვრეტის ლოგიკას, ე. ი. გადმოგვცემდა იმსს და ისე, რაც და როგორაც ესათუის მოვლენა, ტიპაჟი მწერლის ერთი შეხედვის არეში გადატყდებოდა. ის იდეურ-ფსიქოლოგიური სიღრმე და განცდების სიუხვე, რაც პროზისათვის აუცილებელია, არ იყო აუცილებელი და საკვალდებულო ბელეტრისტისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დემნა შენგელაია, როგორც პროზაიკოსი, მაინც თავისი ჯგუფიდან ყველაზე მეტად იყო დაკავშირებული სინამდვილესთან, ცხოვრებასთან, ყველაზე ახლო იდგა რეალიზმთან. ამ მომენტმა ხელი შეუწყო შენგელაიას პროზის შინაგანი ბუნების სწრაფ გარდაქმნას და თანდათანობით გამოსვლას სოციალისტური რეალიზმის გზაზე. ამასთან, ის რაც ახასიათებდა დემნა შენგელაიას ადრინდელ პროზას, არ იყო შედეგი ავტორის მხოლოდ მხატვრული კონცეპციისა, ის იყო ნაწილობრივ მწერლური სიჭაბუკის ნაყოფი. იგი საბჭოთა მწერლობაში არ მოსულა მხატვრულ ოსტატობას დაუფლებული, დასრულებული სტილის მქონე. ის მოვიდა სტილის დადგენისათვის ბრძოლით. ამიტომ ევოლუცია თავისი შინაგანი წინააღმდეგობებითა და ნიუანსებით, ძლიერი და სუსტი მხარით, რომელიც გაიარა შენგელაიამ, ნახევრად გარდაუვალი, აუცილებელი იყო პროზაიკოსისათვის. პროზაიკოსს გაცილებით უფრო ვრცელი მოსამზადებელი პერიოდი აქვს.

დემნა შენგელაია ამჟამად ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია საბჭოთა პროზისა. მისი მოთხრობები და რომანები ყურადღებას იპყრობენ გამოკვეთილი სახეებით. თემისა და პერსონაჟის სიახლით, კომპოზიციური ორიგინალობით, მხატვრული სიმართლითა და მოფიქრების სიღრმით, პროზაიკოსისათვის დამახასიათებელი გულმოდგინებითა და უშუალობით. დემნა შენგე-

ლაიას პროზას მდიდარი თემატიკური ფონი და მრავალსახოვანი პერსონაჟი აქვს. იგი აგვისახავს სასიცოცხლო ნიადაგმოკლებულ და სასიკვდილოდ განწირულ ფეოდალური არისტოკრატიის ნაშიერთა გაკოტრებას, მათს ფუქსავატ ცხოვრებას, იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის ეპიზოდებსა და პერსონაჟებს, ყოფა-ცხოვრებას პირველი რევოლუციის წინა ხანაში, საბჭოთა საკოლმეურნეო სოფელს, გასული საუკუნის მეორე ნახევრის ტფილისს ტიპიური სოციალური ფენებითა და სიტუაციებით და სხვ. მან შეჰქმნა შესანიშნავი მხატვრული ნარკვევი ბელადის დიადი ფიცის შესახებ. მასვე ეკუთვნის ნიჭიერად დაწერილი მოთხრობა სტალინზე, სადაც დიდი ლირიკული უშუალობით არის ასახული სტალინის ბავშვობის წლები, იმდროინდელი გარემო, ხასიათები და მშობლების ოჯახი. მასვე ეკუთვნის პირველი სერიოზული ცდა ჩვენს ლიტერატურაში საბჭოთა ინტელიგენციის ტიპების შემოყვანისა („შთაგონება").

აკაკი ბელიაშვილი ნოველებისა და პატარა მოთხრობების კარგი ოსტატია. მის პროზას ახასიათებს მტკიცედ გამოკვეთილი სუჟეტი, დახვეწილი ენა, მოხდენილად განვითარებული ფაბულა და ლამაზი დიალოგი... დიდი ზომიერების გრძნობა და სიტყვის სიძუნწე, სადა, მაგრამ შინაგანი მღელვარებით განვითარებული ფაბულა, ბელიაშვილის მოთხრობებს ემოციურ ძალას აძლევენ. მისი პროზის მთავარი თემა არის საბჭოთა ბედნიერი ახალგაზრდობის გმირობა, ერთგულება და თავდადება სამშობლოსათვის. მართალია, ბელიაშვილის ზოგიერთ მოთხრობებს ახასიათებს სიმშრალე და სქემატურობა, მაგრამ უმთავრესად თავის მოთხრობებში იგი ამჟღავნებს ბელეტრისტისათვის აუცილებელ უშუალობას და დეტალების აღწერას აცხოველებს შინაგანი ლირიზმით. მან იცის ადამიანის ფსიქოლოგია, სული და წერის დროს მთელი აქცენტი ამ მომენტებზე გადააქვს. ამით უნდა აიხსნას, რომ ბელიაშვილის მოთხრობები ბოლომდე ინტერესით იკითხება.

პოეტებიდან არ შეიძლება გვერდი აუაროთ ვიქტორ გაბესკირიას. ვიქტორ გაბესკირია წმინდა ლირიკული ნატურის პოეტია. მისი ლექსები უფრო მეტად დაკავშირებულია გრძნობის ორგანოებთან და ყოველი მხატვრული წარმოსახვა ხედვის სფეროში ხდება. ეს გარემოება გაბესკირიას პოეზიას შინაგანად ნათელს ხდის. გაბესკირიამ დასძლია უკიდურესი განყენებულობა, დეკადანსის „მემკვიდრეობის" გავლენები, რომელიც მას ადრე ახასიათებდა. და ორგანიულად გაჰყვა ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურის ტრადიციებს. მისი უკანასკნელი წლების ლექსები შთაგონებულია დიადი სოციალისტური აწმყოთი და გამთბარია თანამედროვე ადამიანის სიხარულით. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მის ცალკეულ ლექსს ჯერ კიდევ ატყვია წარსულის ნიშანი, მყოფობის კერძოობითი გამოვლენა და შემოზღუდვა მეტად ვიწრო ინტიმური ამბებით. ამასთან არ არის ყოველთვის დაცული მის ლექსებში მუსიკალური მთლიანობა და არ მისდევს იგი პოეტურ მოდულაციას.

ვარლამ ეურულმა საკუთარი გადაახალისა თავისი პოეზიის იდეური არსენალი. იგი ცდილობს დროზე გამოეხმაუროს ჩვენს ქვეყანაში მომხდარ ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას. სწერს პატრიოტიზმზე, თავდაცვით თემაზე, საკოლმეურნეო სოფელზე და საბჭოთა კავშირის გმირებზე და გმირობაზე. მაგრამ რამდენადაც გულმოდგინეობას იჩენს აქტიური თემების შერჩევაში, იმდენად უდარდელობას ამჟღავნებს ფორმისადმი. იგი ძალიან პასიურად უყურებს ლექსის მხატვრულ მხარეს.

დავით გაჩეჩილაძეც საკმაოდ პროდუქტიულია, მაგრამ მან თვისი სტილი თარგმანებით განსაზღვრა და დაჰკარგა „საკუთარი“ ხმა. მისი ორიგინალური ლექსები ჰგვანან თარგმანებს. აქ ვერ იგრძნობა ხალასი უშუალო და ის ინტიმი, რომელიც პოეტის ორიგინალურ ლექსს ძველად ახასიათებდა.

*

* *

უკანასკნელი წლების მანძილზე ქართულ საბჭოთა მწერლობაში დაწინაურდნენ საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდები (გ. კალანდაძე, მ. გელოვანი, ალ. საჯაია, გ. ჯაბუშანური, ლ. ასათიანი, შ. ამისულაშვილი, რ. მარგიანი, მ. მრევლიშვილი, მ. ბარათაშვილი, ლ. ბალიაური, კ. ხიმშიაშვილი, ვ. ავალიანი, ი. ნონეშვილი, გ. ძიგვაშვილი, ა. თევზაძე, მ. მიქელაძე, ივ. შაიშმელაშვილი, ვ. სულაბერიძე, ვ. უბილავა და სხვ.). ამ ახალგაზრდობამ სწრაფად მიიპყრო ლიტერატურული საზოგადოებრივობის ყურადღება. ეს ყურადღება დაიმსახურეს ერთის მხრივ იმით, რომ უმრავლესობა ამ ახალგაზრდობისა ლიტერატურაში მოვიდა თითქმის უკვე გამართული სტილით, მხატვრული კულტურით და გამოამჟღავნა დიდი პოტენციალური ენერგია: მეორეს მხრივ, მათ თან მოიტანეს პოეტური ფანტაზიის საკუთარი სამყარო. შეეცადნენ განსხვავებულიყვნენ წინა თაობის მწერლებისაგან, ახალი გზები მოენახათ მოვლენებისადმი მხატვრული მისვლისა და მათი ასახვისა. ისინი ძირითადად ჯანსაღი ტენდენციების მატარებლები არიან, თავიანთ ლექსებსა და მოთხრობებში ორგანიულად აქსოვენ ბედნიერი თანამედროვეობით აღძრული სიყვარულისა და სიხარულის გრძნობებს. მათ ეკუთვნით ბევრი კარგი ლექსი თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს თემებზე. მათი ლექსები, დაწერილი ბრძენი ბელადისა და მისი სამშობლო—გორის დიად თემაზე, საბჭოთა პატრიოტიზმზე, სოციალისტურ სამშობლოს თავდაცვაზე, თანამედროვე სოფელზე და ქალაქზე. ჩვენი ეპოქის ახალ ადამიანზე და მის სულიერ განცდებზე ორგანიულად ჟღერენ ქართულ საბჭოთა პოეზიაში.. ყველა ამ ნაწარმოებში მთელი ბუნებრივი უშუალობით განვიცდით მოწინავე საბჭოთა ადამიანის დამოკიდებულებას მის გარეშე სამყაროსთან, საზოგადოებრივი და სუბიექტური ხასიათის მოვლენებთან, ამბებთან. ამასთან, ბევრი რამ საინტერესო და ახალი გვხვდება ამ მწერალთა მიერ ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული წარსულის მხატვრულ ინტერპრეტაციაში, ისინი ცდილობენ ორიგინალური მხატვრული საშუალებებით, მანერით და ახალი მხატვრული გაშუქებით გვიჩვენონ შორეული ისტორიული წარსული, რომელზეც ძალიან ბევრი დაწერილა კლასიკოსების მიერაც და თანამედროვე ლიტერატურაშიც. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ცდები ყოველთვის წარმატებით არ სრულდება. ამასთან, ყველა ახალგაზრდა არ არის ერთნაირი შესაძლებლობისა და ერთნაირი სტილის მწერალი.

ერთი ნაწილი ამ ახალგაზრდობისა ცდილობს წავიდეს „წმინდა პოეზიის“ გზით, შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას აძლევს თემას, იდეებს და უმთავრეს ყურადღებას აქცევს ფორმას, რაც ხშირად უარყოფით გავლენას ახდენს მათს მთელ შემოქმედებაზე, უქმნის ყალბ ტონს. ფორმა ამ ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებაში იძენს თავისთავად მნიშვნელობას. მათთვის ლიტერატურული ცხოვრება უფრო მეტად საინტერესოა, ვინემ პრაქტიკული სინამდვილე. გატაცებული არიან შორეული ისტორიული წარსულის თემებით, რომლებიც გარომანტიზირებული სახით წარმოგვიდგება, ბავშვობის დროის „მოგონებებით“, წმინდა ინტიმური და განყენებული თემებით, რადგან ეს თემები

გაცილებით მეტ „თავისუფლებას“ აძლევს მათს პოეტურ ფანტაზიას. ამასთან შედარებით ნაკლებ მიდრეკილებას იჩენენ თანამედროვეობის აქტუალური პრობლემებისადმი. ისინი ამ პრობლემებს ეხებიან სხვათაშორის და პერიოდულად, მათი შემოქმედების ცენტრალურ თემათ არ გადაქცეულა ის სინამდვილე, რომლითაც სუნთქავს და საზრდოობს დღევანდელობა, თანამედროვე ადამიანი, თანამედროვე და მომავალი კულტურა. ამიტომ ახალგაზრდა მწერლების ეს ნაწილი ვერ ამჟღავნებს ცხოვრების ღრმა ცოდნას, დიდ პრაქტიკულ დაკვირვებას და კმაყოფილდებიან წუთიერი შთაბეჭდილების გადმოცემით. წუთიერ შთაბეჭდილებებს კი არ ძალუძთ გაგვაცდევინონ სიღრმე და სიდიადე სოციალისტური თანამედროვეობისა, მოახდინონ დიდი ემოციური ზეგავლენა მკითხველზე. ამ ახალგაზრდა პოეტების (ლ. ასათიანი, მ. გელოვანი, ა. შენგელია, ნაწილობრივ რ. მარგიანი, ი. ნონეშვილი და სხვ.) შემოქმედებით პრაქტიკაში თავს იჩენს დეკადანსის პოეზიის გავლენის ელემენტებიც: საკუთარ ცხოვრებაზე გულგატეხილობა, მარტოობა, უპერსპექტივობა, სევდა, წუხილი, გატირება წარსულისადმი და ბუნდოვანი ხედვა მომავალი პერსპექტივისა, ხახეებისა, შედარებების დაბნელება და სხვ.

უკანასკნელ პერიოდში ამ ახალგაზრდა პოეტების ერთი ნაწილის შემოქმედებაში დაიწყო ბრძოლა ჯანსაღსა და ავადმყოფურ საწყისებს შორის. ისინი თანდათან თავისუფლდებიან აღნიშნულ შეცდომებისაგან და გამოდიან საბჭოთა მწერლობის ფართო შემოქმედებით ასპარეზზე.

ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი (გ. ჯაბუშანური, ალ. საჯაია, გ. კალანდაძე, გ. ძიგვაშვილი და სხვ.) უფრო სწორი გზით მიდის. მათი პოეზია შთაგონებულია კომუნიზმის იდეებით, სოციალიზმის გამარჯვებებით, საბჭოთა ხალხის გმირობით, მაგრამ ჯერ კიდევ თან სდევთ „ყრმობის“ ბუნდოვანება.

რაც შეეხება ახალგაზრდა პოეტებს ა. თევზაძეს, შ. ამისულაშვილს და სხვ., მათი შემოქმედება იდეური თვალსაზრისით უფრო ჯანსაღია. ისინი ისწრაფვიან დროულად გამოეხმაურონ თანამედროვეობის აქტუალურ თემებს. მათ აქვთ მთელი რიგი კარგი ლექსებისა სტალინზე, სამშობლოზე, კულტურის დიად მემკვიდრეობაზე და საბჭოთა ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე, ახალი ადამიანის ინტერნაციონალურ სულისკვეთებაზე. ეს ლექსები შთაგონებულია ბედნიერი თანამედროვეობით, მაგრამ მათ ლექსებში თანაბრად არ იგრძნობა პოეტური ოსტატობა. თავიანთ იდეებს, აზრებს ხშირად მარტივად გამოხატავენ და მხატვრული საღებავები უბრალოებამდე დაჰყავთ... ამასთან ზოგჯერ მათი ლექსის ფორმა ხალხური პოეზიის სრულ იმიტაციამდე დადის (ა. თევზაძე) და სუსტად მიიწევენ ლიტერატურული სიახლისა და მხატვრული ოსტატობისაკენ.

ხალხურობა მწერლობისა არასოდეს არ ნიშნავდა და არც ახლა ნიშნავს ლიტერატურის დაყვანას მხატვრული გამოსახვის ფოლკლორის ფორმამდე, დონემდე. კლასიკოსების ძალა და მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი, უშუალოდ უკავშირებდნენ რა თავიანთ შემოქმედებას ხალხს, ამდიდრებდნენ ამ შემოქმედებას იმ ცხოველი და დიდი ფანტაზიით, რომელიც ხალხს გააჩნდა. ხალხური პოეზიიდან სწავლობდნენ სისადავეს, ხალხის განწყობილებას, გულმართალ მისვლას მშრომელთა მასასთან და ღრმად იგებდნენ ამ მასის გულისტკივილს, იმსჭვალებოდნენ ხალხში დაფარული ოპტიმიზმით, მომავლის იმედით და ეს იმედი ჰქმნიდა მათ შემოქმედებაში შინაგან პათოსსა და მძაფრ დრამატიზმს. მაგრამ გამოსახვის ფორმალურ საშუალებებით კლასიკოსები უშუალოდ არ ბაძავდნენ ხალხს, ფოლკლორის

პოეტურ ხერხს. ისინი ამუშავებდნენ საკუთარ მხატვრულ ლაბორატორიაში და დიდი ლიტერატურული კულტურის ხარისხში აჰყავდათ. ასეთია აგრეთვე საბჭოთა ლიტერატურის დამოკიდებულების პრინციპი ხალხური საუნჯისადმი. სხვა გზა ნამდვილი ლიტერატურისათვის არ არსებობს. წამბაძველობა ბოლო გზაა და ამ გზით ახალგაზრდობა არასოდეს არ უნდა წავიდეს.

იმისათვის, რომ შედარებით სრული წარმოდგენა ვიქონიოთ უკანასკნელი თაობის ლიტერატურულ ახალგაზრდობაზე, მოკლედ უნდა შევეხოთ აგრეთვე ახალგაზრდა პროზაიკოსებს.

უკანასკნელ პერიოდში მხოლოდ სამი პროზაიკოსი (ლ. ბალიაური, კ. ხიმშიაშვილი, ლ. ავალიანი) დაწინაურდა. სამივე ახალგაზრდა უთუოდ ნიჭიერი და საინტერესო მწერალია.

ლადო ბალიაურის შემოქმედების თემა ხევსურეთია. მან კარგად იცის თავისი თემის კოლორიტი, ხევსური ხალხის ყოფა-ცხოვრება, წარსული, აწმყო და მორალი. ამასთან იგი თავის მოთხრობებში ცხოვრების დიდ პრაქტიკულ ცოდნას ამჟღავნებს, რაც პროზაიკოსის გამარჯვების ერთი ძირითადი აუცილებელი პირობაა. ცხოვრებისა და ადამიანების პრაქტიკული ცოდნის გარეშე აღწერილი გარემო და ტიპები, როგორი თავისებურებითაც არ უნდა იქნენ ისინი შემოსილი, მკრთალი და სისხლნაკლული იქნება. ამიტომ არის, რომ ბალიაურის მიერ დახატული ხევსური ტიპები, ხევსური ხალხის ყოფაცხოვრება, გარემო უალრესად ტიპიურია და დამაჯერებელი. ბალიაურს კარგად ეხერხება სუბიექტის კომპოზიციური შეკვრა, ფაბულის მძაფრი დინამური განვითარება. ყოველი მისი მოთხრობა კომპოზიციურად თითქმის უნაკლოა... მაგრამ ამ დიდ ღირსებებთან ერთად აქვს ნაკლიც, რომელზეც ახალგაზრდა პროზაიკოსს ამთავითვე უნდა მიუთითოთ. იგი თავის სტილს მეტისმეტად აეგზოტიურებს, გადაჭარბებით იტაცებს კუთხის ვიწრო კოლორიტული თავისებურება და ამ თავისებურების ხატვის დროს ვერ ჰქმნის გარკვეულ სიახლეს. ძნის თანამედროვე მწერლისათვის იდეების სიახლე არ მიგვაჩნია საკმარისად. მან ახალი ფორმალური საშუალებები უნდა გამონახოს, თვით მომქმედი პერსონაჟის სასაუბრო ენაშიც მეტი თანადროულობა, ზომიერება და ბუნებრივობა უნდა სჩანდეს და მეტყველების კოლორიტი უბრალო ჟარგონამდე არ უნდა დადიოდეს. მწერლისა და მისი ტიპების ენა ორგანიულად უნდა ერწყმოდეს საერთო ქართულს. ამასთან, ბელეტრისტმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს არა ტრადიციულ ჩვევათა შესწავლას, არამედ თანამედროვე ხევსურეთის განახლებულ ცხოვრებაზე აღმოცენებულ ახალ მორალურ ჩვევებს, ახალ ხასიათებს. ეს მორალური ნორმები და ხასიათები მან უნდა გამოიყვანოს იმ საერთო ცხოვრების ცოდნათა ჯამიდან, რომელშიც მთელი ჩვენი ხალხი ცხოვრობს. ამ თვალსაზრისით მწერლის მიერ გაშუქებული თანამედროვე ხევსურეთი უფრო საინტერესო, უფრო მართალი და დამაჯერებელი იქნება. ეს თავის მხრივ მოითხოვს მწერლისაგან პრაქტიკული ცოდნის არსის გაფართოვებას. არ არის საკმარისი ხევსურეთის მხოლოდ ღრმა ცოდნა, საჭიროა ღრმად და ყოველმხრივად შეისწავლოს მწერალმა საერთოდ თანამედროვე ადამიანი, ე. ი. თანამედროვე ადამიანი ბარშიაც და მთაშიაც. საჭიროა მთის ცხოვრებასთან ერთად შეისწავლოს ბარის ცხოვრებაც. ეს ჯერ კიდევ არ სჩანს ბალიაურის პროზაში. რამდენადაც სისხლჭარბია მისი მთის ადამიანები, იმდენად შედარებით სუსტი გამოუდის, როცა სხვა კუთხის, სხვა „მორალის“ ადამიანების დახატვას იწყებს.

კოტე ხიმშიაშვილი უფრო სხვანაირი ტიპის მწერალია. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ის ლიტერატურაში მოვიდა ლიტერატურიდან, ე. ი. იგი თავის მხატვრულ სამყაროს ლიტერატურიდან ჰქმნის. მის პატარ-პატარა მოთხრობებს ჭარბად ატყვიათ „ლიტერატურულობის" დაღი. აქ აშკარად სჩანს, რომ მათმა ავტორმა ცუდად, ან ნაკლებად იცის პრაქტიკული ცხოვრება. ფაბულა მოთხრობებისა აგებულია შემთხვევებზე, გარეგან ეფექტებზე, რომლებიც ამბის განვითარების შინაგანი აუცილებლობით არ არის მომზადებული. ახასიათებთ ზერელობა და სქემატიზმი. როცა კ. ხიმშიაშვილის მოთხრობების კითხვას ამთავრებთ, გგონიათ, რომ თქვენ წაიკითხეთ ოდესღაც წაკითხული. ამის მიზეზი სწორედ ის არის, რომ მწერლის მხატვრული ფანტაზია გამდიდრებულია არა ცხოვრების პრაქტიკული ცოდნით, საიდანაც მას შეეძლება შეიმუშაოს ახალი სახეები, ახალი სიტუაციები და სხვ., არამედ ლიტერატურიდან.

ამ ნაკლს კ. ხიმშიაშვილმა გვიან მიაქცია ყურადღება. მის უკანასკნელ რომანში „ჯონქა ხორნაული" სჩანს ავტორის პრაქტიკული დაკვირვების ალღო.. იგი შესდგომია ცხოვრების ყოველმხრივ შესწავლას. ამ თვალსაზრისით რომანში ბევრი რამ საინტერესო და საგულისხმოა. მაგრამ ამ რომანშიც თანამედროვე ცხოვრებისა და ადამიანების ყოველმხრივი ცოდნის დიდი სიღრმე არ სჩანს... იქ ჯერ კიდევ არის გამოაშკარავებული აქა-იქ ზერელე ცოდნის, წუთიერი შთაბეჭდილებების შედეგები. ახალგაზრდა მწერალს ბევრი მუშაობა დასჭირდება მხატვრული ფანტაზიის, მხატვრული სამყაროს გამდიდრებისათვის სინამდვილის ღრმა დაკვირვებათა შედეგად მიღებული შთაბეჭდილებებით. ამას იგი აუცილებლად უნდა ჩაუკვირდეს. კ. ხიმშიაშვილს, როგორც ბელეტრისტს განსაკუთრებულ ღირსებად უნდა ჩაეთვალოს ქართული ენის საუცხოო ცოდნა. მისი დიალოგი დახვეწილია, ლაკონიური და მხატვრულად სავსებით დასრულებული.

ვლადიმერ ავალიანი ნოველების მწერალია. პატარა ნოველა-მოთხრობებში იგი კარგად ახერხებს ხასიათებისა და ბუნების პეიზაჟების ხატვას. მისი მოთხრობების ფაბულა ელასტიურია და სწრაფად ვითარდება, მწერალი ცდილობს მძაფრი კოლიზიების მონახვასა და აზრის დრამატიზირებას. მაგრამ მისი ლიტერატურული სტილი ჯერ კიდევ დულილის პროცესშია. საჭიროებს დიდ დახვეწას. მწერალი გატაცებით მისდევს ბუტაფორიას, ფორმალისტურ-იმპრესიონისტულ მანერებს, „გამოგონებებს". გარდა ამისა მისი მოთხრობები ზოგჯერ მშრალია, სქემატური და მხატვრულად ნაკლებად დამაჯერებელი. ვ. ავალიანი უფრო ძლიერად ააშკარავებს იმავე სისუსტეს, რასაც ხიმშიაშვილი, ისიც პრაქტიკული ცხოვრების ნაკლებს ცოდნას ამჟღავნებს. მაგრამ ხიმშიაშვილისაგან განსხვავებულად მისი ენა არ არის ლაკონიური. ავალიანის მოთხრობებში ფრაზები ძალიან გრძელია, პუბლიცისტური, ხშირად ხმარობს ნაცვალსახელებს და სხვ. საერთოდ ქართულ მხატვრულ ენას არ ეგუება გრძელი და რთული წინადადებები.

ამ ამხანაგების გარდა პროზაში სხვა ისეთი ახალგაზრდა, რომელსაც თავისი ინტენსიური მუშაობით ფართო შემოქმედებითი შესაძლებლობა გამოემჟღავნებინოს, ჯერ არ გამოჩენილა. არის თითო-ოროლა მოკრძალებული ახალგაზრდა, რომლებიც პერიოდულად ბეჭდავენ პატარ-პატარა მოთხრობებს, მაგრამ მათზე აქ ჩვენ არ შევჩერდებით.

საერთოდ, როგორც დავინახეთ, ლიტერატურული ახალგაზრდობა საბჭოთა მწერლობის განვითარების ისტორიაში წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ

შემოქმედებით ძალას. მიმდინარე ეტაპზე ლიტერატურული ახალგაზრდობა, მიუხედავად მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებისა, რაზეც ჩვენ ზევით შევჩერდით, არის აქტიური შემოქმედი, რომელიც დიდ პერსპექტივებს იძლევა.

ლიტერატურული ახალგაზრდობა, ისევე, როგორც მთელი ჩვენი საბჭოთა მწერლობა, უფრო ღრმად უნდა დაეუფლოს თანამედროვეობის თემას. მას უნდა ახსოვდეს ამხ. ლ. ბერიას შემდეგი სიტყვები საბჭოთა მწერლის შესახებ: „საბჭოთა მწერალი, უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური სამშობლოს, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანი, მას უნდა უყვარდეს საბჭოთა ხალხი, საბჭოთა სამშობლო, ღრმად სწამდეს მისი ძალა და ძლიერება. იგი უნდა იყოს გულწრფელი და გულმართალი თავის ნაწარმოებებში, იგი უნდა განამტკიცებდეს, აფართოებდეს თავის კავშირურთიერთობას მშრომელთა ფართო ფენებთან".

ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებაში გმირულ საბჭოთა სინამდვილემ უნდა ჰპოვოს უფრო მეტი და უფრო სრულყოფილი მხატვრული ასახვა.

„ჩვენი ლიტერატურა უნდა იყოს ხალხური, უნდა გამოხატავდეს კაცობრიობის მოწინავე იდეებს — ლენინ-სტალინის პარტიის იდეებს" (ლ. ბერია).

ბიბლიოგრაფია

მაყვალა მრევლიშვილი — „ლექსები“

გამომცემლობა „საბლიტგამი“.

ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი ქალის ლექსების წიგნი იხსნება ლექსების ციკლით: „ჩემი სამშობლო“. აქ მოთავსებულია ლექსები დიდი ეპოქის ბრწყინვალე დღეებსა და მის შესანიშნავ ადამიანებზე.

ლექსი „ბელადის სახლთან“ ვრცელი სუჟეტიანი ლექსია და იშლება მდიდარი ბუნების ფონზე. ლექსში ამეტყველებულია ბელადის სამშობლო ქართლი, რომელიც სტუმრებს ეპატიჟება და ასეთ მუსაიფს უმართავს:

... ოჯახის შვილი სახლში არ გახლავს,
საბრძოლოდ არის ხალხის რჩეული,
დაჰკუწა მტერი, ჩვენზე კარგახანს
გველეშაპივით შემოჩვეული.
გზას ამ ეზოდან კრემლის მიწამდე
მზის ნამუხლარი შეურჩენია,
რამდენი ერიც სტუმრად ვიწადე,
მეტყვის, — შენი ძე ახლა ჩვენია“.

ამის შემდეგ პოეტი ექსკურსიას აკეთებს გორის მიდამოებში, აღწერს გორის ბუნების სიდიადეს, მომხიბლაობას და მის წიაღში სჭვრეტს საბჭოთა კავშირის ხალხების ზეიმს.

ლექსი უეჭველად დიდი სუჟეტური აღნაგობით არის გააზრებული და არ შეიძლება ითქვას, რომ მასში ეს დიდი თემა სავსებით იყოს დაწურული. ლექსში სჩანს ხალხთა ბედნიერი ყოფა, მაგრამ რელიეფურად არ იგრძნობა მათი გულისთქმა და სიხარულის განცდა.

ლექსი „ჩვენი მარში“ საბჭოთა მგზნებარე პატრიოტული გრძნობით გაკეთებული ლექსია და მასში ასახულია საბჭოთა ადამიანების დიდი სიყვარული და თავდადება თავისი დიადი სამშობლოსათვის.

ლექსი „12 ივნისი“ მიძღვნილია ღირშესანიშნავი თარიღისადმი და ეხება სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე ჩატარებულ პირველ არჩევნებს, სადაც ამრჩევლები და ამორჩეულები ერთნაირი სიხარულის მხურვალე გრძნობებით არიან გამსჭვალული:

„მანქანებით დაფენილა
ეს ზეცა და ეს ყანა.
ხმას მეც გაწვდენ სიამაყით,
საბჭოეთის ქვეყანავ.
დღევანდელი სიხარული
ერთსულოვნად გაისმა.
რა ამინდი დაგვიშაქრა
მოღაღანე მაისმა“.

„პარტიზანის მოგონება“ გადმოგვცემს სამოქალაქო ომის ფონზე ტყეში გახიზნულ პარტიზანების ცხოვრებას.

ლექსის მხატვრული სამკაულები ღარიბია. სავსეა განყენებული და ბუნდოვანი სახეებით, რაც ლექსის მხატვრულ ღირებულებას ძალიან ამცირებს. არ ვარგა, მაგალითად:

„ალღომ დაყარა აშლილი ახო“, „ბალახს გაეკრა ქარვის მჭადები“, „მომავლის ელჩად“, „მზის საამქროს ხიზნებმა“ და სხვა.

„ტფილისის ქვები“ ქალაქ ტფილისის მშენებლობის თემაზე დაწერილი ლექსია. მხატვრულად შედარებით სუსტია.

„ცაცა ქირდავა“, „წერილი ახალწვეულს“, „აბრეშუმი“ და სხვა ლექსები გვისახავს საბჭოთა ეპოქის დიად დღეებს და მის მოწინავე ადამიანების განცდებს.

ლექსები: „პატარძალი“, „ჭიუხვისაკენ“, „თხილამურებით“, „ალპინიადაში მზექალაც გვყავდა“, „სტადიონზე“, „ისევ თხილამურები“ და სხვა, როგორც სათაურებიდან სჩანს ფიზკულტურისა და სპორტის თემაზეა დაწერილი.

სარეცენზიო წიგნში მოთავსებულია მთელი ციკლი ლექსებისა ზაფხულის ეტიუდების სახელწოდებით. ამ ლექსებიდან ზოგიერთი ლექსი მხატვრულად სუსტია.

გ. ფ.

გ. ჯაბუშანური — „არაგვიანი“

უკანასკნელი 4—5 წლის განმავლობაში ქართულ ლიტერატურაში გამოიზარდა მთელი თაობა ახალგაზრდა მწერლებისა, რომელთაგანაც ბევრი უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობს.

მათ რიცხვს ეკუთვნის პოეტი გაბრიელ ჯაბუშანური.

გასულ წელს „ფედერაციის“ მიერ გამოცემული იქნა მისი ლექსთა კრებული „არაგვიანის“ სახელწოდებით, რომლითაც გ. ჯაბუშანური მკითხველთა წინაშე წარსდგა, როგორც გარკვეული შემოქმედებითი სახის მქონე ახალგაზრდა პოეტი.

მისი ყოველი ლექსი მკითხველს ხიბლავს თავისებური მელოდიკით, ლაკონურობითა და ეპიური სიცხადით.

ხევსურეთის ახალი ყოფა, ტრადიციული ჩვევებისა და შუღლის მოსპობა მთის ხალხში, ბელადისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა, ჩვენი მესაზღვრეების გმირობა და სიმამაცე — აი ის, რასაც უმთავრესად ეხება ჯაბუშანურის პოეზია.

გ. ჯაბუშანური არ არის ვიწრო ესთეტიური ხედვის პოეტი. იგი ბრძოლისა და მოქმედებისაკენ მოუწოდებს თავის ლექსებს. პოეტს სურს, რომ მის სიტყვას „ჰქონდეს სიმტკიცე, სითბო და ეშხიც — კაცურად შეხვდეს მტერს და მოკეთეს“.

ჯაბუშანურს უყვარს საბჭოთა მესაზღვრეები, რადგან მათში ხედავს ჩვენი დიდი სამშობლოს ფხიზელ და საიმედო მცველებს.

ერთ ლექსში იგი ასე მიმართავს მათ:

„ნუ მიწყენთ, ხშირად რომ არ გახსენებთ,
რომ ვერ ავსახე თქვენი ცხოვრება,
რომ სხვა ფრონტებზე ცეცხლი გავხსენი
და ლექსებს ვგზავნი იქ მეომრებად...
რაც თავს მოვესწარ, იქიდან დღემდე
ვცან თქვენი ძალა გაუგონარი“.

პოეტის სურვილია, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც დაამტკიცოს სიყვარული დიდი სამშობლოსადმი:

„მომეცით ხმალი, თავს ვანებებ ლექსთა მოყოლას,
მინდა საქმითაც დავამტკიცო მღერა ქველური“.
(„ვაუკაცური ძახილი“).

საბჭოთა პატრიოტიზმის ძლიერი გრძნობით არის შთაგონებული ჯაბუშანურის ლექსი „ბალადა მესაზღვრეზე“. ავტორს რამდენიმე სტროფში შესანიშნავად აქვს მოცემული მომაკვდავი მეზღვაურის გმირული სულისკვეთება:

ეჰ, დიდო მზეო... მარად გშვენის ეგ ამაღლება,
რა იქნებოდა ჩემთვის ჯარი რომ გეთავაზნა...
მერე ჯანდაბას — არ მენაღვლება...
საზღვარს გადმოდის თეთრი ნისლი ტანთქვირული,
ნისლს უტევს ქარი, შვენით შეხლა მამაც მეომრებს.
უცებ თოფის ხმა!.. ერთი... მეორე...
და შეძახილი გულგანგმირულის".

აქ პოეტური ლაპიდარობა მინიმუმამდეა დაყვანილი. ამგვარად სიტყვის ეკონომიის ბარჯზე ჯაბუშანური ძლიერ ეფექტს იძლევა. ძირითადი ხაზი ჯაბუშანურის პოეზიისა ლირიკულ-ეპიური გზით მიიმართება. პოეტს ემარჯვება მოკლე და გამართული სუჟეტების მოცემა („ცხენი", „ლურჯა", „ქისტის ქალი", „სამნი" და სხვა). დინჯი თხრობა ხშირად მძაფრ ლირიზმში გადადის. ამბავს ლექსის ფორმაში ოსტატურად აყალიბებს. საყურადღებოა ამ მხრივ მისი „შეხვედრა". ნადირობის დროს ანაზდეულად ხვდებიან ერთმანეთს ქისტი და ხევსური. მათში ინსტიქტურად იჩენს თავს საუკუნოებრივი შუღლი და მზად არიან სამკვდროსასიცოცხლოდ შეეჯახონ ერთმანეთს.

„თურმე ამგვარ ზნეს ქმნის იმთავითვე
ასეულ წლობით ნაზარდი მტრობა,
წუთით ძმობის ფიცს გადაგავიწყებს
და მოგანდომებს კვლავ სისხლით თრობას".

მაგრამ მათ შორის უცებ ჩადგება ბელადის სახე და ორივენი უმალვე იმსჭვალებიან სტალინური მეგობრობის გრძნობით:

„ორივეს გულზე ნათლად ელავდა
სტალინის სახე ჩვეული გზნებით.
ჩვენ შორის ასე ჩადგა ბელადი
და მეგობრობის გაგვიხსნა გზები".

ეს იდეა ახალი არ არის ჩვენს მწერლობაში, მაგრამ ავტორს მაინც პოეტური ორიგინალობითა და დიდი ემოციურობით მოუხერხებია მისი გადმოცემა. ლექსის ვაუკაცური რიტმი, მოხდენილი გამეორება („შესდექით! რეკდა აჯა მთებისა") იშვიათ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

სისადავე და უბრალოება ახასიათებს ჯაბუშანურის ლექსების უმეტესობას. მდიდარი რითმები ძალდაუტანებლად მოსდევენ სიტყვას, აზრი შეუბორკავად ვლინდება ლექსში, იშვიათია თვითმიზნური, გარეგნულად ბრწყინვალე სტრიქონები.

ასეთი ბუნებრივობითაა დაწერილი „თმაშეეერცხლილი დეპუტატი":

„წარსულში სხვებმა შენი სვე მართეს,
დაბადებითვე ხმა ჩამოგერთვა.
იკითხე: „რისთვის?" და განგიმარტეს:
„ასე შეგქმნაო ამ ქვეყნად ღმერთმა".
გძარცვავდნენ, გცემდნენ, ნავი დღე გადგა
და გაჯერებდნენ „ენდე საწუთროს".

ლექსის ეს ნაწყვეტი შესანიშნავად გამოხატავს იმ უუფლებობას, რომელსაც განიცდიდა რევოლუციამდე მძიმე უღელქვეშ ქედმოხრილი ხალხი. „ენდე საწუთროს" — ეს იყო „ნუგეში" უუფლებო ხალხისა წარსულში.

დღეს ხალხს მოპოვებული აქვს ხმა და უფლება. სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ იგი ანხორციელებს თავის ნება-სურვილებს, ხალხი თვითვე გახდა თავისი ბედის მჭედელი. აი აზრი, რომელიც პოეტს ჰაღარა დეპუტატის სახით აქვს მოცემული პირდაპირ და გულწრფელად. ლექსში არ იგრძნობა არც ყალბი ტონი და არც რიტორიული — დეკლამაციური კილო ანუ „ბუკისა და ნაღარის ხმა".

ჯაბუშანური ლექსში პოეტური სალებავების ზომიერად და შოხდენილი გამოყენებით საკმაო ოსტატობას აღწევს. აღსანიშნავია ამ მხრივ „მწყემსი ქალის თქმა ბელადზე", „ელნათურები ხევსურის ქოხში", „თავთავების საუბარი" და სხვა. ეს ლექსები ლირიკული აზროვნების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ. კერძოდ პირველ ლექსში საუცხოოდ არის გადმოცემული მწყემსი ქალის ფიქრები ბელადზე:

„მზე ჯერ არ სჩანს სანუკვარი,
ჩემს ფარეხში ბეუტავს კვარი.
ზღუდავს ნახირს ძილწანაღებს,
ღამეა და აღარც არი,
წეღან ვნახე სხივთა ღვარით, —
შენი სახე მოღიმარი —
შუქს აფრქვევდა იალაღებს.
ეჰ, ვინ იცის სხვამ რამდენმა
შენზე ფიქრით გაათენა, —
ეგ მზიური აზრთა დენა
უნათებდა ღამით ხედვას“.

შეგვეძლო სხვა ლექსებიდანაც მოგვეყვანა ნაწყვეტები, მაგრამ ეს ადგილიც ნათლად ლაპარაკობს პოეტის მხატვრულ უნარზე.

ჯაბუშანურის ლექსებში ადგილი აქვს სუსტ და დაუმუშავებელ სტრიქონებსაც. უკეთ — ისეთ სტრიქონებს, რომლებიც ერთი შეხედვით შეიძლება უნაკლოდაც გვეჩვენოს, მაგრამ ისინი მაინც მოკლებულნი არიან პოეტური თქმის ძალას.

მაგ., ლექსში „საზღვარზე“ ვკითხულობთ:

„ცოტა ხნის შემდეგ ამ ბილიკს
კაცი დაადგა ერთი.
ჩანჩხს გავდა იგი. ნამდვილად
ძირს ჩავარდნილი მკერდით,
დაჯდა ატირდა ამ დილით
ხშირი ცრემლების ღვენთით.
საბჭოეთს შემომზეროდა
გულში იცემდა მჯიღით“...

ცოტა უფრო ქვემოდ:

„ისევ სტიროდა გაღმელი
თვალ ცრემლში ჩაეწვინა,
ამ დროს მოვარდა რაზმელი,
ხიშტით გაიგდო წინა“.

ასე პროზაულად გვიხატავს ავტორი ადამიანის ჩაგვრის სურათს მოსაზღვრე მხარეში. შეუფერებელია ლექსის წყობა და მეტრი. ზოგ ალაგას დაშორებული რითმები ძნელად აღწევენ მკითხველის ყურამდე. შეუფერებელია აგრეთვე ენაც: „მჯიღით“, „თვალი ცრემლში ჩაეწვინა“ — სახამუშოა. უფრო ძლიერია ლექსის ბოლო სტროფები, სადაც ნაჩვენებია გათავისუფლებული ხალხის სიხარული. ჯაბუშანური ხშირად ღრმად ემორჩილება სიტყვის სტიქიას. მის ლექსებში გამოერევა ხოლმე ბუნდოვანი და უხერხული თქმები: მაგ., „თვალები ბინდით გადამეხრამნენ“, „მწვერვალს წვერი არ მოევლება“, „როდესაც მნათობი შუა ცას დალახავს“, „და თესლს მცენარეთს მქისე ქართა ბერვა“, „დაწყდა სიბნელის ყველა ძაფები“ და სხვა.

აღნიშნულ თვისებას უნდა მიეწეროს ისიც, რომ ჯაბუშანური ხანდახან ხმარობს ერთნაირ გაცვეთილ მეტაფორებსა და შედარებებს.

ჯაბუშანურმა უფრო ღრმად და მრავალფეროვნად უნდა ასახოს განახლებული მთა, მეტი სისრულითა და მხატვრული სიძლიერით უნდა დაგვანახოს მთის ახალი ადამიანები და მათი განცდები. ლექსების პირველი წიგნით მან მკაფიოდ გამოაჩინა თავისი შემოქმედებითი ძალა. ეს უფლებას გვაძლევს გულახდილად მივუთითოთ ნაკლზედაც და მეტი მოთხოვნილება წავუყენოთ მას.

ვანო ხალიფაშვილი.

კლიმენტი გოგიავა — „ვლადიმერ ნანეიშვილი“

ჩვენს ქვეყანაში გმირობა და სიმამაცე გადაიქცა ყველა მშრომელის სასახელო საქმედ და წერა ამ ადამიანების შესახებ ყველა საბჭოთა მწერლის საპატიო საქმეს წარმოადგენს.

კლიმენტი გოგიავას წიგნში მხატვრულად მოთხრობილია თეთრფინელებთან მებრძოლ, საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ ნანეიშვილის საგმირო და სასახელო საქმეები, რომელიც დავიწყებას არასოდეს არ მიეცემიან და თაობიდან თაობაზე გადავლენ, როგორც ერთ-ერთი შესანიშნავი ეპიზოდი ჩვენი ხალხის ბრძოლებისა და გამარჯვებებისა.

ვლადიმერ ნანეიშვილის საგმირო საქმეებს დღეს იცნობს მთელი მსოფლიო, მოხუცი და ახალგაზრდა, მტერი და მოყვარე და ფინელი ოფიცრებისა და მფრინავებისათვის ხომ თავზარდამცემი იყო ნანეიშვილის ესკადრილიის ბრძოლის არენაზე გამოჩენა.

თეთრფინელების ვერავითარმა ვერაგულმა ხერხმა ვერ გასჭრა, რომელსაც ისინი მიმართავდნენ საბჭოთა ჯარისა და ავიაციის წინააღმდეგ. საბჭოთა გმირები ბრძოლის ლეგენდარულ საქმეებს ჩადიოდნენ და პატრიოტული იდეებით გამსჭვალულნი, საშშობლოს სიყვარულით აღფრთოვანებულნი წინ მიიწევდნენ და მტრებს ჰმუსრავდნენ.

რამდენჯერმე იდგა ნანეიშვილი სიკვდილის პირისპირ, როდესაც მის საჰაერო ბრიგადას მტერი, როგორც ჰაერიდან, ისე მიწიდან ტყვიას სეტყვასავით აყრიდა, მაგრამ მას არ აშინებდა მტერთან პირისპირ შეხვედრა, იგი გამარჯვების რწმენით აღსავსე დანაეარდობდა ფინეთის ყინულოვან სივრცეზე.

აი, ასე წარმოგვიდგება ვლადიმერ ნანეიშვილის პორტრეტი და გმირობა, როდესაც ვეცნობით კლიმენტი გოგიავას წიგნს.

მასში მშვენიერი მხატვრული ენით აღწერილია ნანეიშვილის საზღაპრო საქმეები თეთრფინელებთან ბრძოლის ფრონტზე. ავტორი აღწერს იმას, თუ როგორ მოიპოვა ნანეიშვილმა გამარჯვება და გმირის სახელი.

თავის სამშობლოში არა მარტო ვლადიმერ ნანეიშვილი დაბრუნდა ლენინის ორდენით და საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდებით დაჯილდოებული, არამედ მთელი მისი ბრიგადა ხუთმეტი კაცის შემადგენლობით, რომელნიც ნანეიშვილთან ერთად იბრძოდნენ ფინეთის ფრონტზე. აი, სასახელო სახელები: ვლადიმერ სმირნოვი, მიხეილ ვარავკოვი, იური გარბკო, ივანე ვლასოვი... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ! მათ ჩვენს ისტორიაში მრავალი გმირული ფურცლები ჩასწერეს. გმირმა აღზარდა და გამოწრთვნა გმირები, მან შეასწავლა საფრენოსნო ოსტატობა და მტერთან ოსტატური და მოხერხებული ბრძოლა.

ასე იზრდებიან და ფოლადდებიან მილიონი მებრძოლები, კარგი ხელმძღვანელის გულისხმიერ დამოკიდებულობით.

წიგნში გარდა ნანეიშვილისა და მისი თანამებრძოლების გმირობისა აღწერილია გულშემზარავი სურათი, თუ როგორ მიერეკებოდნენ მშრომელ ხალხს ქალაქიდან თეთრფინელები. ისინი ავრცელებდნენ საბჭოთა კავშირის შესახებ ათასგვარ ჭორებს, მაგრამ მტრების ამ ნაცადმა და ჩვენთვის უკვე ცნობილმა ხერხებმა ვერ გასჭრეს და საბჭოთა გმირების რკინის მარჯვენამ საბოლოოდ დაამსხვრია თეთრფინელების კონტრრევოლუციური ბუდეები.

ნანეიშვილი გამარჯვებული დაბრუნდა თავის სამშობლო საქართველოში და ჩვენი მშრომელები დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით მიეგებნენ მას, როგორც სამშობლოს ერთგულ დამცველს.

კარგი იქნებოდა წიგნში მხატვრულად დასურათებული ყოფილიყო ბრძოლის სხვადასხვა ეპიზოდები, როგორც ასეთი სახის რუსულ გამოცემებშია.

ალ. სიგუა

1941 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის ყოველთვიურად

ხელის მოწერის პირობები

წლიურად	24 მან.
ნახევარი წლით . . .	12 „
ცალკე ნომერი . . .	2 „

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:
ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

ფასი 2 მან.

ჩ 553
1941

Ежемесячный журнал
„ЧВЕНИ ТАОБА"
Сахелгами 1941 г. Тбилиси